საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№18 (300)
20 - 26 მაისი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

საქართველოს იმედი ევროპის მიმართ იმედგაცრუ-ებად იქცა 2



მეუფე სპირიდონი (სხალთის ეპისკოპოსი):

## თურქეთში ბევრი ბავშვი მიჰყავდათ ვითომდა სასწავლებლად, სინამდვილეში კი მათი მიზანი ამ ბავშვებისთვის მენტალიტეტის შეცვლა და გათურქება იყო! 6

«ჩვენ არავის ვეუბნებით, რომ მართლმადიდებლურად მოინათლოს, მეტიც — თუ ბავშვი არასრულწლოვანია, მშობლების თანხმობის გარეშე არ ვნათლავთ და ხშირად, როდესაც მშობელი თანხმდება შვილის მართლმადიდებლურად მონათვლას, მთელი ოჯახი ქრისტიანდება ხოლმე»

5 «იზრდება პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის ეს ნაწილი არსებული საგარეო კურსის ცვლილებას ეხმარება»

7 აშშ-მა მაკედონიაში «მაიდანი» აამუშავა

9 ღია წერილი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას

9 ფსევდო-ბაიკერები და მათი სპონსორები

რისთვის გამოუყო ევროკავშირმა საქართველოს **60** მილიონი ევრო და რას მოხმარდება ამ თანხიდან ათი მილიონი?!

## «ხელისუფლება კი არა, რეალურად, ეს არის მეხუთე კოლონა» 8





ნოე ჟორდანია



აკაკი ჩხენკელი



ნოე რამიშვილი

## სტალინი და მენშევიკური მთავრობა 16

## «ამერიკული პროპაგანდა «სიტყვის თავისუფლებაა», ხოლო «რუსული პროპაგანდა», რომელიც სინამდვილეში არც კი არსებობს — მოსასპობი, დასაგმობი, ამოსაძირკვი; ის ხალხი კი, რომელიც ამ მიმართულებას ეხმრობა, მათი რაოდენობა 70 პროცენტიც რომ იყოს, — მაინც ქვეყნიდან გასაძევებელი, დასაპატიმრებელი, დასახვრეტი?» 10

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პატრიარქმა ექიმებს მიმართა, რომ ისინი საშინელ ცოდვას სჩადიან, როცა აბორტს აკეთებენ



**საკვირაო ქადაგებისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აბორტების თემაზე გაამახვილა ყურადღება და ექიმებს მიმართა. პატრიარქმა განაცხადა, რომ ექიმებისთვის აბორტის გაკეთება უდიდესი და საშინელი ცოდვაა.** „უნდა მივმართო ყველას, რომ უნდა შეწყდეს აბორტები საქართველოში. უნდა გახსოვდეთ, რომ აბორტი არის შვილის მკვლელობა. ეს არის უდიდესი ცოდვა და განსაკუთრებით მინდა მივმართო ექიმებს, რომლებიც აბორტებს აკეთებენ, რომ ეს არის უდიდესი და საშინელი ცოდვა თქვენთვის, ამიტომ უნდა შეწყდეს აბორტები და, ღმერთი რამდენ შვილსაც მისცემთ, იმდენი შვილი უნდა იყოლიონ!“ — აღნიშნა პატრიარქმა.



ზაალ კასრელიშვილი:

## თუ ამერიკა და რუსეთი ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებენ, კავკასიასა და საქართველოში ომი გარდაუვალია

**საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ პრეზიდენტის — ზაალ კასრელიშვილის განცხადებით, თუ ამერიკა და რუსეთი ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებენ, კავკასიასა და საქართველოში დიდი ომი გარდაუვალია, რომელიც, სავარაუდოდ, აზერბაიჯანიდან დაიწყება.**

კასრელიშვილი ამბობს, რომ ბოლო ხანს რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ვითარება დაიძაბა, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ აზერბაიჯანის ჩრდილოეთში ლეკებსა და აზერბაიჯანელებს შორის ახალი ეთნიკური კონფლიქტი გაჩაღდეს, რომელიც საქართველოშიც გავრცელდება. ამ შემთხვევაში კი ბნელი ძალები შეეცდებიან, საქართველოში ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შემოიყვანონ და ვითარება გაამწვავონ.

„კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შიდა კონკურენციის მექანიზმი არ მუშაობს და დასავლეთმაც ფსონი პირდაპირ რესპუბლიკელებზე დადო. სააკაშვილმა და ალასანიამ დასავლეთს იმედები გაუცრუეს! დასავლეთმა ჩვენზე უკეთ იცის, რომ სააკაშვილსა და ალასანიას მოსახლეობაში არანაირი გავლენა არ აქვთ. თუ პროდასავლური პარტიები არ გაერთიანდებიან, მაშინ მათი პატრონები იძულებულები იქნებიან, ძალით გააერთიანონ“, — განაცხადა ზაალ კასრელიშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



ლევან ვასაძე:

## «ტელეიმედმა» უზნეობისა და უმსგავსობის ქადაგების ყველა რეკორდი მოხსნა

**დემოგრაფიული განვითარების ფონდის პრეზიდენტი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს მიმართავს, ტელეკომპანია „იმედში“ მდგომარეობა გამოასწოროს. როგორც ვასაძე ამბობს, „იმედმა“ უზნეობისა და უმსგავსობის ქადაგების ყველა რეკორდი მოხსნა.**

„მინდა, მივმართო ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს, მის მეუღლეს — ინა გუდავაძეს, მის დას — ნანა პატარკაციშვილს, ასევე, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ქონების მმართველ-განმკარგველებს: თქვენი ოჯახის კონტროლს დაქვემდებარებულმა ტელევიზია „იმედმა“ ბოლო ხანს ყველა რეკორდი მოხსნა საქართველოში უზნეობისა და უმსგავსობის ქადაგებაში. ამ საქმეში მან სააკაშვილის „რუსთავი 2“-საც კი აჯობა. ჩვენი საზოგადოების მრავალი წევრი გაოგნებული უმზერს იმ ბაკქანალიას, რომელიც „ტელეიმედის“ ეთერში მიმდინარეობს. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამით არცხვენთ ბადრი პატარკაციშვილის სახელს. იმედი გვაქვს, შეისმენთ საზოგადოების წევრების, მათ შორის ჩემს, არაერთ შეგონებას და თქვენს ტელევიზიაში მდგომარეობას გამოასწორებთ“, — განაცხადა ლევან ვასაძემ.

FINANCIAL TIMES

## საქართველოს იმედი ევროპის მიმართ იმედგაცრუებად იქცა

**ამ სათაურით აქვეყნებს Financial Times-ი საქართველოს შესახებ სტატიას, რომელშიც რიგაში დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზეც არის საუბარი.**



„თბილისი იმედოვნებდა, რომ ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის შესახებ შეთანხმებას მიაღწევდა რიგის სამიტზე. ამის ნაცვლად გეგმები გადაიდო — საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები შიშობენ, რომ ეს პოლიტიკური მიზეზების გამო მოხდა. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გასული წლის ივნისში გააფორმა, მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა მხოლოდ მცირე სარგებელი იგრძნეს. უვიზოდ მიმოსვლა კი მათთვის ხელშესახები სარგებელი იქნებოდა“, — წერს სტატიაში **ნილ ბაკლი** და აღნიშნავს, რომ საქართველომ გასული წლის სექტემბერში გამართულ ნატოს სამიტზე ვერც MAP-ი მიიღო. სტატიის ავტორი საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ამახვილებს ყურადღებას. „ეკონომიკურმა დაღმასვლამ, რომელიც ნაწილობრივ მეზობელ რუსეთში რეცესიამ გამოიწვია და რომელმაც ეროვნული ვალუტის ღირებულების მესამედი შეიწირა, საქართველოს მოსახლეობის იმედგაცრუება გამოიწვია. ეს კარს უღებს რუსეთის გავლენის განახლებას“, — აღნიშნულია სტატიაში.

ნილ ბაკლი აანალიზებს აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებსაც, რომელთა მიხედვითაც, „მოსახლეობის 31 პროცენტი მხარს უჭერს ევრაზიულ კავშირში შესვლას, მაშინ, როდესაც ორი მესამედი კვლავ მხარს უჭერს დასავლეთთან ინტეგრაციას. ალტერნატიული გაერთიანების მხარდამჭერთა პროპორციული მაჩვენებელი ბოლო წლის განმავლობაში გაორმაგდა“.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ 2003 წელს მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ეკონომიკური რეფორმების ჩემპიონად და დემოკრატიის შუქურად განიხილებოდა. „უფრო მეტიც, მისი ადგილმდებარეობა ძალიან სტრატეგიულია. ქვეყნის ტერიტორიაზე გადის აზერბაიჯანიდან დასავლეთის მიმართულებით გაყვანილი ნავთობ და გაზსადენები, რომლებიც ევროპისთვის რუსული ენერგიის ალტერნატიული წყაროა“, — წერს ავტორი.

ბაკლი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ უკრაინის კონფლიქტმა რუსეთის შესახებ საქართველოს მოსახლეობის თვალსაზრისი შეცვალა და, რადგან კონფლიქტმა „ნერვული აღელვება გამოიწვია“, ნატომ, შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს, შეასრულოს 2008 წლის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც საქართველო ალიანსის წევრი გახდება.

„მოქმედმა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოსკოვთან კავშირების აღდგენა დაიწყო. შედეგად მოსკოვმა მოხსნა ათი წლის წინათ დაწესებული შეზღუდვები ქართულ ღვინოზე, მინერალურ წყალსა და სოფლის მეურნობის პროდუქციაზე, რამაც ეკონომიკის წინსვლა განაპირობა. „ქართული ოცნების“ მთავრობამ, ასევე, კვლავ ჩართო რუსული ტელეარხები, რომლებიც 2008 წლის ომის შემდეგ აკრძალული იყო. პრორუსული ხმები, რომლებიც წინა მთავრობის დროს არ ისმოდა, ახლა ქართულ მედიაში კვლავ ისმის“, — წერია სტატიაში.

ნილ ბაკლის აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კრემლის მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვოს.

## «სააკაშვილი უკრაინის მთავარი რეკეტირია!»

**უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა slovo.net.ua-მ გამოაქვეყნა მორიგი სკანდალური მასალა, რომელიც მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების უკრაინაში მუშაობის მეთოდებს ეხება.**

„უკრაინის შს მინისტრის მოადგილემ ეკა ზღულაძემ და უკრაინის მთავარი პროკურორის მოადგილემ დავით საყვარელიძემ ერთი თვის წინათ აამოქმედეს მათ მიერ შემუშავებული გეგმა „გარდატეხა,“ რომელიც დაამტკიცა უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ.

გეგმის მიხედვით, უკრაინის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ყოფილი მაღალჩინოსნებისა და პოლიტიკოსების სანახაობრივი დაკავებები უნდა დაიწყონ, რათა უკრაინის მოსახლეობას დაანახვონ, რომ მთავრობა ებრძვის კორუფციაში ჩაფლულ სახელმწიფო მოხელეებს, აპატიმრებს მათ და ცდილობს წესრიგის დამყარებას ქვეყანაში.

დასაკავებელ პირთა სია მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობით შედგა, მისი კარნახით სიაში შეიყვანეს ისეთი პირები, რომელთაგანაც ზეწოლის შედეგად კომპრომატებს მიიღებენ უკრაინელ ოლიგარქებზე. მიხეილ სააკაშვილმა ამ მეთოდით დაიწყო კომპრომატების შექმნა უკრაინაში მოღვაწე ბიზნესმენებსა და ოლიგარქებზე.

სააკაშვილმა კომპრომატებისა და შანტაჟის გამოყენებით, დიდი ფულის გამოძალვის სანაცვლოდ, პრობლემების მოგვარება აღუთქვა უკრაინელ ოლიგარქებს და რეკეტის დახვეწილი სისტემა ჩამოაყალიბა, თუმცა სააკაშვილის ამ მომსახურებას უკრაინაში ათეულობით ადამიანის დაკავება და მსხვერპლი მოჰყვა.

უკრაინის სამართალდამცავი სტრუქტურებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ მიხეილ სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, მისი ნაცადი მეთოდებით ზეწოლა მოხდა უკრაინის სახელმწიფო ქონების მართვის ყოფილ მინისტრ **მიხეილ ჩეჩეტოვზე**, რომლისგანაც სააკაშვილი ცდილობდა, მიეღო უკრაინაში მოღვაწე ცნობილი ოლიგარქების — **ახმეტოვისა** და **კოლომოისკის** საწინააღმდეგო ჩვენებები.

ჩეჩეტოვი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა — მეჩვიდმეტე სართულიდან გადმოხტა. სხვა უკრაინელმა ოლიგარქებმა კი სააკაშვილის მიერ შექმნილი პრობლემების მოგვარება მიხეილ სააკაშვილის გვერდის ავლით მოახერხეს: რინატ ახმეტოვმა თავისი პრობლემები პეტრო პოროშენკოსთან მოაგვარა, ხოლო კოლომოისკის, მეტსახელად „ბენიას“, ამერიკელებმა უპატრონეს.

**მთავარი რეკეტირი სააკაშვილი ხახამშრალი დარჩა, რის გამოც მას ფსიქიკური აშლილობა დაეწყო და სამკურნალოდ ლონდონში გაემგზავრა**. სწორედ ფსიქიკური აშლილობის გამო, თბილისში გამართულ 21 მარტის აქციაზე, მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი ჩართვის ნაცვლად, დამონტაჟებული ჩანაწერი გაუშვეს“, — წერს გამოცემა.



ირაკლი ღარიბაშვილი:

## საქართველოს სურს ნორმალური ურთიერთობა ყველასთან, მათ შორის, რუსეთთან!

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველო-ავსტრიის ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის მთავარი სტაბილურობაა.**

„ჩვენთვის მთავარია სტაბილურობა. ჩვენმა ქვეყანამ დაამტკიცა, რომ ვართ პრაგმატული, კონსტრუქციული ხელისუფლება, რომელსაც სურს, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთან, მათ შორის, რუსეთთან, თუმცა ჩვენი ტერიტორიების 20% რჩება ოკუპაციის ქვეშ. ჩვენ ამ მიმართულებით განვაგრძობთ ინსტენსიურ მუშაობას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. მან, აგრეთვე, ისაუბრა საქართველოს წინსვლაზე საერთაშორისო სარეიტინგო სიებში:

„ჩვენ შევქმენით საინტერესო საინვესტიციო გარემო, ბიზნესკლიმატი. ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, საქართველოს მსოფლიო ბანკის სარეიტინგო სიაში მე-15 ადგილი უკავია, რეგიონში — მე-8. წინა წელთან შედარებით, საქართველოს გაუმჯობესებული აქვს შედეგები 10-დან 6 კატეგორიაში, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა ჩვენი ქვეყნისთვის. გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი საჯარო ფინანსების მართვის, გამჭვირვალობის, საინვესტიციო გარემოს თავისუფლებისა და კერძო საკუთრების უფლების დაცულობის კუთხით. კორუფციის სიმცირის სარეიტინგო სიაში საქართველოს უკავია მე-11 ადგილი და ჩვენ ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი. გვაქვს მარტივი საგადასახადო სისტემა. ჩვენ გვაქვს სულ 6 სახის გადასახადი. იმპორტირებული საქონლის 85%-ზე გადასახადი გაუქმებულია, ხოლო დანარჩენზე გადასახადი 5-დან 12%-მდეა“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერმა და დასძინა, რომ მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ფისკალური სირთულეების მიუხედავად, ეფექტიანი ფუნქციონირების გამო საქართველო ახერხებს ეკონომიკურ ზრდასა და წინსვლას.



## ჩეხეთის პრეზიდენტი მსოფლიოს «ისლამურ სახელმწიფოზე» იერიშის მიტანისკენ მოუწოდებს

**ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდა,რომ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს"“ბაზებზე იერიში მიიტანონ.** „აუცილებელია რეაგირება მზარდი რელიგიური შუღლის გავრცელების საფრთხის წინააღმდეგ, რომლითაც ცდილობენ, შუა საუკუნეებში დაგვაბრუნონ. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ არ უნდა გადადოს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაცია, რადგან ტერორისტულ ბანაკებში „ბოევიკები“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გეგმავენ ტერორისტულ შეტევებს. ექსტრემისტული იდეოლოგია კი დამღუპველად მოქმედებს ახალგაზრდებზე, რომლებისთვისაც „ბოევიკთა“ რიგებში გადასვლა მომხიბვლელი ხდება“, — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს არმიების სარეიტინგო სიაში საქართველო 75-ეა. მას სომხეთი და აზერბაიჯანიც უსწრებს

**გამოცემა Business Insider-მა, კომპანია Global Firepower-ის ანალიტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს უმძლავრესი არმიების სარეიტინგო სია გამოაქვეყნა.**

სარეიტინგო სიაში ჩამოთვლილია 126 ქვეყანა, რომელთა შორისაც საქართველოს 75-ე ადგილი უკავია (Pwrindx: 1,8423). მას უსწრებს მეზობელი ქვეყნები — **სომხეთი (74-ე)** და **აზერბაიჯანი (63-ე).**

სიაში ბოლოა სომალი, პირველი კი — აშშ. მეორე ადგილზეა რუსეთის არმია, რომელიც პირველ ათეულში უსწრებს ჩინეთის, ინდოეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სამხრეთ კორეის, გერმანიის, იაპონიისა და თურქეთის არმიებს. უკრაინის შეიარაღებული ძალები 25-ეა.



ექსპერტთა აზრით, გასაკვირი არ არის, რომ სარეიტინგო სიაში პირველია აშშ, რადგან ვაშინგტონი შეიარაღებაზე ყოველწლიურად 577 მილიარდ დოლარს ხარჯავს, ეს თანხა 10-ჯერ აღემატება რუსეთის დანახარჯებს შეიარაღებაზე, 4-ჯერ — ჩინეთისას.



| | | |
|---|---|---|
| 66 | Kazakhstan | Pwrindx: 1.6197 |
| 67 | Bulgaria | Pwrindx: 1.6704 |
| 68 | Kenya | Pwrindx: 1.6835 |
| 69 | Oman | Pwrindx: 1.6836 |
| 70 | Serbia | Pwrindx: 1.6935 |
| 71 | Kuwait | Pwrindx: 1.7336 |
| 72 | Ecuador | Pwrindx: 1.7491 |
| 73 | Sri Lanka | Pwrindx: 1.7556 |
| 74 | Armenia | Pwrindx: 1.8223 |
| 75 | Georgia | Pwrindx: 1.8423 |
| 76 | Angola | Pwrindx: 1.8579 |
| 77 | Qatar | Pwrindx: 1.8829 |
| 78 | Kyrgyzstan | Pwrindx: 1.8901 |

GFP™ STRENGTH in NUMBERS

# ემირ კუსტურიცა: CNN-ი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ აშშ-ის თვითმფრინავებიდან ბომბები კი არა, ანგელოზები ცვივა

**ტელეარხი Russia Today, რაკეტებთან და სხვა ინოვაციებთან ერთად, რუსეთის შეიარაღების არსენალში შედის და ეს ძალიან არ მოსწონს ამერიკის შეერთებულ შტატებს, — მიაჩნია სახელგანთქმულ სერბ კინორეჟისორ ემირ კუსტურიცას.**

„მესამე მსოფლიო ომი დაიწყება მაშინ, როდესაც აშშ, ბოლოს და ბოლოს, დაიღლება ტელეარხ RT-სგან და მის დაბომბვას გადაწყვეტს, საპასუხოდ კი რუსეთი CNN-ს გაანადგურებს.

ტელეარხი RT შეიძლება რუსეთის არსენალში ჩაითვალოს რაკეტებთან ერთად, რადგან მისი პროგრამები გადაიცემა ინგლისურ ენაზე და მათ 700 მლნ ადამიანი უყურებს მსოფლიოს 200-მდე ქვეყანაში. ამით ის ამსხვრევს ჰოლივუდისა და CNN-ის მიერ შექმნილ სტერეოტიპებს კარგ და ცუდ ბიჭებზე. კერი (აშშ-ის სახელმწიფო მდივანი — რედ.) და კონგრესმენები შეშფოთებულები არიან RT-ს მიერ გაგზავნილი სიგნალებით, რომ აშშ-ს მსოფლიო ქაოსისკენ მიჰყავს, რომ „კოკა-კოლა“ იდეალური სარეცხი საშუალებაა ავტომობილებისთვის და არა — ადამიანის კუჭისთვის, და რომ უკრაინის კრიზისში შეიძლება იპოვოთ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თითების ანაბეჭდები... ამასთანავე,



CNN ცდილობს, დაამტკიცოს, რომ აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავებიდან ბომბები კი არა, ანგელოზები ცვივა!“ — ციტირებს გამოცემა Sputmik-ი ემირ კუსტურიცას.

> **«კერი და კონგრესმენები შეშფოთებულები არიან RT-ს მიერ გაგზავნილი სიგნალებით, რომ აშშ-ს მსოფლიო ქაოსისკენ მიჰყავს, რომ „კოკა-კოლა“ იდეალური სარეცხი საშუალებაა ავტომობილებისთვის და არა — ადამიანის კუჭისთვის, და რომ უკრაინის კრიზისში შეიძლება იპოვოთ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თითების ანაბეჭდები»**

# რუსეთი ევროპას «ისკანდერებს» უმიზნებს

**მოხდა ის, რისიც ასე ძალიან ეშინოდათ ნატოს წევრ ქვეყნებს — რუსეთმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „ისკანდერებს“ (სარაკეტო კომპლექსები) განალაგებს ევროპის შუაგულში — კალინინგრადის ოლქში. „ისკანდერს“ ატომური მუხტის გადატანა შეუძლია, თუმცა ამის გარეშეც ის სასიკვდილო საფრთხეს შეუქმნის როგორც ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას, ისე შტაბებსა და ბაზებს.**

რუსეთის ფედერაციის სარაკეტო ჯარებისა და სახმელეთო ჯარების არტილერიის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა მიხეილ მატვეევსკიმ განაცხადა, რომ მოხდება კალინინგრადის ოლქში დისლოცირებული სარაკეტო ბრიგადის გადაიარაღება და ის „ისკანდერ-M“-ებით აღიჭურვება.

რფ-ის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს განცხადებით, „ქვეყანა იძულებული შეიქნა, ჯარები საომარ მდგომარეობაში ამყოფოს, რაც გამოწვეულია ნატოს მხრიდან ანტირუსული განწყობით.

ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსი „ისკანდერ-M“-ი აღჭურვილია რაკეტებით, რომლებსაც შეუძლია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გარღვევა და ატომური თუ ჩვეულებრივი მუხტით მტრის არტილერიის, ავიაციის, სარაკეტო კომპლექსების განადგურება.



რაც შეეხება ატომურ ქობინებს, რუსმა სამხედროებმა ჯერ კიდევ 2013 წელს განაცხადეს, რომ კალინინგრადის ოლქში დისლოცირებულ ბრიგადას ასეთი ქობინები აქვთ.



## იაპონელები ამერიკელი სამხედროების გაყვანას მოითხოვენ

**17 მაისს 35 ათასი იაპონელი გამოვიდა საპროტესტო აქციაზე ოკინავაზე არსებული ამერიკული სამხედრო ბაზის გატანისა და ახალი აეროდრომის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით.** ადგილობრივი მცხოვრებლები მოითხოვენ ამერიკელი სამხედროების გაყვანას იაპონიის სამხრეთში მდებარე საკურორტო პრეფექტურიდან, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან მშვიდობიან მოსახლეობას.

ამჟამად იაპონიაში 47 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება, მათგან 27 ათასი — კუნძულ ოკინავაზე.

ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების წინააღმდეგ სულ უფრო ხშირად იმართება აქციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკელ სამხედროებს მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთსა და უკრაინაში მიესალმებიან.



## ლინკოლნის სასაფლაოზე გეივეტერანებს ძეგლს დაუდგამენ

**აშშ-ში დაღუპულთა ხსოვნის დღეს — 25 მაისს ლგბტ ვეტერანების მონუმენტის გახსნის ცერემონია გაიმართება. ძეგლი დაიდგმება ელვუდში (ილინოსის შტატი), აბრაამ ლინკოლნის სასაფლაოზე.**

მონუმენტი წარმოადგენს შავი და ვარდისფერი გრანიტის პლიტას ჯარების სახეობების ემბლემებით. წარწერა კი ეძღვნება „გეების, ლესბოსელებისა და ბისექსუალების სამხედრო გმირობას“.

გეიძეგლის საზეიმო გახსნაზე იმღერებს ჩიკაგოს გეიგუნდი. ძეგლის გახსნას კი დალოცავს ქრისტიანი მღვდელი და რაბინი. მათი ორიენტაცია უცნობია.

აშშ-ში 1993-დან 2011 წლამდე მოქმედებდა კანონი „ნუ შეეკითხები — ნუ ილაპარაკებ“ (Don’t ask, don’r tell), რომლის მიხედვითაც, ჰომოსექსუალებს, რომლებიც აღიარებდნენ თავიანთ ორიენტაციას, აკრძალული ჰქონდათ შეიარაღებულ ძალებში მსახურება. **კალიფორნიის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მონაცემებით, 2010 წელს აშშ-ის სამხედრო სამსახურში მყოფთაგან 13 ათასი (0,1%) გეი, ლესბოსელი და ბისექსუალი იყო.**

ხსოვნის დღე აშშ-ში მაისის ბოლო ორშაბათს აღინიშნება და ომში დაღუპულ ამერიკელ სამხედროებს ეძღვნება.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაიდანზე ორცხობილებით დატვირთულ მარგალიტა ბიცოლას დამფიცებლების იმხელა რიგი დაუდგა, თვითონაც რომ არ ელოდა და ამით გახარებულმა ევროკავშირსაც აგინა და უკრაინის მომავალი მთავრობაც დააკომპლექტა. თანაც ისე იმარჯვა, რომ საქართველოდან გაძევებული „გამოცდილი კადრებიც" ჩაუსვა.**



# «მრეკეთ თავში, ქალბატონო მარგალიტა!»

**სწორედ ასეთი გამომეტყველებით იჯდა უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდთან შეხვედრაზე. თვითონ ჯონ კერიმ „იზოლაციაში" მყოფ რუსეთში, კერძოდ, სოჭში პუტინთან და ლავროვთან 8-საათიანი საუბრის შემდეგ კიევში ჩასვლა ვერ მოახერხა (ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა – ლავროვის ნაჩუქარი პომიდვრითა და კარტოფილით სავსე კალათები ეჭირა, პერანგის ქვეშ კი გამარჯვებისდროშიანი მაისური ეცვა) და ამბავი თავის თანაშემწეს დააბარა. პოროშენკომ ისლა მოახერხა, რომ დიპლომატიურ ენაზე ამოღერღა: „აშშ-ისა და უკრაინის კოორდინირებულ მოქმედებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს!", ანუ, ხალხურ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, ჩვენს ბედს რუსეთთან ვაჭრობაში რომ გადაწყვეტთ, ჩვენც გაგვაფრთხილეთ ხოლმეო!**



**«წმინდა პორფილეს ხატზე» დაფიცებულნი ისეთ ისტერიკაში ჩავარდნენ, რომ ლამის ინტერნეტის გამორთვაზე ალაპარაკდნენ; «რუსული პროპაგანდა» აკეთებს ამასო, — გაიძახიან ჯიუტად**

პოროშენკომ თავისი და მთლიანად ქვეყნის ბედი მაშინ გადაწყვიტა, როცა ქალბატონი ნულანდის მკერდზე დაკიდებულ „წმინდა პორფილეს ხატზე" დაიფიცა, თუმცა იმხანად **მაიდანზე ორცხობილებით დატვირთულ მარგალიტა ბიცოლას დამფიცებლების იმხელა რიგი დაუდგა, თვითონაც რომ არ ელოდა, და ამით გახარებულმა ევროკავშირსაც აგინა და უკრაინის მომავალი მთავრობაც დააკომპლექტა. თანაც, ისე იმარჯვა, რომ საქართველოდან გაძევებული „გამოცდილი კადრებიც" ჩაუსვა, მაყურებლად კი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კადრი დაუნიშნა.**

ოლიგოკრატიასთან მებრძოლ რევოლუციურ უკრაინას ოლიგარქი პოროშენკო გზაში დააწიეს, მანაც დაიჯერა, რომ ამდენი ძალისხმევის შემდეგ მარგალიტა ბიცოლა მართლაც აპრეზიდენტებდა და საჯაროდ დადო პირობა – მშვიდობის პრეზიდენტი ვარ და ომს, დღეს თუ არა, ხვალ დავამთავრებო! „ოლიგარქებთან მეომარმა" და შეთავსებით „ომის მინისტრმა" სააკაშვილმა, რომელიც მრჩევლად მიუჩინეს პოროშენკოს ამერიკელმა ბიძიებმა და ბიცოლებმა, სასწრაფოდ განაცხადა, უკრაინისთვის იარაღს გამოვაყოფინებ დასავლეთიდანო. მაკკეინ ბიძიამ იმავე წუთს დაუჭირა მხარი ამ შეძახილს და დიდი კამპანია გააჩაღა, თუმცა **კიევიდან ახლა უკვე მოსკოვში ჩასულ მარგალიტა ბიცოლას პრეზიდენტმა ობამამ ზურგში განცხადება მიაყოლა — უკრაინისთვის ლეტალური იარაღის დაფინანსების შესახებ სენატის კანონპროექტს ვეტოს დავადებო!**

ვეტოების ქართველი ოსტატი **მარგველაშვილი** კი **ანგელა მერკელის, ჯონ კერისა** და **ვიქტორია ნულანდის** პუტინთან სტუმრობას გამოეხმაურა და თბილისში ვიზიტად მყოფ ავსტრიის პრეზიდენტს რჩევა მისცა: „რუსეთის მიმართ სანქციები არა მხოლოდ შესანარჩუნებელია, არამედ გასაძლიერებელია პოლიტიკური მესიჯი რუსეთის პოლიტიკის მიუღებლობის ნაწილში". კი გაუკვირდა ეს **ჰაინც ფიშერს**, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ქართველი კოლეგის ლოგიკამ გააოცა, რომლის თანახმად, „ბუნებრივია, საქართველო ვერ ხეირობს და პირიქით, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა აქვს რუსეთის ეკონომიკურ პრობლემებს, მაგრამ ამ სანქციების მიზანი ძალიან ნათელია".

ერთი სიტყვით, ჩემი ქვეყანა ზარალდება, მაგრამ ჯანდაბას ჩვენი თავი, თქვენ ოღონდ რუსეთს მიაწექითო! **პოროშენკოსავით, მარგველაშვილსაც მარგალიტა ამყოლაძის „წმინდა პორფილეს ხატზე" აქვს დაფიცებული და ეს ალაპარაკებს ამ სისულელეებს. მარგალიტა ბიცოლა კი ამასობაში სწორედ რუსეთშია ჩასული, ოღონდ არავინ იცის, რა მიზნით.** კიევში მან განაცხადა, რომ ჯონ კერის ვიზიტის შესახებ მოუყვა პოროშენკოს და დაადასტურა, რომ აშშ მინსკის შეთანხმებას უჭერს მხარს.

ასეა თუ ისე, კულუარებიდან მაინც გამოჟონა ამბავმა, რომ მარგალიტა ბიცოლა მოსკოვში კიევსა და ლუგანსკ-დონეცკს შორის მომავალ ურთიერთობაზე სალაპარაკოდ ჩავიდა. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ეს 1995 წლის დეიტონის პროცესის მსგავსი სცენარი იქნება; იმხანად ბოსნია და ჰერცეგოვინა ფორმალურად ერთიანი იუგოსლავიის შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ ფართო ავტონომიით. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ გავლენის რეალური ბერკეტები მესამე მხარემ – ეუთომ აიღო ხელში. **უკრაინის შემთხვევაში დონბასი სპეციალური სტატუსის მქონე რეგიონი გახდება, ხოლო საგარეო მართვას „ნორმანდიული ოთხეული" და აშშ განახორციელებენ.**

რა მოხდა მერე — უკრაინა მთლიანად გარედან იმართება და ამ მოდელში დაუმორჩილებელი რეგიონებიც თუ ჩაერთვებიან?! ოღონდ სავარაუდოა, რომ დონეცკი და ლუგანსკი ამ ფორმულას არ დაყაბულდებიან, **მოსკოვმა კი უკვე განაცხადა, რომ არავითარ გარიგებაზე წასვლას არ აპირებს, მით უფრო — სირიის მიმართ საკუთარი პოზიციის დათმობის ხარჯზე.**

არც დაუთმია, როგორც ირკვევა, და არა მხოლოდ სირიის საკითხში. ეკონომიკის მინისტრმა **ალექსეი ულიუკაევმა** ბრიუსელში 18 მაისს დაადასტურა, რომ რუსეთი მონაწილეობას მიიღებს მოლაპარაკებებში, რათა 2016 წლის 1 იანვარს უკრაინის შეთანხმება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ამოქმედდეს. შეგახსენებთ, რომ **ამ მოლაპარაკებებს მოსკოვი შეთანხმების ხელმოწერამდე მოითხოვდა, თუმცა ევროკავშირმა ქედმაღლურად უარყო დიალოგი. მერე რა მოვლენებიც განვითარდა, ამის შეხსენება არც ღირს.**

ისმის კითხვა: **თუ მაინც რუსეთთან შეთანხმებით უნდა ემოქმედათ, ან სახელმწიფო გადატრიალება რა საჭირო იყო, ან სისხლისმღვრელი ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში?**

თავში, თავში რეკეთ, ქალბატონო მარგალიტა, და საკუთარ თავსაც რეკეთ, ეგებ მიხვდეთ რამეს!

**მარგალიტა ბიცოლა დღესაც ვერ ხვდება, რატომ არ მუშაობს „მაიდნის" სცენარი რუსეთში და რატომ იზრდება ანტიამერიკული განწყობილება** (მხოლოდ რუსეთში?). მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელმა ლუდმილა ალექსეევამ ნულანდთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა: „ადამიანის უფლებები და ანტიამერიკანიზმი აწუხებთ". სად სცალია მარგალიტა ბიცოლას, თორემ თავის ქვეყანაშიც მოიკითხავდა ადამიანის უფლებებს – მისი თანამოქალაქეები რომ აპროტესტებენ, მათ კი ამერიკული არმია უპირისპირდება!

თუმცა რაღაცას მაინც ხვდება, რაკი იმავე ალექსეევას უთხრა: „მოხარული ვიქნებოდით, გარკვეულ ასპექტებში დაგვხმარებოდით, მაგრამ პირიქით არ გამოგვივიდეს და უარესი არ ვქნათ". **უარესის მეტს რას შვრებიან, მაგრამ ეს უკრაინისა და საქართველოს მსგავს ქვეყნებში გამოსდით, თორემ ახლო აღმოსავლეთში ისეთი „დემოკრატია" დაამკვიდრეს, რომ თავადაც გაოცებულნი არიან.**

ამასობაში **NDI-მ საქართველოში მორიგი კვლევა გამოაქვეყნა და „წმინდა პორფილეს ხატზე" დაფიცებულებს არნახული რეიტინგები გამოუცხო. ეს კვლევაც ისეთივე სანდოა, როგორც 2012 წლის არჩევნების წინ გამოქვეყნებული შედეგი, რომლის თანახმადაც „ნაციონალური მოძრაობა" კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობით იმარჯვებდა, ხოლო „ქართულ ოცნებას" საპატიო უმცირესობის როლი უნდა რგებოდა.**

„ჩამოლაბორანტებული" პატრიოტთა ალიანსი და „დემოკრატიული მოძრაობა" ამერიკის საელჩოში დაწერილ ციფრებზე ალაპარაკდა, „ნაციონალურმა მოძრაობამ" კი თავის პატრონებს კვლევა ტრადიციულად მოუწონა. იყო ერთი სჯა-ბაასი და დებატები, თუმცა ყველაზე დიდი ვნებათაღელვა იმან გამოიწვია, რომ NDI-ს მიერ გამოკითხულთა 31% ევრაზიულ კავშირში შესვლას უჭერს მხარს.

**„წმინდა პორფილეს ხატზე" დაფიცებულნი ისეთ ისტერიკაში ჩავარდნენ, რომ ლამის ინტერნეტის გამორთვაზე ალაპარაკდნენ; „რუსული პროპაგანდა" აკეთებს ამასო, — გაიძახიან ჯიუტად. პროპაგანდა ისეთი უნდა, ამერიკელები რომ ეწევიან, აგერ უკვე 25 წელია, მაგრამ მურტალოსი არ იყოს, მოუძველდათ მეთოდები და ხალხი ამას „აღარ ჭამს".**

**რაკი NDI-ს კვლევების ფასი ჩვენში, კარგა ხანია, ცნობილია, ბევრი იმასაც ამბობს, რომ ასეთ ისტერიკას 31% ვერ გამოიწვევდა და, როგორც ჩანს, რეალური მაჩვენებელი გაცილებით მეტია. თავში, თავში რეკეთ მაგათ, მარგალიტა ბიცოლა, და საკუთარ თავსაც ნუ დაზოგავთ, ეგებ დასკვნები გააკეთოთ!**

რთული სათქმელია, როგორ დასკვნებს გამოიტანს ავსტრიის პრეზიდენტი საქართველოში ვიზიტიდან, რადგან, როცა მარგველაშვილი რუსეთისთვის სანქციების გამკაცრებაზე ლაპარაკობდა, პარალელურად, საქართველო-ავსტრიის ბიზნესფორუმზე საქართველოს პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** თქვა: „ჩვენთვის მთავარია სტაბილურობა. ჩვენმა ქვეყანამ დაამტკიცა, რომ ვართ პრაგმატული, კონსტრუქციული ხელისუფლება, რომელსაც სურს, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთან, მათ შორის, რუსეთთან, თუმცა ჩვენი ტერიტორიების 20% რჩება ოკუპაციის ქვეშ. ჩვენ ამ მიმართულებით ვაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას".

ამ ორი წყაროს გარდა, ავსტრიის პრეზიდენტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაზრებებსაც გაეცნო. მას ორი საკითხი აინტერესებდა: როგორ უყურებს კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოს ხელისუფლების ევროპულ არჩევანს და როგორ წარმოუდგენია თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები. ფიშერმა დასძინა, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში გულისხმობდა, როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე ქართულ და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობებს.

პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების შემდეგ, კიდევ რამე თუ გაუკვირდებოდა, ალბათ, არ ეგონა, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო: **„საქართველოს არჩეული აქვს ევროპის გზა. საქართველოს სურს, რომ გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების ნაწილი, წევრი. ეს ჩვენი არჩევანი ძალიან მტკიცეა და აუცილებლად მივაღწევთ ამას. რაც შეეხება ეკლესიებს შორის ურთიერთობას, რთული ურთიერთობაა. რუსეთს არ სჭირდება აფხაზეთი, რუსეთს სჭირდება მშვიდობიანი საქართველო".**

ნეიტრალური ქვეყნის პრეზიდენტისთვის გასაგები უნდა იყოს, რა იგულისხმა პატრიარქმა, მაგრამ, როგორც მარგველაშვილი აპირებს პუტინთან შეხვედრას მხოლოდ „დასავლელ პარტნიორებთან მოთათბირების" შემდეგ, ისევე უნდა ეთათბიროს ავსტრიის პრეზიდენტიც მარგალიტა ბიცოლას. სხვაგვარად საკუთარ ბედს უკვე ევროპის სახელმწიფოებიც ველარ განაგებენ.

**საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის იმჟამინდელი რესპუბლიკები გაცილებით დამოუკიდებელნი იყვნენ, ვიდრე დღევანდელ „სუვერენულ" პირობებში.** სამმა პრეზიდენტმა — **ელცინმა, შუშკევიჩმა** და **კრავჩუკმა** ერთი შეხვედრით გამოუყვანეს წირვა მსოფლიოს ზესახელმწიფოს. იმხანად ეს არ ჩანდა, მაგრამ მათაც „წმინდა პორფილეს ხატზე" ჰქონდათ დაფიცებული და მარგალიტა ბიცოლაც იქვე, კულისებში ფუსფუსებდა. მერე მათაც რეკა სათითაოდ თავში და, კალამბურისთვის ბოდიში, თავი ქუდში ეგონა, მაგრამ დრო გავიდა და რუსეთში დამფიცებელი აღარ შერჩა ხელში, პირველი პირების დონეზე, თორემ ისე დამფიცებლები როგორ არ ჰყავს! ეგ არის, რომ მათ ამინდის შეცვლა არც საკუთარ ქვეყანაში შეუძლიათ და არც სხვაგან.

მარგალიტა ბიცოლა კი კვლავ ინდისხურმის გაყიდვას ლამობს მელიტოპოლში, ოღონდ მაიდნის ორცხობილების შემდეგ სულ უფრო ცოტას სჯერა მისი წყალობისა.

**თამარ დავითულიანი**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების აქტიური მოთამაშე არ არის, ის პოლიტიკის ობიექტია. ჩვენი ქვეყანა აშშ-ის სატელიტია და ხელი მოაწერა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, ამიტომაც ამ პოლიტიკურ კონიექტურაში ზის. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც შეინიშნება სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობა. ეროვნული ვალუტის გაუფასურებაც მისი შემადგენელი ნაწილია“.

**თამარ კიკნაძე:**



# იზრდება პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის ეს ნაწილი არსებული საგარეო კურსის ცვლილებას ემხრობა

**გასულ კვირაში საქართველოს მოსახლეობის ყურადღება „იბიარდის“ (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის) წარმომადგენლებისკენ იყო მიპყრობილი, რადგან ქვეყნის მთავრობამ მათი მონაწილეობით ფორუმის ჩასატარებლად 17 მილიონი ლარი დახარჯა. თანხა საკმაოდ დიდი იყო, თუმცა ჩამოსული სტუმრების კომენტარებიდან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ საქართველოში კარგი ბუნება ყოფილა და ამინდმა არ გაუმართლათ...**

**ჩვენი პოლიტიკოსების ყურადღება აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სოჭში შეხვედრამაც მიიპყრო.**

**შეუმჩნეველი არ დარჩა შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის — კარლ ბილდტის რუსულ ნავთობკომპანიაში მრჩევლად დანიშვნაც, რომელსაც სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურნენ: „ეს ის კარლ ბილდტი არ არის, მანჰეტენის სექტის „პრადვინუტები“ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების უმთავრეს ლობისტად რომ წარმოგვიდგენდნენ? ბილდტი პრიორიტეტს ანიჭებს თავის და არა საქართველოს ინტერესებს! იქნებ, ამ ფაქტმა მაინც გამოაფხიზლოს ქართველი პოლიტიკოსები“.**

**მთელი კვირის განმავლობაში ყველა პოლიტიკურ თოქშოუში ვისმენდით „პროევროპელების“ აღშფოთებას, რომ საქართველოს მოსახლეობის 31% ევრაზიულ კავშირში გაწევრების მომხრეა, თუმცა ამის გამომწვევი მიზეზი ვერ შევიტყვეთ.**

**მთავარ თემად რიგის სამიტი რჩება, რაც უფრო ახლოვდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი, პოლიტოლოგებიც გააქტიურდნენ, მათი მოსაზრებები არაერთგვაროვანია. ზოგიერთი ამბობს, უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ შეიძლება უარი თქვან საერთო დეკლარაციის ხელმოწერაზე ან დემარშის რაიმე სხვა ფორმას მიმართონ. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კი ყველა პოლიტოლოგს ცივი წყალი გადაასხა: „ჩვენ რიგის სამიტზე ახალს არაფერს ველოდებით, ვიცით, რომ ვიზალიბერალიზაცია არ მოხდება, ამის მოლოდინი, არც გვქონდა...“**

**გასული კვირის პოლიტიკურ მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თამარ კიკნაძეს ვესაუბრეთ.**

**— წინა კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს სოჭში ეწვია...**

— მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც დასავლეთი ვარაუდობდა, რუსეთმა რამდენიმე რაუნდი მოიგო, ამიტომ მოხდა დასავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კორექტირება. **ჯონ კერის** ვიზიტიც სოჭში ამის დამადასტურებელია. ეს ვიზიტი ამერიკული მხარის თხოვნით მოეწყო. კერი ოთხი საათის განმავლობაში ესაუბრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ლავროვს** და ოთხი საათი — პრეზიდენტ **პუტინს**, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს და, გარკვეულწლად, მოხდა პოზიციების შეჯერება. პრესკონფერენციაზე კერი და ლავროვი განსაკუთრებული მეგობრული განწყობის დემონსტრირებას ცდილობდნენ. მათ ისაუბრეს მინსკის შეთანხმების შესრულების აუცილებლობაზე. მოსკოვში ჩავიდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **ვიქტორია ნულანდიც**. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, აღნიშნული ვიზიტი ამერიკის პოზიციების დათმობაზე მიუთითებს, თუმცა კულისებს მიღმა კონფრონტაცია მაინც გრძელდება, ამის დასტურია მაკედონიაში განვითარებული მოვლენები. მოგეხსენებათ, მაკედონია რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებულ სანქციებს არ შეუერთდა, გარდა ამისა, ეს ქვეყანა რუსეთ-თურქეთის გაზსადენის ტრანზიტული ქვეყანაა, ამიტომაც **ჩნდება ეჭვი, რომ მაკედონიაში მიმდინარე პროცესები მართულია.** ამის შესახებ ლავროვმა სერბეთში ისაუბრა.

**— აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რუსეთის პრეზიდენტს „ეახლა“, არ დადგა დრო, რომ საქართველოს ხელისუფლებამაც გადახედოს საგარეო პოლიტიკას?**

— **საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების აქტიური მოთამაშე არ არის, ის პოლიტიკის ობიექტია. ჩვენი ქვეყნა აშშ-ის სატელიტია და ხელი მოაწერა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, ამიტომაც ამ პოლიტიკურ კონიექტურაში ზის. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც შეინიშნება სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობა. ეროვნული ვალუტის გაუფასურებაც მისი შემადგენელი ნაწილია.** დღეს შემთხვევით არაფერი ხდება. ყველაფერი დაგეგმილია და ტექნოლოგიურად დამუშავებული.

**— ქალბატონო თამარ, გასული კვირის მთავარი თემა ევრაზიულ კავშირში გაწევრების მსურველთა რაოდენობა იყო. ყველა პოლიტიკურ თოქშოუში მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ, ყველა ცდილობდა გამომწვევი მიზეზის დადგენას.**

— საერთოდ, ამ კვლევებს ნაკლებად ვენდობი. შედეგებში ბევრი ურთიერთგამომრიცხავი და სადავო მომენტია. რაც შეეხება ევრაზიაში გაწევრების მსურველთა 31%-ს, **საქართველოში მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაა, ამიტომ იზრდება პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის ეს ნაწილი არსებული საგარეო კურსის ცვლილებას ემხრობა.** რომელიმე კავშირში შესვლა გარკვეული პირობების საფუძველზე უნდა მოხდეს, პოლიტიკა ვაჭრობაა და, უპირველეს ყოვლისა, ეს ვაჭრობა ქვეყნის სასარგებლოდ უნდა წარმოებდეს. **საქართველოს კი, სამწუხაროდ, რუსეთთან სავაჭრო ცოტა რამ დარჩა. ჩვენ ყოველთვის ვუშვებდით შეცდომებს, ეს ჩვენი პოლიტიკოსების დამსახურებაა. გაიხსენეთ, როგორ და რა დროს მოხდა ჩვენი შესვლა დსთ-ში — ჯერ აფხაზეთი დავკარგეთ და მერე იძულებული შევიქენით, უპირობოდ შევსულიყავით.**

**მიმაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური სივრცე ევრაზიულ კავშირშია, მაგრამ უპირობოდ იქ გაწევრებაც დაუშვებელია, აუცილებლად უნდა წამოვაყენოთ ჩვენი პირობები და მათ განხორციელებას ვეცადოთ.** ამის ნათელი მაგალითია ბელარუსის პრეზიდენტი **ალექსანდრე ლუკაშენკო**, რომელიც, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არაჩეულებრივად ვაჭრობს როგორც ევროპელებთან, ისე რუსეთთან.

**— ზოგიერთი პოლიტოლოგი ამბობს, დეკლარაცია, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს რიგის სამიტზე, აქამდე გაურკვეველია, ამიტომ შესაძლოა, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი დემარშით დატოვონო...**

— ეჭვი მეპარება, რომ მსგავსი რამ მოხდეს. რიგის სამიტზე ჩვენთვის საინტერესო არაფერი იქნება, რადგან თვით უკრაინის მიმართაც კი დასავლეთმა პოლიტიკა შეცვალა და საუბარი დაიწყო იმაზე, რომ მოხდეს ქვეყნის ფედერალიზაცია. ითხოვენ, კიევმა მინსკის შეთანხმება გაითვალისწინოს. **უკრაინის ფედერალიზაცია რუსეთს მისცემს საშუალებას, ფედერაციის სუბიექტებმა ცენტრის გადაწყვეტილება რუსეთის სასარგებლოდ დაბლოკონ, რომელიც კარგი მექანიზმია იმისთვის, რომ რუსეთმა მართოს უკრაინა. მინსკის შეთანხმებაში ბევრი მუხლია ჩადებული რუსეთის სასარგებლოდ, რაც დასავლელთა თანხმობით მოხდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ დასავლეთმა უკან დაიხია. რუსეთმა რამდენიმე რაუნდი მოიგო. დასავლეთი ამას ითვალისწინებს და შემხვედრ ნაბიჯებსაც დგამს.**

**— შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი რუსეთის ნავთობკომპანიაში მრჩევლად დაინიშნა. ეს რაზე მიანიშნებს, ბილდტი ხომ ცნობილი რუსოფობია?**

— ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. ერთი ის, რომ **ბილდტმა სარფიანი შეთავაზება მიიღო და, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დათანხმდა. გაიხსენეთ, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი, მანაც რუსულ ენერგო კომპანიაში დაწყო მუშაობა.**

და მეორე — კარლ ბილდტი არის უკრაინაში შექმნილი რეფორმების ჯგუფის წევრი, შესაძლოა, მან რუსეთსა და უკრაინას შორის გარკვეული მედიატორის როლი შეასრულოს. ასეთი რაღაცები პოლიტიკაში ჩვეულებრივი რამ არის. კულისებს მიღმა ზოგიერთი პიროვნება საკონტაქტო პირის როლს თამაშობს. მოკლედ, გამორიცხული არაფერია.

პოლიტიკა პრაგმატული სფეროა, თუმცა საქართველოს შემთხვევაში ეს პრაგმატიზმი ხშირად პოლიტიკოსთა პირად ინტერესებს ეხება.

**— გასულ კვირას რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წარმომადგენლობა გვესტუმრა. მათ დასახვედრად საქართველოს მთავრობამ უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში 17 მილიონი ლარი დახარჯა. ღირდა კი ამხელა თანხად მათი ჩამოსვლა და უახლოეს მომავალში რაიმე სიკეთეს უნდა ველოდოთ?**

— ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ ჩემს აზრს მოგახსენებთ. დღეს ბანკების ერაა. ბანკი ის დაწესებულებაა, რომელიც არაფრისგან ქმნის ფულს. თითოეული ჩვენგანი ყოველ საბანკო ოპერაციაში გარკვეულ პროცენტს ვიხდით, რაც ჯამში სოლიდური თანხაა და ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩება საქართველოში. **სწორედ ბანკებმა ითამაშეს დიდი როლი ქვეყნის მოსახლეობის გაღატაკებაში. ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა ბანკის მოვალეა, ბევრმა ბინა დაკარგა. ასე რომ, ბანკიც არის ქვეყნის კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი. ჩემში, მაგალითად, ეჭვს იწვევს ქადაგიძის მხარდამჭერი განცხადებებიც.**

„იბიარდის“ წარმომადგენლობამ მხარი ეროვნულ ბანკს დაუჭირა, რაც მაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ სიკეთეს არ უნდა ველოდოთ.

რა თქმა უნდა, იზოლაციაში ვერ ვიქნებით, მაგრამ, როდესაც ლარი ასე გაუფასურდა, საქართველოს აქტივების ფასიც საკმაოდ დაბალია. ეს კი სპეკულაციების საშუალებას იძლევა. **მოვლენები საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს და, თუ მსოფლიო პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ხშირად ქვეყნებისთვის მძიმე შედეგებით მთავრდება.**

**«საქართველოში მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაა, ამიტომ იზრდება პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის ეს ნაწილი არსებული სახელმწიფო კურსის ცვლილებას ემხრობა... მიმაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური სივრცე ევრაზიულ კავშირშია, მაგრამ უპირობოდ იქ გაწევრებაც დაუშვებელია, აუცილებლად უნდა წამოვაყენოთ ჩვენი პირობები და მათ განხორციელებას ვეცადოთ»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## უკრაინელი დეპუტატები მინისტრის პოსტიდან ალექსანდრე კვიტაშვილის გადადგომას მოითხოვენ

**უკრაინის უზენაეს რადაში შევიდა დადგენილების პროექტი, რომელიც ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის — ალექსანდრე კვიტაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს.**

ექვსმა დეპუტატმა რამდენიმე მინისტრის გადადგომის საკითხი დააყენა, მათ შორის უკრაინის შს მინისტრ **არსენ ავაკოვის**, სოფლის მეურნეობის მინისტრ **ალექსეი პავლენკოსა** და ჯანდაცვის მინისტრ **ალექსანდრე კვიტაშვილის.** დადგენილების პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები: ანდრეი დერკაჩი, ანდრეი შიპკო, ვლადიმერ ბანდუროვი, ვიქტორ რაზვადოვსკი, იგორ მოლოტოკი, მიხაილ პაპიევი, იგორ ერემეევი.



ჩემპიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ ახალგაზრდებს დიდი პატივისცემით ექცეოდნენ და იმდენ სტიპენდიას უხდიდნენ, რომ 500 აშშ დოლარს საქართველოში ოჯახებს უგზავნიდნენ ყოველწლიურად. ეს არის სპეციალური სისტემა, რომელიც განათლებისა და კულტურის მეშვეობით ქვეყნების დაპყრობას ითვალისწინებს.“**



მეუფე სპირიდონი (აბულაძე):

# თურქეთში ბევრი ბავშვი მიჰყავდათ ვითომდა სასწავლებლად, სინამდვილეში კი მათი მიზანი ამ ბავშვებისთვის მენტალიტეტის შეცვლა და გათურქება იყო!

**ზემო აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში, საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივითა და სხალთის ეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის (აბულაძე) თაოსნობით, უკვე მეშვიდე წელია, წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს. უნივერსიტეტის დაარსების მიზანი ქართველი ახალგაზრდების გადარჩენა იყო, ვინაიდან აჭარიდან თურქეთში სასწავლებლად უამრავი ახალგაზრდა მიდიოდა. საქართველოს საპატრიარქოსა და მეუფე სპირიდონის ძალისხმევის შედეგად კი აჭარელ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, უფასო უმაღლესი განათლება უკვე საქართველოში მიიღონ.**

## აჭარის უნივერსიტეტი – ქართული სულიერების გადარჩენის სადარაჯოზე

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, მთიან აჭარაში, საქართველოს საპატრიარქოსა და მეუფე სპირიდონის შემწეობით, ეროვნული საქმე კეთდება, თუმცა ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი და ეს მაშინ, როდესაც იმავე საზოგადოებაში, სასულიერო პირების ჯიპებისა და ფუფუნებით ცხოვრების საკითხები აქტუალურია.

**მეუფე სპირიდონი, სხალთის ეპისკოპოსი და უნივერსიტეტის რექტორი:**

— უმაღლესი სასწავლებელი უწმინდესისა და უნეტარესის, ივერიის პატრიარქის — ილია მეორის ინიციატივით დაარსდა. **თურქეთში ძალიან ბევრი ბავშვი მიჰყავდათ ვითომდა სასწავლებლად, სინამდვილეში კი მიზანი ამ ბავშვებისთვის მენტალიტეტის შეცვლა და მათი გათურქება იყო. ამაზე სპეციალურად მუშაობდნენ. ეს ისეთი მტკივნეული პროცესი იყო, რომ ჩაერია ეკლესია, პატრიარქი და უწმინდესის ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით, ეს უმაღლესი სასწავლებელი დაფუძნდა.** უნივერსიტეტში უკვე 18 აკრედიტებული პროგრამა მოქმედებს: 10 — ბაკალავრიატის და 8 — მაგისტრატურის; ამას გარდა, გვინდა დოქტურანტურის დამატება.

სასწავლებელი 2008 წელს დაარსდა და 2009 წელს ამოქმედდა. დღეს აქ 900-მდე ბავშვი სწავლობს. ჩვენთან სავალდებულოა სამი საგანი — ქართული ლიტერატურის ისტორია, საქართველოს ისტორია და ქართული ხელოვნების ისტორია. ეს საგნები სამი კურსის, ანუ 6-7 სემესტრის განმავლობაში გაძლიერებულად ისწავლება.

**— მეუფე სპირიდონ, უნივერსიტეტში სწავლა უფასოა, სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით. ვინ აფინანსებს ამ ყველაფერს? ხელისუფლების მხარდაჭერა თუ გაქვთ?**

— ამ ყველაფერს ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის მხარდაჭერით ვაკეთებთ. აგრეთვე, ძალიან გვეხმარება ბიძინა ივანიშვილი, ის ყოველთვიურად გვირიცხავს თანხას; გვეხმარება ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელმაც მოინახულა უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტში ახალგაზრდები ეროვნული სულისკვეთებით იზრდებიან. ამას ადასტურებს ისიც, რომ აქ თითქმის ყოველ დღე ნათლობაა. ახალგაზრდები მოდიან საკუთარი სურვილით და ინათლებიან. ჩვენ არავის ვეუბნებით, რომ მართლმადიდებლურად მოინათლოს, მეტიც — თუ ბავშვი არასრულწლოვანია, მშობლების თანხმობის გარეშე არ ვნათლავთ და ხშირად ისეც ხდება, როდესაც მშობელი თანხმდება შვილის მართლმადიდებლურად მონათვლას, მთელი ოჯახი ქრისტიანდება ხოლმე. შარშანწინ პატრიარქი ბრძანდებოდა ჩვენთან და 1200 ბავშვი მოინათლა!

**უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკრედიტებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მსურველებს შეუძლიათ, ისწავლონ ფილოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, განათლების, ჟურნალისტიკის, საჯარო მმართველობის, ბიზნესის ადმინისტრირების, სამართალმცოდნეობისა და აგრარული მეცნიერებები, საექთნო საქმე.**



**«საქართველოში არსებობს თურქული საბავშვო ბაღები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. ჩვენს ტელეეკრანებზე რეგულარულად გადის თურქული სერიალები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრი გახსნეს, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ვაჟას, აკაკისა და შოთა რუსთაველის კაბინეტები დახურეს»**



**უნივერსიტეტის პარალელურად, ფუნქციონირებს გიმნაზია, რომელშიც 600-მდე მოზარდი სწავლობს. აქ სწავლა უფასოა და მოსწავლეები დღეში სამჯერადი კვებითაც არიან უზრუნველყოფილნი. უნივერსიტეტს აქვს დიდი დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორია, სტუდენტები სწავლის პარალელურად, პრაქტიკულ მეცადინეობებსაც გადიან. მეუფე წარჩინებული სტუდენტების დასაქმებაზეც ზრუნავს.**

**მერი მახარაძე, ბიზნესის ადმინისტრირების მესამე კურსის სტუდენტი:**

— დიდი სურვილი მქონდა, ამ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, რადგან ჩემი ახლობლები სწავლობდნენ და მსმენოდა, რომ ახალგაზრდისთვის აქ კარგი განათლების მიღების საშუალება იყო. სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაშიც ვაპირებ.

**სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი, კანცელარიის თანამშრომელი ნინო კიკნაველიძე** ზესტაფონიდანაა; უკვე მესამე წელია, უნივერსიტეტში მუშაობს და იქვე ცხოვრობს:

— უნივერსიტეტში ასი ფრიადოსანი გვყავს და თითოეულს, ვინც კონფერენციაში მონაწილეობს, ასი ლარი აქვს სტიპენდია. ეწყობა შემოქმედებითი საღამოები, კონფერენციები. ზოგი მეოთხე კურსელი ჩვენს უნივერსიტეტში გადის პრაქტიკულ მეცადინეობებს, ზოგი კი — მერიასა და გამგეობაში. ყველა წარჩინებული სტუდენტი მეუფემ დაასაქმა. პერსონალი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, ბავშვებიც კმაყოფილნი არიან ლექტორებით, რომლებიც მათთვის ძალისხმევას არ იშურებენ.

## მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – უნივერსიტეტის მხარდასაჭერად

დედაქალაქიდან ნებისმიერი მხარდაჭერა და ყურადღება აჭარის უმაღლესი სასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთ მხარდაჭერას იჩენს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისადმი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ვინაიდან აქ კარგად ესმით ამ უნივერსიტეტის მნიშვნელობა. ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები — **გიორგი კვესიტაძე, ელიზბარ ჯაველიძე, იგორ ჩხეიძე, მინდია უგრეხელიძე, ომარ გოგიაშვილი, რამაზ შენგელია, როინ კოპალიანი, ზურაბ ლომთათიძე, ირაკლი ჟორდანია, ომარ მარგველაშვილი** ახლახან უკვე მეორედ ეწვივნენ უნივერსიტეტს და სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხეს.

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— ამ უნივერსიტეტის არსებობა ურთულესი ეროვნული პრობლემის გადაჭრის მცდელობაა. ჩემი ინფორმაციით, აჭარიდან თურქეთში სასწავლებლად ყოველწლიურად სამი ათასამდე ბავშვი გაჰყავდათ. **ამ ახალგაზრდებს დიდი პატივისცემით ექცეოდნენ და იმდენ სტიპენდიას უხდიდნენ, რომ 500 აშშ დოლარს საქართველოში ოჯახებს უგზავნიდნენ ყოველწლიურად. ეს არის სპეციალური სისტემა, რომელიც განათლებისა და კულტურის მეშვეობით ქვეყნების დაპყრობას ითვალისწინებს.** დღეს ჩვენი განათლების სისტემას რომ გადახედოთ, ნახავთ, რომ **საქართველოში არსებობს თურქული საბავშვო ბაღები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. ჩვენს ტელეეკრანებზე რეგულარულად გადის თურქული სერიალები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრი გახსნეს, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ვაჟას, აკაკისა და შოთა რუსთაველის კაბინეტები დახურეს.**

პროფესიით თურქოლოგი ვარ, თურქული კულ- ▶

# ექსპერტთა აზრით, ნათელია, რაც ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში ხდება: მაკედონია რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებას შეეწინააღმდეგა და მხარი ე.წ. თურქული ნაკადის პროექტს დაუჭირა, შედეგად პრობლემები მიიღო.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ტურის შესახებ მონოგრაფიები მაქვს დაწერილი და კარგად ვიცი მათი ფსიქოლოგია. თურქის გონებიდან ვერ ამოშლი, რომ ბათუმი და აჭარა მისია. თურქეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ დავით ოღლუმ განაცხადა კიდეც, ჩვენ უნდა აღვადგინოთ დიდი ისლამის იმპერიაო და, როდესაც ასეთ ვითარებაში იხსნება ქართული უნივერსიტეტი, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. **ეს ბავშვები, თურქეთში კი აღარ მიდიან, აქ მკვიდრდებიან, საქართველოშივე იღებენ განათლებას. ამ უნივერსიტეტში სასწავლებლად, არამხოლოდ აქაური აჭარლები, თურქეთში მცხოვრები ქართველებიც მოდიან. სწორედ ეს არის შემობრუნება სულიერებისკენ, მართლმადიდებლობისკენ.** ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მართლმადიდებლურ დღესასწაულზე ხულოში ეკლესია მართლმადიდებლებით იყო სავსე, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი მუსლიმანი ცხოვრობს. ამდენი ხალხი ეკლესიაში თბილისში არ მინახავს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მართლმადიდებლობამ შეგვანარჩუნებინა ეროვნება. **ქრისტიანობა ყოველთვის იყო ქართული აზროვნების ღერძი და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ილია ბრძანებდა, როდესაც ქართველი იცავდა ერს, — იცავდა მართლმადიდებლობას; როდესაც იცავდა მართლმადიდებლობას, — იცავდა ქართველობასო. აი, ასეთი დაცვაა დღეს მეუფე სპირიდონის მოღვაწეობა. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მეუფე სპირიდონი ილიას დონის კაცია.**

დღეს საქართველოს გადარჩენის საკითხი დგას, მაგრამ ხმალი ვერაფერს დაგვაკლებს, თუ სულიერად ძლიერები ვიქნებით. ამ სულიერ სიძლიერეს კი მხოლოდ განათლება ქმნის.

**გიორგი კვესიტაძე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:**

— მეცნიერებათა აკადემია დიდი თანადგომითა და სიხარულით მიესალმება შესანიშნავი პატრიოტის, მეუფე სპირიდონის მოღვაწეობას, რომელიც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. აქ, ამ მთიან აჭარაში უნივერსიტეტის გახსნა, ჩამოყალიბება და ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოუდგენელია ამის შეფასებაც კი, ისეთი დიდი საქმე კეთდება.

**მინდია უგრეხელიძე, სამართალმცოდნე, უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე:**

— ეს უმაღლესი სასწავლებელი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. საქმე, რომელიც აჭარაში კეთდება, არამხოლოდ რეგიონისთვის, არამედ ზოგჯერ დიდი მასშტაბის ქალაქებისთვისაც კი წარმოუდგენელია და ამ დიდ საქმეს უძღვება ისეთი სწორუპოვარი პიროვნება, როგორიც მეუფე სპირიდონია. მეუფე დიდ საქმეს შეეჭიდა. ეს ქართული სულიერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, ისეთ რეგიონში, რომელიც არაერთხელ ყოფილა დაღუპვის პირას, მაგრამ სიცოცხლისუნარიანობა ყოველთვის გამოუჩენია. ჩვენი ვალია, იმ ადგილებისადმი, სადაც დაირწა ქართული, ქრისტიანული აკვანი, განსაკუთრებული ყურადღება და თანადგომა გამოვიჩინოთ.



**ირაკლი ჟორდანია, აკადემიკოსი:**

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ის საქმიანობაა, რომელსაც მეუფე სპირიდონი აკეთებს აჭარაში. ეს უდიდესი ეროვნული საქმეა. მსგავსი საქართველოში არაფერი ხდება და მე დღეს არ ვიცი მეუფე სპირიდონის მსგავსი პიროვნება, რომელიც ასე დგას ქართული სულიერების სადარაჯოზე.

**ომარ გოგიაშვილი, სპორტის აკადემიის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი:**

— იქიდან გამომდინარე, რაც დიდაჭარაში ვნახე, ვიტყვი, რომ ჩვენი მეუფის მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობას შეიძლება შევადაროთ. მთიან რეგიონში ასეთი სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება ღვთის წყალობაა. აჭარელ ახალგაზრდებს განათლების, ცოდნის მიღების შანსი მიეცათ. ევროპისა და ამერიკის 40-მდე უნივერსიტეტში ვარ ნამყოფი და, რაც აქ კეთდება, ბევრ ტრადიციულ უნივერსიტეტში ვერ ნახავ.

**იგორ ჩხეიძე, ყოფილი ვიცეპრემიერი:**

— ჩვენ სასწაულ ადგილზე ვიმყოფებით, აჭარაში, საიდანაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს აღდგომის ხუთი წლის თავზე საქრისტიანოს კარი გახსნა. აჭარა — ეს ის ადგილია, სადაც ქრისტიანობა შემოვიდა მსოფლიოში, ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ აქედან დაიწყო საოცარი სასწაული, რომელსაც საქრისტიანო ჰქვია.

## ქრისტიანული დღესასწაული აჭარაში

როგორც ცნობილია, ანდრია მოციქულმა საქართველოს გაქრისტიანება აჭარიდან დაიწყო. სწორედ ამიტომ 12 მაისი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემოსვლის დღე საქართველოში, აჭარაში განსაკუთრებულად აღინიშნება. სასიხარულო იყო იმის დანახვაც, როგორ აღნიშნავს ხალხი ქრისტიანულ დღესასწაულს ხულოში, სადაც უმრავლესობა მუსლიმანი ცხოვრობს. ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარი, ცუდი ამინდის მიუხედავად, ხალხს ვერ იტევდა.

ანდრია პირველწოდებულის შემოსვლის დღე საქართველოში და დიდაჭარობის დღესასწაული აჭარაში მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა. პატრიარქის კურთხევით, ტაძარში აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი მოაბრძანეს. წირვის შემდეგ კი დიდაჭარის საჯარო სკოლაში გაიმართა საზეიმო შეხვედრა, რომელსაც აკადემიკოსები, ადგილობრივი მაღალჩინოსნები და მოსახლეობა ესწრებოდნენ. სიტყვით გამოვიდნენ და მოსახლეობას დღესასწაული მიულოცეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ავთო ბერიძემ** და პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერმა **თემურ შაშიაშვილმა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ხანდაზმულთა ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბერმუხამ“, რომლის ყველაზე ხნიერი წევრი მუჰამედ ირემაძე 92 წლისაა და, ასაკის მიუხედავად, გასაოცარი შემართებით ცეკვავს.**

ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირება არამხოლოდ აჭარის, არამედ სრულიად საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია; განსაკუთრებით დღეს, როდესაც ისედაც მასშტაბური ემიგრაციის პირობებში, აჭარელ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მისაღებად უცხო ქვეყანაში — თურქეთში წასვლა აღარ მოუწევთ და სამშობლოში სრულფასოვანი განათლების მიღებას უფასოდ შეძლებენ.

**მოამზადა შორენა ციცქარაშვილმა**

# სავალუტო ფონდი:
# 2015 წელს კავკასიაში ეკონომიკური აქტიურობის დაღმასვლა გაგრძელდება

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ 2015 წლის მაისის ანგარიშში ნათქვამია, რომ 2015 წელს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური აქტიურობის დაღმასვლა გაგრძელდება.**



ანგარიშის თანახმად, 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) 4.7%-დან 2 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა 2016 წლისათვის მოსალოდნელია 3 პროცენტამდე მატება. სომხეთში, ყაზახეთში, საქართველოსა და ტაჯიკეთში წელს ინფლაციის ზრდა 1-დან 7 პროცენტამდეა მოსალოდნელი.

„ექსპორტისა და ფულადი გადარიცხვების შემცირებამ, ასევე რუბლის გაუფასურებამ ცენტრალური აზიის ქვეყნების ვალუტებზე გავლენა იქონია, შედეგად თურქმენეთსა და აზერბაიჯანში 2015 წლის დასაწყისში ვალუტებმა დევალვაცია განიცადა. სომხეთში, საქართველოში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში კი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურება დაუშვეს საერთაშორისო რეზერვების დასაცავად და ფულადი გზავნილების შიგა სავალუტო ღირებულების მხარდასაჭერად“, — წერია ანგარიშში.

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშია აღნიშნული, იმისათვის, რომ ინფლაცია არ გაღრმავდეს, შესაძლოა, საჭირო გახდეს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება რეგიონში, ღრმა სტრუქტურული რეფორმები კი გაზრდის პერსპექტივას და ეკონომიკურ ზრდას უფრო ინკლუზიურს და დივერსიფიცირებულს გახდის.

# აშშ-მა მაკედონიაში «მაიდანი» აამუშავა




**17 მაისს მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ათიათასობით ადამიანი გამოვიდა საპროტესტო აქციაში მონაწილეობისთვის, რამდენიმე ასეულმა კი მთავრობის შენობასთან კარვები გაშალა.**

**აქციის მონაწილეებმა, რომლებიც მაკედონიისა და ალბანეთის დროშებს აფრიალებდნენ, მთავრობა კორუფციულ გარიგებებში, პრესაზე ზემოქმედებასა და სატელეფონო საუბრების მოსმენაში დაადანაშაულეს და პრემიერმინისტრ ნიკოლა გრუევსკის გადადგომა მოითხოვეს (გასულ კვირას პოსტიდან გადადგა ორი მინისტრი, აგრეთვე, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი).**

მთავრობა უარყოფს ბრალდებებს და ოპოზიციას ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს.

ექსპერტთა აზრით, ნათელია, რაც ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში ხდება: მაკედონია რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებას შეეწინააღმდეგა და მხარი ე.წ. თურქული ნაკადის პროექტს დაუჭირა, შედეგად პრობლემები მიიღო.



**გეოპოლიტიკის ამერიკელ რეჟისორებს ხელთ უპყრიათ ქმედუნარიანი ინსტრუმენტი — აშშ-ის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), რომელსაც საქართველოშიც კარგად იცნობენ, ეს ორგანიზაცია ბევრ ქვეყანაში მოწყობილ რევოლუციებში მონაწილეობდა. მას აქვს ფუნქცია, ცალკეულ ტერიტორიაზე შექმნას მართვადი ქაოსი იმ შემთხვევაში, როცა ეს ტერიტორია რაღაცას არასწორად აკეთებს აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების მიმართ.**

მაკედონია მსოფლიოს კიდევ ერთ ცხელ წერტილად რომ არ იქცეს, სკოპიეს მაიდნის პრობლემა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაწყდეს.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რომელი არხიც უნდა ჩართო — „იმედი“, „რუსთავი 2“ თუ ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი, 24 საათის განმავლობაში გარყვნილების ნიაღვარი მოედინება. ჩნდება შეკითხვა: ვის დაკვეთას ასრულებენ ეს არხები, ხალხის? — გამორიცხულია...“**

# რისთვის გამოუყო ევროკავშირმა საქართველოს 60 მილიონი ევრო და რას მოხმარდება ამ თანხიდან ათი მილიონი?!

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი ავთანდილ უნგიაძე.**



ავთანდილ უნგიაძე:

## ხელისუფლება კი არა, რეალურად, ეს არის მეხუთე კოლონა, გარე ძალის მიერ მართული პოლიტიკური წარმონაქმნი

— ბატონო ავთანდილ, წინა კვირას ცნობილი შეიქნა, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირი საქართველოს დასახმარებლად 60 მილიონ ევროს გამოუყოფს. ამ თანხიდან 50 მილიონი მართლმსაჯულების სექტორის მხარდამჭერ პროგრამებს უნდა მოხმარდეს, ათი კი — ინიციატივა „მეტი მეტისთვის“ ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას. რა მიზანს ემსახურება ეს დახმარება და რას შეიძლება გულისხმობდეს ზემოაღნიშნული ინიციატივა?

— პირდაპირ ვთქვათ: **აქ ფული იგზავნება იმისთვის, რომ გარკვეული ძალები იყიდონ, აქციონ თავიანთ მოკავშირეებად და ეს ძალები მერე ზედმიწევნით შეასრულებენ დასავლეთის დირექტივებს. ამ ძალებში ვგულისხმობ ხელისუფლებას და მასთან ერთად ე.წ. არასამთავრობო სექტორსაც.**

რაც შეეხება კონკრეტულ პროგრამებს, რეკომენდაციაში შავით თეთრზე წერია, რომ **სამოციდან ათი მილიონი ევრო უნდა მოხმარდეს ადამიანის უფლებების დაცვას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს თანხა არ დაიხარჯება, საზოგადოდ, ადამიანის უფლებებზე; მას სრულად მოახმარენ ე. წ. სექსუალური უმცირესობების დაცვის პროპაგანდას და მოხდება გარყვნილების კიდევ უფრო ფართო აფიშირება.** თუმცა ეს, ალბათ, მხოლოდ დასაწყისია და მომავალში უფრო დიდ თანხებზე იქნება საუბარი. ეს არის გეგმა, რომელსაც ამერიკა და ევროკავშირი ახორციელებს ეტაპობრივად...

**— ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, დავაკონკრეტოთ, რა იგულისხმება პროპაგანდასა და აფიშირებაში.**

— ერთ ფაქტზე მოგახსენებთ: **16 მაისს იყო აწყურის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღე და სამღვდელოებამ მრევლთან ერთად მოაწყო მსვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მსვლელობაში მონაწილეობდა ათასობით ადამიანი, არც ერთმა ტელევიზიამ არ გააშუქა. სამაგიეროდ, მეორე დღეს რამდენიმე კაცმა აქცია ჩაატარა მრგვალ ბაღში ე.წ. სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერად და ჟურნალისტები ერთმანეთს ახტებოდნენ. რას ნიშნავს ეს?!**

**— თქვენი აზრით?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ის **მილიონები, რომელიც დასავლეთიდან იგზავნება, ხმარდება პროპაგანდას და ეს პროპაგანდისტები, რასაც იქიდან კარნახობენ, იმას აშუქებენ. ესენი არიან დაქირავებული აგენტები და მათთვის მთავარია, აიღონ ფული. მორჩა, დანარჩენი, რაში აიღებენ, რას მოსთხოვენ სანაცვლოდ და რას დაავალებენ, მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერ რამეზე არიან წამსვლელები.**

**— ანუ ფიქრობთ, რომ ტელევიზიებიც გარე ძალებისგან ფინანსდებიან?**

— მე ამ შემთხვევაში ვმსჯელობ შედეგით და შედეგი არის ის, რომ, რომელი არხიც უნდა ჩართო — „იმედი“, „რუსთავი 2“ თუ ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი, 24 საათის განმავლობაში გარყვნილების ნიაღვარი მოედინება. ჩნდება შეკითხვა: ვის დაკვეთას ასრულებენ ეს არხები, ხალხის? გამორიცხულია, ასეთ შემთხვევაში ის გარყვნილების პროპაგანდა საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელი არ იქნებოდა. პირიქით — ყველა იტყოდა, რომ ეს კარგია და მისასალმებელი; ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ესენი არიან დაქირავებული პროპაგანდისტები და, რასაც აკეთებენ, თუნდაც იმ აღვირახსნილი შოუების სახით, ყველაფერი არის მიზანმიმართული პოლიტიკა. ის 10 მილიონი ემსახურება საქართველოს ლგბტ-ზაციას და მერწმუნეთ, ამ მიზნით გამოყოფილ მილიონებს მომავალშიც არაერთხელ ვიხილავთ.

**— რა აზრის ხართ ამერიკის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის მიერ წინა კვირას ე.წ. სექსუალური უმცირესობების მიმართ გაკეთებულ განცხადებაზე? მან თქვა, რომ გამოხატვის თავისუფლება ყველა ადამიანის უფლებაა და ეს უფლება არავის უნდა ეზღუდებოდეს.**

— ნორლანდზე სულ ორი სიტყვით, შემიძლია, გითხრათ — მისგან ეს არ მიკვირს.

რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას, **მინდა, მკითხველს შევახსენო, რა რეკომენდაციებს აძლევდა ევროკავშირი საქართველოს 2012 წელს. აი, მაგალითად: „იმის გათვალისწინებით, რომ მშობლის უფლებასა და მეურვეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, წევრმა სახელმწიფოებმა (ევროპის მინისტრთა საბჭოზეა საუბარი) უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით. სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტიანი დაცვა ოჯახური ძალადობისგან, მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლისგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს, გაიარონ სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად.“**

ხვდებით, რაზეა საუბარი? **ამათ რომ ჰკითხოთ, თურმე ბავშვმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ბიჭია თუ გოგო, თურმე მშობელს უფლება არ აქვს, ჩაერიოს შვილის აღზრდაში. რა ჰქვია ამას? ეს არის ჩვენი არჩევანი? როდესაც ევროინტეგრაციაზე ვსაუბრობთ და ძარღვის გაწყვეტამდე გავიძახით, ევროპის იქით გზა არ გვაქვსო, ამ ევროპაში გვინდა ყოფნა?!**

— გასაგებია, მაგრამ რეკომენდაცია ხომ არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად უნდა შესრულდეს?

— რეკომენდაციას ისე ამბობენ, საზოგადოებას რომ შეაყარონ თვალში ნაცარი, თორემ, აბა, არ შეასრულოს ხელისუფლებამ რომელიმე მათგანი და ნახავთ, რაც დაემართებათ. ყველამ ვიცით, რომ სინამდვილეში ეს არის დირექტივები და ესენი ვალდებულნი არიან, ზედმიწევნით განახორციელონ. ამიტომ ერთია ტერმინი და მეორეა, რა იგულისხმება მის მიღმა.

აქვე მკითხველს კიდევ ერთ „რეკომენდაციას“ შევახსენებ, რომელიც განათლების სამინისტროს მისცეს: **„განათლების სამინისტრომ, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, უნდა შეიმუშაოს პროგრამები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას. მაგალითად, შესაძლებელია სასკოლო პროგრამაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვა...“**

ანუ ეს რას ნიშნავს — **ბავშვები სკოლის მერხიდანვე უნდა მომზადდნენ ისე, რომ მათთვის სექსუალური გადახრა ჩვეულებრივი მოვლენა იყოს. არავის აზრადაც არ უნდა მოუვიდეს, რომ მამაკაცის სექსუალური ლტოლვა მამაკაცისადმი ან ქალის — ქალისადმი, ნორმალური არ არის, რომ ეს არის ავადმყოფობა და არ შეიძლება ამას, როგორც ბუნებრივ მდგომარეობას, ისე ვუყუროთ.**

**— როგორ ფიქრობთ, მოხერხდება ამ „რეკომენდაციების“ განხორციელება საქართველოში?**

— მოხერხდება კი არა, ეს გარდაუვალია, თუ საზოგადოება არ იქნება პრინციპული და არ დაანახვებს ხელისუფლებას, რომ მსგავს ცვლილებებს არ შეეგუება. მეტსაც გეტყვით, **ახლა მიმდინარეობს საზოგადოების მოსინჯვა, — ნელ-ნელა აწვეთებენ ხალხს რაღაც-რაღაცებს და, თუ დარწმუნდებიან, რომ ხმის ამომღები არავინ არის, დაიწყება ე.წ. რეფორმები.** თანაც, ამას დიდი დრო არ დასჭირდება, ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე, — თუ საზოგადოება იქნება პრინციპული და სოლიდარული, ცხადია, მათ გაუჭირდებათ თავიანთი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა...

**— ბოლო ხანს ე.წ. ლგბტ პირების უფლებათა დაცვის პროპაგანდაში სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებიც აქტიურად მონაწილეობენ. მაგალითად, ამასწინათ ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, გამოხატვის უფლება ყველა ადამიანს თანაბრად აქვს და ერთი ჯგუფი მეორეზე არ უნდა ძალადობდესო.**

— ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ქრისტეს სახელით ცდილობენ ცოდვის გამართლებას. არ მინდა, დავიჯერო, მაგრამ ასეთი ადამიანები, შეიძლება, ჩვენს ეკლესიაშიც მოძებნონ.

რაც შეეხება კონკრეტულად კათოლიკურ ეკლესიას, რომის პაპმა ამას წინათ პირდაპირ განაცხადა, ჩვენ უნდა ვიყოთ ტოლერანტულები სექსუალური უმცირესობების მიმართ, ისინი ეკლესიაში უნდა მოვიდნენ და შევიწყნაროთო. კი, ბატონო, მოვიდნენ, ჩვენი კარიც ღიაა მათთვის და მოდიან კიდეც, ვისაც ამის სურვილი აქვს, მაგრამ ერთია, კარის გაღება და მეორეა, ცოდვის მიმართ შემწყნარებლობა. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **მე, როგორც მართლმადიდებელი ქართველი, ვერ ვიქნები სოდომური ცოდვის მიმართ შემწყნარებელი, ვერ მივიღებ ამას, როგორც ნორმალურ მოვლენას, და ვერ ვიტყვი, რომ ეს არ არის გადახრა. ჩვენი სარწმუნოება ამას არ გვასწავლის და არ გვეუბნება, ცოდვა უნდა შეიწყნაროთო.** ვისაც სხვანაირად სწამს კიდევ, იმას თავის გზა აქვს და მართლმადიდებლობა თავს არავის არაფერს ახვევს. აქ, უბრალოდ, საუბარია იმაზე, რომ პროპაგანდა არ უნდა ხდებოდეს; **სასულიერო პირად რომ მოაქვს თავი, პაზოტო იქნება თუ სონღულაშვილი, აგიტაციას არ უნდა ეწეოდეს და არ უნდა „ქადაგებდეს“, ტოლერანტულები ვიყოთო...** დანარჩენი, ყველა ყველაფერში თავისუფალია და ვინც რაც უნდა ილაპარაკოს, სხვა კონფესიები რაზე რას ფიქრობენ, ჩვენ არ გვეხება...

**— ამას წინათ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც დაუსვეს შეკითხვა, — არის თუ არა ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაო, და ყველამ განაცხადა (ზვიად ძიძიგურის გარდა), რომ არ არის.**

— ესენიც ისეთივე გაყიდულები არიან, როგორც ის ე.წ. არასამთავრობოები და ტელევიზიები, რომლებიც დასავლეთის ინსტრუქციით მოქმედებენ. ხელისუფლება კი არა, რეალურად ეს არის მეხუთე კოლონა, გარე ძალის მიერ მართული პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს საკუთარი ქვეყანა. მათ აინტერესებთ მხოლოდ ძალაუფლება და ფული, ასე რომ, ნურაფერი გიკვირთ. რაც ხდება, სავსებით ლოგიკურია, ეს იყო იმთავითვე ამათი ამოცანა და ამ პირობით დასვეს თავის დროზე ქვეყნის სათავეში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო



## ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს სიკვდილი მიუსაჯეს

**ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ მუჰამედ მურსის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. ეს ვერდიქტი ექსპრეზიდენტს 2011 წელს ერთ-ერთი ციხიდან პატიმრების მასობრივი გაქცევის საქმის გამო გამოუტანეს.** მურსის გასულ თვეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა კიდევ ერთი ბრალდების — 2013 წელს მასობრივი დემონსტრაციების დროს აქტივისტების წამებისა და დაკავების ბრძანების გაცემის გამო მიუსაჯეს. მუჰამედ მურსი 2013 წლის ივლისში გადააყენეს. იგი დემოკრატიული გზით არჩეული პირველი პრეზიდენტი იყო. მისი გადაყენების შემდეგ ეგვიპტის სათავეში მოსულმა მთავრობამ მურსის ფავორიტი მოძრაობა „ძმები მუსლიმანები“ აკრძალა, მისი ათასობით მხარდამჭერი კი დააკავა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მივმართავ ქართულ დიასპორას: თუ არ გინდათ, იქცეთ საქართველოს დამაქცევარი მენშევიკური მთავრობის ადგილმონაცვლედ, გაერთიანდით ალექსანდრე ჭაჭიას გარშემო და შექმენით საქართველოს ამერიკისგან ხსნის ერთობლივი კომიტეტი. თქვენ გაქვთ საკმარისზე მეტი ინტელექტი და ფინანსები, რომლითაც შესაძლებელია, შექმნათ რეალური შანსი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც დაკავშირებული იქნება ქრისტიანულ სამყაროსთან და უფრორე — ერთმორწმუნე რუს ხალხთან, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება გვაკავშირებს.**

# ღია წერილი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას

**1952 წლის 14 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის დასკვნით სხდომაზე, პრეზიდიუმის ბოლო რიგიდან ცენტრალური ტრიბუნისკენ კაცი გაემართა. ათასობით თვალი აკვირდებოდა მის გამოჩენას ტრიბუნაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა კრემლის ბინადარი, რომელსაც, ეს-ეს არის, საუბარი უნდა დაეწყო.**



მცირეოდენი პაუზის შემდეგ „ძე კაცისამ“ თვალი მოავლო თავის „მრევლს“ და დარბაზიც გამოერკვა. სუნთქვაშეკრულმა ხალხმა იხუვლა აღტაცებული შეძახილებით. ტაში და ოვაციები, იატაკზე ფეხების ბრაგუნი არ წყდებოდა. აღტაცებულთა ხმის ტალღა ისეთი ძლიერი იყო, რომ შენობის კონსტრუქციულ ნაწილს საფრთხე შეექმნა. დამანგრეველი ტალღა, არათუ მცირდებოდა, თანდათან ძლიერდებოდა. ბელადის ხელის მოძრაობა ვერ აკავებდა ხალხის ემოციებს. ხალხის ექსტაზი ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა. სტალინმა მიკროფონი გაისწორა და დარბაზიც გაირინდა, თითქოს მკვდრების ქალაქად გადაიქცა. დინჯი, დაგუდული ხმით გაისმა წარმოთქმული მრავალგზის მოსმენილი სიტყვა: „ამხანაგებო!“.

თორმეტი წუთის განმავლობაში იღვრებოდა ყრილობათა სასახლეში სიბრძნე და სიყვარული, ცხადდებოდა დედამიწაზე მცხოვრები ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიადი პროგრამა. სტალინმა დაანახვა და აუხსნა ხალხებს, როგორ უნდა აიღონ ბურჟუაზიის მიერ ტალახში გადაგდებული ეროვნული დამოუკიდებლობის დროშა და როგორ გაუძღვნენ მასებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

„თორმეტი წუთის განმავლობაში ყრილობის დელეგატებმა თერთმეტჯერ შეაწყვეტინეს თავიანთ ბელადს სიტყვა ტაშითა და ოვაციებით“ (ყრილობის მონაწილის — მიხეილ ციხისთავის მონათხრობიდან. — გრ. ონიანი).

ბარაკ ობამას კი თავისი სულელური გამოსვლისას სენატში ჯანმრთელობის კანონპროექტზე, რომელიც არც განხორციელებულა, 86-ჯერ გაუმართეს ოვაცია (კომენტარი თქვენთვის მომინდვია — გრ. ონიანი).

ბატონო ალექსანდრე, ინტერნეტში ვნახე თქვენი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი „პაკლონნაია გორაზე“ გამართულ ფორუმზე. პირველი შთაბეჭდილება ისეთი დიდი იყო, რომ აზროვნების უნარი დავკარგე — მისტიკურ სამყაროში აღმოვჩნდი. თითქოს 67 წლის წინათ ნათქვამი სიტყვები გალაქტიკიდან უკან მოაბრუნეს და ახლა ყურში ჩამესმის — შინაარსით, ხმით, დიქციით, სუნთქვითა და სიდინჯით. უკან ვაბრუნებ კადრებს და დაჟინებით ვუყურებ და ვუსმენ. ეს ის არის... არა, ეს ის არ არის. არის თუ არ არის?! ვარ თუ არა საღი და ვაზროვნებ თუ არა სწორად — აი, ამას ვარკვევდი და თვალი ვიდეოკლიპის ბოლოს არსებულ ჩანაწერზე გამექცა. ორი საათის წინათ დადებულ მასალას უკვე 600-ზე მეტი პოზიტიური კომენტარი ჰქონდა, ორიოდე დღეში იგი ათობით გამოცემამ გამოაქვეყნა, ხოლო ნახვების საერთო რაოდენობამ მილიონს მიუკაკუნა. ვკითხულობდი და ცრემლს ვერ ვიმაგრებდი. **ნუთუ კიდევ გაჩნდა ქვეყანაზე კაცი, რომელსაც ხალხი სტალინს ადარებს?! 600-ზე მეტი ადამიანიდან, რომლებმაც აღტაცებული კომენტარი დატოვეს, 47-ს უშუალოდ სტალინს აგონებს თქვენი გამოსვლა და ამით ბედნიერია. 115 რესპონდენტზე მეტს ასეთი შეფასება აქვს: „მოლოდეც, გრუზინ!**

**ბატონო ალექსანდრე, ვამაყობ თქვენი ქართველობით, თქვენი ცოდნითა და გამბედაობით, რომლითაც მიუახლოვდით მსოფლიო პოლიტიკის აბსოლუტურ ჩემპიონს, საერთაშორისო ორთაბრძოლების დამსახურებულ ოსტატს — გორელ იოსებ ჯუღაშვილს. თქვენ უკვე ვალდებული ხართ, აიღოთ ხელში ჯვარი და ხმალი — იბრძოლოთ ღმერთისა და ხალხის სახელით „საშინელი სამსჯავროდან“ ქვეყნის დასახსნელად.** თქვენ არწივის კვერცხიდან გამოჩეკილი ხართ, მყინვარწვერზე კი ყვავ-ყორანი დაბუდებულა.

**ბატონო ალექსანდრე, ვამაყობ თქვენი ქართველობით, თქვენი ცოდნითა და გამბედაობით, რომლითაც მიუახლოვდით მსოფლიო პოლიტიკის აბსოლუტურ ჩემპიონს, საერთაშორისო ორთაბრძოლების დამსახურებულ ოსტატს — გორელ იოსებ ჯუღაშვილს. თქვენ უკვე ვალდებული ხართ, აიღოთ ხელში ჯვარი და ხმალი — იბრძოლოთ ღმერთისა და ხალხის სახელით «საშინელი სამჯავროდან» ქვეყნის დასახსნელად**

თქვენი გამოსვლით ქართულმა „ჯულამ“ კვლავ გაკვესა ნაპერწკალი, მგონი, კვლავ იჭედება და ილესება ქართული ფოლადი, ნუთუ დადგება დრო შეძახილისა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.

**„ნურც გვენახოს,**
**მყინვარწვერს**
**მტრის მახვილი წვდებოდეს**
**და არწივთა ნაბუდარს**
**ყვავ-ყორანი ჯიჯგნიდეს“.**

მივმართავ ქართულ დიასპორას: თუ არ გინდათ, იქცეთ საქართველოს დამაქცევარი მენშევიკური მთავრობის ადგილმონაცვლედ, გაერთიანდით ალექსანდრე ჭაჭიას გარშემო და შექმენით საქართველოს ამერიკისგან ხსნის ერთობლივი კომიტეტი. **თქვენ გაქვთ საკმარისზე მეტი ინტელექტი და ფინანსები, რომლითაც შესაძლებელია, შექმნათ რეალური შანსი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც დაკავშირებული იქნება ქრისტიანულ სამყაროსთან და უფრორე — ერთმორწმუნე რუს ხალხთან, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება გვაკავშირებს.**

ჩვენ, ქართველები, ყოველთვის ვიყავით რუსული პოლიტიკის მწვერვალებთან ჩვენს წიაღში აღზრდილი გამოჩენილი ადამიანებით: სტალინით, ივანოვით, ლავროვით, შევარდნაძით, პრიმაკოვით, ლავრენტი ბერიათი და სხვა მრავალით.

ჩვენ, ქართველ ხალხსა და პოლიტიკოსებს, რომლებსაც ცხოვრება პატარა ქვეყანაში გვიხდება, შემოჭერილი გვაქვს უცხოური დაზვერვისა და აგენტურის მარწუხები, არ გვაქვს თავდაცვისა და წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საშუალება. ამიტომ იმედის თვალი თქვენკენ გვაქვს მოპყრობილი და, თუ თქვენ არ ხართ თავკერძა და ვიწრო პირადულ ინტერესებში ჩაკეტილი, კიდევ ერთხელ გთხოვთ: დაგვიბრუნეთ კავკასიონის ქედიდან გატაცებული ამირანი, შეაჩერეთ საზღვარგარეთ ქართველი ბიჭების გათხოვება, აღადგინეთ მორალური კოდექსი ქართულ ოჯახში!

მართალია, მე თქვენ ვერ გხედავთ, მაგრამ „მე ვხედავ მზეს“.

პატივისცემით,

**გრიგოლ ონიანი**

# ფსევდობაიკერები და მათი სპონსორები

**დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70-ე წლის აღსანიშნავად რუსეთიდან საქართველოში შემოსულ „ბაიკერებს“ ზოგიერთი ქართველი „ბაიკერი“ დაუპირისპირდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნამდვილ ქართველ „ბაიკერებს“ ამ ავანტიურასთან არაფერი აკავშირებთ. ევრაზიის ინსტიტუტის პორტალმა „პოლიტფორუმმა“ გამოარკვია, რომ ე. წ. ქართველი ბაიკერები იმართებოდნენ ყოფილი ხელისუფლების, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, მომხრეების მიერ.**

ლაშა ბრეგვაძე მოტოციკლზე




ფოტოზე ასახულია **ლაშა ბრეგვაძე**, რომელიც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში რუსთავის მე-17 საპყრობილის (ე. წ. მეორე ზონა) დირექტორად, უფრო ადრე კი ე. წ. მე-6 კრიტის დირექტორად მუშაობდა. იგი არის პენიტენციარული სისტემის ყოფილი შეფის — ბაჩო ახალაიას ახლო მეგობარი. სანდო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ლაშა ბრეგვაძე გალახეს და დაამცირეს ყოფილმა პატიმრებმა (მეორე სურათი), რომლებსაც იგი სააკაშვილის რეჟიმის დროს სასტიკად ეპყრობოდა.

ბრეგვაძის ხელმძღვანელობით, „ბაიკერების“ ყველა ქმედების უკან დგას სააკაშვილის რეჟიმის კიდევ ერთი სადისტი **ამირან მესხელი**, რომელიც ახლა კიევში ცხოვრობს. **დაფინანსება „ბაიკერებისათვის“, სხვა ფსევდოსაზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, წამოვიდა ფონდ „იდენტობიდან“, რომელიც ასოცირებულია ე. წ. ლგბტ საზოგადოებასთან. სწორედ ამ ფონდის ადვოკატმა ქეთევან არახამიამ მოუწყო სიღნაღში რუს ბაიკერებს პროვოკაცია.**

ფსევდობაიკერების, „თავისუფალი ზონის“, ასევე საფეხბურთო ფანატების ნაწილისა და ნაციონალისტების სპონსორად მოგვევლინა ახალციხელი ბიზნესმენი **არტურ ბალასანიანიც.**



სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხს აგვარებდა **ლერი გორგოძე** — კუდ-ის განყოფილების ყოფილი უფროსი, რომელმაც გ. ტაბიძის ქუჩაზე, გაუქმებულ კაფე „კრუიზში“, გახსნა დროებითი ოფისი.

Politforumi.com

**დაფინანსება «ბაიკერებისათვის», სხვა ფსევდოსაზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, წამოვიდა ფონდ «იდენტობიდან», რომელიც ასოცირებულია ე. წ. ლგბტ საზოგადოებასთან. სწორედ ამ ფონდის ადვოკატმა ქეთევან არახამიამ სიღნაღში რუს ბაიკერების პროვოკაცია მოუწყო**

## ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თემის გააქტიურება „ენ-დი-აი"-ს იმ ცნობილმა კვლევამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტს არ სურს ნატოს მუდმივად „ღია კარზე" კაკუნი და თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლის გზა, ამ ეტაპზე, უფრო ე.წ. საბაჭო კავშირისკენ ესახება. ამ ფაქტის გარშემო იმხელა აჟიოტაჟი ატეხა ქართულმა მედიამ, გაუთვითცნობიერებელი ადამიანი იფიქრებდა, ნატო ორივე ხელით ყელგამოწვდილი გვეღრიტინება, — გეხვეწებით, შემოდით ჩემთანო, მაგრამ ქართველები მაინც „საბაჭო კავშირისკენ" მივიწევთ.**

# ამერიკული პროპაგანდა «სიტყვის თავისუფლებაა», ხოლო «რუსული პროპაგანდა» (რომელიც სინამდვილეში არც კი არსებობს) — მოსასპობი, დასაგმობი, ამოსაძირკვი; ის ხალხი კი, რომელიც ამ მიმართულებას ემხრობა, მათი რაოდენობა 70 პროცენტიც რომ იყოს, — მაინც ქვეყნიდან გასაძევებელი, დასაპატიმრებელი, დასახვრეტი?

**რას ნიშნავს სიტყვა „პატრიოტი" და, საზოგადოდ, რა არის პატრიოტიზმი? არა, რა თქმა უნდა, ლექსიკონურ განმარტებას არ ვგულისხმობ. ყველამ ვიცით, რომ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული". მაგრამ ხშირად მართლა დასაფიქრებელია, — რას ნიშნავს რეალურად სამშობლოს სიყვარული? უცხოეთში გადახვეწილთა ფეხსაცმელში ჩაყრილი ქართული მიწა უფროა „პატრიოტიზმი" თუ მათი საქციელი, ვინც თუნდაც მტერთან და დამპყრობელთან ერთგვარი „კოლაბორაციის" გზით სამშობლოსთვის იმ კონკრეტულ ვითარებაში შესაძლებელ უკეთეს გამოსავალს პოულობს, მინიმალური ზარალით მიჰყავს ქვეყანა გარდატეხის გარკვეულ მომენტამდე და, ბოლოს და ბოლოს, ერის ფიზიკურ გადარჩენას უზრუნველყოფს?**



**მი აზრით, რუსული პროპაგანდა საქართველოში საერთოდ არ არის!**

მაგრამ დავუშვათ და დავუჯეროთ ამ „შარიანებს". ნუთუ ორიოდე ცუდად დაფინანსებული მედიასაშუალების ფართხალი ათეულობით კარგად დაფინანსებული და მსუყედ გამაძღარი, მთელ ქვეყანაზე მაუწყებელი ტელეკომპანიის წინააღმდეგ პროპაგანდისტული „ურაგანი", „ქარიშხალი" და „ცუნამია"?

თუ არა, მაშ, **როგორ გავიგოთ ხათუნა ლაგაზიძისა და მისნაირი „ექსპერტების" ან თუნდაც „ჟურნალისტების" პანიკა — „არიქა! წალეკა რუსულმა პროპაგანდამ ქართული მედია"?**

ვითომ შეუძლია ერთ-ორ ღარიბ გაზეთს ათობით მატე-

მე **პატრიოტიზმი ტვინი უფრო მგონია, ვიდრე გული, ანუ, რომ დავაკონკრეტო — პატრიოტიზმი უფრო შედეგი მგონია, ვიდრე უშედეგო, უაზრო და მეტიც — ხშირად მძიმე უკუშედეგის მომტანი ლოზუნგების ღრიალი და გაცილებით ძლიერი მტრის კიდევ უფრო გაღიზიანება, გამოწვევა და ერის ფიზიკური მოსპობის რისკზე გატარება!**

რა თქმა უნდა, არსებობს დემაგოგია, რომელიც ასეთ მსჯელობას „ლაჩრობას" უწოდებს... მაგრამ მოდი, ყველამ იქ „ივაჟკაცოს", სადაც რისკი მხოლოდ მას ეხება! როდესაც რისკის წინაშე ქვეყანა დგას, მაშინ ნურავინ მისცემს თავს უფლებას, თავისთვის „პატრიოტის" იმიჯის შესაქმნელად მთელი ქვეყანა გაწიროს და ბეწვის ხიდზე გაატაროს.

სწორედ ასეთი დემაგოგიური „პატროტიზმის" ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს გასულ კვირაში კიდევ ერთხელ გააქტიურებული თემა „რუსული პროპაგანდის" შესახებ.

რაღა თქმა უნდა, **თემის გააქტიურება „ენ-დი-აი"-ს იმ ცნობილმა კვლევამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტს არ სურს ნატოს მუდმივად „ღია კარზე" კაკუნი და თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლის გზა, ამ ეტაპზე, უფრო ე.წ. საბაჭო კავშირისკენ ესახება.**

ამ ფაქტის გარშემო **იმხელა აჟიოტაჟი ატეხა ქართულმა მედიამ, გაუთვითცნობიერებელი ადამიანი იფიქრებდა, ნატო ორივე ხელით ყელგამოწვდილი გვეღრიტინება, — გეხვეწებით, შემოდით ჩემთანო, მაგრამ ქართველები მაინც „საბაჭო კავშირისკენ" მივიწევთ.**

არ მესმის, რა გასაკვირია, რომ ადამიანებმა ზურგი აქციონ იმას, რასაც არავინ სთავაზობს?

თუმცა, **უფრო საინტერესო და პირდაპირ წარმოუდგენელია ის, როგორი ახსნა მოუძებნეს ამ ყოველივეს ე.წ. ნატოისტებმა. ამის ყველაზე ნათელი დადასტურება და თვალსაჩინო გამოხატულება იყო ინგა გრიგოლიის შოუ ტელეკომპანია „იმედზე".**

ამ შოუში შეკრებილი „ჟურნალისტები" და „ექსპერტები"

**როდესაც ყველა ქართული ტელეარხი პირდაპირ და აშკარად ამერიკულია (თავსართი «პრო» შეგნებულად არ გამოვიყენე, რადგან აქ «პრო» მართლაც არაფერ შუაშია და ეს ტელევიზიები პირდაპირ ამერიკულები არიან), ეს ადამიანები სადღაც და როგორღაც რუსულ მედიაპროპაგანდას ხედავენ! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იგი არა ჩვეულებრივი, არამედ «ყველაფრის წამლეკავიც» კი ყოფილა**

(ბრჭყალები სულაც არ არის შემთხვევითი) ფრიად წარმოუდგენელ აზრებს გამოთქვამდნენ. **ხათუნა ლაგაზიძით** დავიწყოთ:

„წალეკა საქართველო რუსულმა საინფორმაციო პროპაგანდამ და არ არსებობს ამის არანაირი ორგანიზებული მედიაწინააღმდეგობა!"

ეს ყოვლად უაზრო და ულოგიკო ფრაზა არის ზოგადი ფორმულა იმისა, რასაც „ექსპერტთა" და „ჟურნალისტთა" კოჰორტა ერთხმად გაჰკივის. ნადვილად ვერ გეტყვით, რა არის ეს — კოლექტიური გამოტვინება თუ კოლექტიური ჰალუცინაცია.

მაშინ, **როდესაც ყველა ქართული ტელეარხი პირდაპირ და აშკარად ამერიკულია (თავსართი „პრო" შეგნებულად არ გამოვიყენე, რადგან აქ „პრო" მართლაც არაფერ შუაშია და ეს ტელევიზიები პირდაპირ ამერიკულები არიან), ეს ადამიანები სადღაც და როგორღაც რუსულ მედიაპროპაგანდას ხედავენ! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იგი არა ჩვეულებრივი, არამედ „ყველაფრის წამლეკავიც" კი ყოფილა.**

ახლა მე ჩამოვთვლი და თქვენ მითხარით, **რომელია აქედან „რუსული პროპაგანდის" კორიფე:**

„იმედი", „რუსთავი 2", „პირველი არხი", „კავკასია", „პალიტრა ტვ", „ტაბულა", „არტარეა"...

განვაგრძო?

კარგი, ჯანდაბას, **ვინმე შეიძლება შემომედავოს და ერთი ან ორი აბსოლუტურად უფინანსო ტელეარხი და ჰაჰა, ამდენივე გაზეთი დაასახელოს, რომლებსაც ასე თუ ისე შეიძლება დააბრალოს, ისიც ძალიან შარიანმა ადამიანმა, „რუსეთის სასარგებლო პროპაგანდა", თუმცა ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკისთვის არასასურველ გარკვეული ტიპის სიმართლეს „რუსულ პროპაგანდად" ჩავთვლით.**

მე თუ მკითხავთ, **არ შეიძლება სიმართლე ვისიმე პროპაგანდად ჩაითვალოს და, ჩერიალურად უზრუნველყოფილი** ტელევიზიის „წალეკვა"?

ერთადერთი, რაც შეიძლება ასეთ შემთხვევაში ადამიანს გაგახსენდეს, არის ცნობილი ძველი იუმორისტული სკეტჩი, როდესაც მეგრელი ყვება სვანებთან ჩხუბის შესახებ. ის ამბავს ასეთი სიტყვებით იწყებს: **„მივდიოდით ორმოცდაათი მეგრელი კანტიკუნტად და დაგვედევნა ორი სვანი ჯგროდ!"**

სწორედ ასეა საქმე. ანეკდოტის პერსონაჟი მეგრელი ცდილობს, გაამართლოს ის ამბავი, რომ ორმა სვანმა ორმოცდაათი მეგრელი გალახა და ამ მიზნით, აი, ასეთ სასაცილო სისულელეს გაიძახის.

სწორედ **ასეა „ნატოისტ-**



## აპრილში საკვები პროდუქტები და თამბაქო გაძვირდა

**საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის აპრილში, 2015 წლის მარტთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 2,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის აპრილთან შედარებით კი — 8,7 პროცენტით. 2005 წლის საშუალოსთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 78,4 პროცენტით.** „2015 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია დამამუშავებელ მრეწველობაზე ფასების 2,7 პროცენტით ზრდამ, რაც ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელზე 2,21 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქიმიურ ნაწარმზე (22,8 პროცენტი) და საკვებ პროდუქტებსა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს ნაწარმზე (1,9 პროცენტი).



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდესაც ყველა ქართული ტელეარხი პირდაპირ და აშკარად ამერიკულია, ეს ადამიანები სადღაც და როგორღაც რუსულ მედიაპროპაგანდას ხედავენ!

**თა“ საქმეც: ამერიკულ პროპაგანდას ვაწარმოებთ ორმოცდაათი მედიასაშუალება კანტიკუნტად და დაგვასიეს ორი პრორუსული გაზეთი ჯგროდ! — დაახლოებით ასე შეიძლება გავიგოთ მათ ეს სასაცილო წუწუნი.**

სხვათა შორის, ამ „კანტიკუნტ“ პროამერიკელებს რუსული პროპაგანდის „ბრბოს“ საწინააღმდეგო მოწოდებებიც არ ავიწყდება. აი, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის — **დავით ბაქრაძის** განცხადება:

**„ახლა, როცა მომრავლებულია რუსული ორიენტაციის მხარდამჭერები და გააქტიურებულია რუსული პროპაგანდა, საქართველოს თითოეული ოჯახის კეთილდღეობისთვის და ყველა ჩვენგანის მომავლისთვის აუცილებელია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან!“**

ლოგიკა?

ანუ **„მომრავლებული“ მხარდამჭერები „რუსული კურსისა“ არ არიან „საქართველოში მცხოვრები ოჯახები“? და, თუ არიან და მხარს რუსულ კურსს უჭერენ, მაშინ მათი კეთილდღეობისთვის რანაირად არის აუცილებელი ამერიკასთან თანამშრომლობა?**

**სიმართლე არის ის, რომ ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობა საჭირო და აუცილებელია არა „საქართველოში მცხოვრები ოჯახების“, არამედ დავით ბაქრაძისნაირთა ოჯახების კეთილდღეობისთვის.** მაგალითად, „ექსპერტი“ (ეს სიტყვა ბრჭყალებში ყველგან შეგნებულადაა ჩასმული, ალბათ, მიხვდებით რატომაც) **თორნიკე შარაშენიძის** ოჯახის კეთილდღეობისთვის, რომელიც პირდაპირ ამბობს: „საჭიროა დროული და ქმედითი წინააღმდეგობა ჩვენს ქვეყანაში გააქტიურებული რუსული პროპაგანდის მიმართ, თორემ სულ მალე, 30 კი არა, 70 პროცენტი იქნება ამ ქვეყანაში რუსული ორიენტაციისა!“

ანუ რა გამოდის? — **ამერიკული პროპაგანდა „სიტყვის თავისუფლებაა“, ხოლო „რუსული პროპაგანდა“ (რომელიც სინამდვილეში არც კი არსებობს) — მოსასპობი, დასაგმობი, ამოსაძირკვი; ის ხალხი კი, რომელიც ამ მიმართულებას ემხრობა, მათი რაოდენობა 70 პროცენტიც რომ იყოს, — მაინც ქვეყნიდან გასაძევებელი, დასაპატიმრებელი, დასახვრეტი?**

ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ეს „პოლიტიკოს-ექსპერტები“ ისე დააფეთა „საბაჟო კავშირის“ მომხრეთა 30-მა პროცენტმა, რომ უკვე რას მიედ-მოედებიან, თავადაც არ იციან და აღელვების ნიადაგზე უნებურად ამზეურებენ აქამდე დაფარულ ფიქრებს, ანუ იმას, რომ ეს „დიადი დემოკრატიის“ მომხრე „პოლიტიკოს-ექსპერტები“, სინამდვილეში არავისზე ნაკლები დიქტატორული ბუნებისანი არიან!

**ისინი მზად არიან, მოსპონ „მოწინააღმდეგე კლასი“, როგორც ეს ერთხელ, პარლამენტში გამოსვლისას, მათ „ხერხემალს“ — ვანო მერაბიშვილს წამოსცდა.**

**ერთი ეგ არის, ისე არ მოუვიდეთ, როგორც ზემონახსენებ იუმორისტულ სკეტჩშია, ბოლოს მეგრელი რომ ამბობს: დავიჭირე ეს სვანი და იმდენი ვცემე, იმდენი ვცემე, სულ სახე ვურტყი ფეხებშიო! დაახლოებით ასეთ დღეშია დღეს საქართველოში ამერიკული პროპაგანდაც. აშკარად „დაჭერილი“ ჰყავს მას რუსული მიმართულება და სულ სახეს ურტყამს ფეხებში!**

კიდევ ერთი დამახასიათებელი მომენტი ხსენებული ჟურნალისტ-ექსპერტ-პოლიტიკოსებისა არის საკუთარი სიბეცის გასაღება ზოგად სიბეცედ.

იმავე **ინგა გრიგოლიას შოუში რამდენიმე „ჟურნალისტი“ და „ექსპერტი“ გაოცებას ვერ მალავდა, — „ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2008 წლის მოვლენებიდან 7 წელიწადში რუსულ ორიენტაციას ამდენი მომხრე ეყოლებოდა“-ო!**

აქ საინტერესო ამ კონკრეტული ჟურნალისტ-ექსპერტების სიბეცე კი არ არის, არამედ ის, რომ ისინი იყენებენ სიტყვას „ვერავინ“.

ანუ ეს რაღაც კონკრეტული მოვლენა რომ ვერ განვსაზღვრეთ და წინასწარ ვერ გავითალისწინეთ, პირადად ჩვენი ბრალი კი არ არის, არამედ, საზოგადოდ, ამას ვერავინ წარმოიდგენდა, ისეთი მოულოდნელი იყოო!

არადა, მეც და ჩემ გარშემოც არა ერთი, არამედ ათასობით ადამიანი ყოველთვის ამბობდა, რომ, თუკი ამერიკული მიმართულება ასეთ იდიოტურ მოქმედებას განაგრძობდა, აუცილებლად მოიმატებდა რუსული მიმართულების მომხრეთა რაოდენობა და საბოლოოდ უმრავლესობა სწორედ ე.წ. რუსული გზისკენ გადაიხრებოდა.

სხვათა შორის, ასეთი უტიფარი პოლიტიკოს-ექსპერტ-ჟურნალისტების განცხადებები არა მხოლოდ საქართველოს საშინაო მოვლენებს, არამედ საგარეო ამბებსაც ეხება. მაგალითად, თავდაცვის მინსიტრმა **თინა ხიდაშელმა** ამას წინათ სატელევიზიო ეთერში განაცხადა:

**„აბა, მეიდნის მოვლენების პირველ დღეებში ვინ წარმოიდგენდა, რომ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყებოდა? ამის წინაწარ განსაზღვრა ხომ არავის შეეძლო!“**

აბა, მითხარით, რა არის ეს, თუ არა საკუთარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიბეცის „გაპრავება“ იმით, რომ თითქოს ომი უკრაინაში რაღაც „ზებუნებრივი“ მოვლენაა?!

სინამდვილეში, ამის განჭვრეტა არავის შეეძლო კი არა, ჩემი ათასზე მეტი „ფეისბუქფრენდის“ 80 პროცენტი მეიდნის მოვლენების დაწყებიდან ნახევარ საათში უკვე წერდა, რომ უკრაინაში სწორედ ფართომასშტაბიანი ომი გაჩაღდებოდა და რუსეთი ყირიმს დაიბრუნებდა!

წესით, ასეთ შემთხვევაში, **ის ადამიანები, რომლებმაც ერთხელ „ვერ წარმოიდგინეს“, ორჯერ „ვერ წარმოიდგინეს“, სამჯერ „ვერ წარმოიდგინეს“, რა მოხდებოდა უახლოეს მომავალში და მათი „ვერწარმოდგენის“ მიზეზით ქვეყანა დაზარალდა, უნდა გადგნენ გვერდზე და გზა მისცენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც წარმოიდგენდნენ კიდეც და რომლებმაც ზუსტადაც იცოდნენ, რა როგორ მოხდებოდა!**

მით უმეტეს, რომ არაფერი იყო აქ წარმოუდგენელი და ყველაფერი სწორედაც რომ უმარტივესი ლოგიკით მოხდა!

და, როდესაც ასეთი უმარტივესი ლოგიკაც კი არ აქვს ადამიანს, „წამყვან თოქშოუებში“ კი არ უნდა იწვევდნენ „ბრძნული აზრების“ საფრქვევად ან მინისტრად კი არ უნდა ნიშნავდნენ (მით უფრო — თავდაცვის!), არამედ შერცხვენილები უნდა მიდიოდნენ სახლში!

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი „დიდი პროამერიკელები“ სულ სხვა სტრატეგიით მოქმედებენ!

**დააბრალე შენი სიბეცე და უტვინობა „ზებუნებრივ ძალებს“! განაცხადე, რომ ის, რაც მოხდა, უბრალოდ, „წარმოუდგენელი“ იყო არა კონკრეტულად შენი ვიწრო აზროვნებისთვის, არამედ „ყველასთვის“! და ისევ უტიფრად გამოთქვი პრეტენზია „დიდ პოლიტიკოსობაზე“ „გამჭრიახ ექსპერტობაზე“ ან „წამყვან ჟურნალისტობაზე“!**

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებებს, ასევე, მოქმედი ხელისუფლებისგან არც ისე შორეულ წარსულში განდგომილ პოლიტიკოსებს ერთი საერთო შტრიხი აქვთ — თავიანთი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ სამხედრო ჩასვრილობის გადაბრალება გარკვეული „პროპაგანდებისთვის“.**

განა ამას წინათ, ჯერ კიდევ მინისტრობის პერიოდში, **ირაკლი ალასანიამ** არ განაცხადა „მზარდი რუსული პროპაგანდის“ თაობაზე?

ან, თუნდაც, **ბიძინა ივანიშვილი** ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას „რუსთავი 2“-ის პროპაგანდას არ აბრალებს?

ვერ გეტყვით, რატომ ურჩევნია ამ ადამიანებს აშკარა მარცხის რეალური მიზეზების ძიებასა და გამოსწორებას ის, რომ სულელური აზრები აფრქვიონ და რეალური მდგომარეობა არსებული და მით უმეტეს არარსებული პროპაგანდის შედეგად გაასაღონ.

ისიც საინტერესოა, **ამერიკულ მიმართულებას მართლა მხოლოდ ამდენად სუსტი და სასაცილოდ უაზრო მეთოდებიღა დარჩა საქართველოში „დასაყრდენად“?**

ამ კითხვებს, როგორც კლასიკურად იტყვიან ხოლმე, დრო გასცემს პასუხს...

რაც შეეხება ხალხს...

ხალხი ყოველთვის მშვენივრად ხედავს ყველაფერს... აკი „რუსული პროპაგანდის“ რეალური „ძალა“ საქართველოში ნებისმიერ მსუყედ დაფინანსებულ ტელეარხზე ჩანს, ზუსტად ისევე, როგორც ქართული ეკონომიკის „სიმყარე“ ვალუტის გადამცვლელი ნებისმიერი ჯიხურის აბრაზე...




## როგორ გავიგოთ ხათუნა ლაგაზიძისა და მისნაირი «ექსპერტების» ან თუნდაც «ჟურნალისტების» პანიკა — «არიქა! ნალეკა რუსულმა პროპაგანდამ ქართული მედია»? ვითომ შეუძლია ერთ-ორ ღარიბ გაზეთს ათობით მატერიალურად უზრუნველყოფილი ტელევიზიის «ნალექვა»?



## «შარლი ებდოს» წამყვანი კარიკატურისტი გამოცემას ტოვებს

**ცნობილი ფრანგული სატირული ჟურნალის „შარლი ებდოს“ წამყვანი კარიკატურისტი, რენალდ ლუზიე გამოცემას ტოვებს.**

„თითოეული ახალი ნომრის გამოცემა ჩემთვის ტანჯვაა“, — განაცხადა კარიკატურისტმა. მისი თქმით, იგი სექტემბრიდან „შარლი ებდოს“ თანამშრომელი აღარ იქნება.

ფრანგულ გამოცემა „შარლი ებდოს“ რედაქციას პარიზში 7 იანვარს დაესხნენ თავს, ორმა შეიარაღებულმა ისლამისტმა 12 ადამიანი მოკლა. თავდასხმა მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურების გამოქვეყნებამ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ჟურნალმა ახალი ნომრების გამოცემა მაინც არ შეწყვიტა. თავდასხმის შემდეგ გამოცემულ ნომრის პირველ გვერდზე სწორედ რელანდ ლუზიეს კარიკატურა მოხვდა, მასზე წინასწარმეტყველი მუჰამედი იყო გამოსახული, რომელსაც ხელში ეჭირა წარწერა „მე ვარ შარლი“.

## თბილისში ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოსამზადებელი სამუშაოების გამო თბილისში საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება.**

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, 23 მაისს, 06:00 საათზე, თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია გადაიკეტება. რეპეტიცია დაახლოებით 12:00 საათამდე გაგრძელდება. 25 მაისს, 11:00 საათიდან, სავარაუდოდ, 18:00 საათამდე გენერალური რეპეტიცია იგეგმება. თავისუფლების მოედანსა და რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა 26 მაისს ღონისძიებების დასრულებამდე შეიზღუდება.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დამოუკიდებლობის დღისათვის მზადება უკვე დაიწყეს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო-საზეიმო ღონისძიებებში ავიაციაც ჩაერთვება. ღონისძიებებთან დაკავშირებით, თბილისში 19, 20 და 25 მაისს რეპეტიციები ჩატარდება.



## ლუქსემბურგის პრემიერი მამაკაცზე დაქორწინდა

**ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი ქსავიე ბეტელი მისივე სქესის წარმომადგენელზე, 38 წლის ბელგიელ არქიტექტორ გოტიე დესტნეზე დაქორწინდა.** ბეტელი, წელიწად-ნახევარია, პრემიერმინისტრის პოსტს იკავებს და თავის ორიენტაციას არ მალავს. ქსავიე ბეტელის რჩეული კომპოზიტორ სერგეი რახმანინოვის შთამომავალია. ლუქსემბურგში ერთსქესიანი ქორწინება 4 თვის წინათ დააკანონეს. მანამდე კი ეს ბელგიაში, ფინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში გააკეთეს. ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი ევროკავშირის მეორე ლიდერია, რომელიც მისივე სქესის წარმომადგენელზე საჯაროდ დაქორწინდა. პირველი იყო ბელგიის ყოფილი პრემიერი ელიო დი რუპო. თავისივე სქესის წარმომადგენელზეა დაქორწინებული ისლანდიის პრემიერმინისტრი იოჰან სიგურდარდოტირი, მაგრამ ისლანდია ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის.



ვაი ქალისგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქალბატონებს, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში თავდაცვის უწყებას ხელმძღვანელობენ, ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ — ისინი ამ მაღალ პოსტზე იმიტომ დაინიშნენ, რომ პროამერიკელები არიან, ანუ თავიანთი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა თუ არა, ერთ დონეზე აყენებენ აშშ-ის ინტერესებს. თავდაცვის მინისტრებადაც, ალბათ, აშშ-ის ძალისხმევით დაინიშნენ“.

# სმენა! სწორება მკერდზე!

## ვინ და რატომ ნიშნავს ქალებს თავდაცვის მინისტრებად

**დედამიწაზე ფემინიზმი დააბიჯებს — ქალებმა არა მხოლოდ მოიპოვეს თანასწორუფლებიანობა თითქმის ყველა სფეროში, არამედ მამაკაცების ხელმძღვანელობაც კი დაიწყეს.**
**ბოლო ხანს ე. წ. გენდერული ბალანსი გასწორდა სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებშიც კი, როგორიც არის თავდაცვა და უსაფრთხოება. ზოგიერთი ფსიქოლოგისა და პოლიტიკოსის აზრით, ძალოვანი უწყების ხელმძღვანელად ქალის დანიშვნა გამართლებულია, რადგან ქალს შეუძლია კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით, მისთვის ხომ, პირველ რიგში, შექმნაა დამახასიათებელი და არა — ნგრევა, გარდა ამისა, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა მშვენივრად იციან სიცოცხლის ფასი და ყველაფერს ილონებენ იმისთვის, რომ ომი არ დაიწყოს. მაგრამ ასეა კი?**
**მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ ქვეყნის თავდაცვის მინისტრად ქალი დაინიშნა, ომი აღარ არის? ან სამხედრო ოპერაციებში არავინ დაღუპულა? რას ნიშნავს თავდაცვის მინისტრად ფოტომოდელის დანიშვნა, ან ჯაზის მომღერლის თუ 7 თვის ფეხმძიმე ქალბატონის?**
**თუმცა მივყვეთ თანამიმდევრობით:**


შვედეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი კარინ ენსტრიომი

### პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი

თავდაცვის მინისტრის პოსტზე პირველი ქალი იყო **ელიზაბეტ რენი**. ის ფინეთის არმიას 1990-1995 წლებში სარდლობდა, შემდეგ კი გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე გახდა. სარაევოში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) ხელმძღვანელობდა გაეროს სამშვიდობო ოპერაციას და მომხრეა ფინეთის გაწევრებისა ნატოს სტრუქტურებში. ელიზაბეტ რენმა თავი გამოიჩინა იმით, რომ თავის სამშობლოს ხშირად აკრიტიკებდა გაეროს სამშვიდობო მისიებში ფინელი ჯარისკაცების რაოდენობის შემცირების გამო.

### თავდაცვის მინისტრად... ფეხმძიმე

2008 წლის აპრილში ესპანელი საზოგადოება ემოციურად განიხილავდა მინისტრთა კაბინეტში პორტფელების დარიგების პროცესს. ყველაზე მეტს კი ლაპარაკობდნენ თავდაცვის ახალ მინისტრზე, სოციალისტური პარტიის წარმომადგენელ **კარმე ჩაკონზე** (სრული სახელი — **კარმე ჩაკონ ი პიგერასი**). თვითონ სიახლე სენსაცია არ იყო, — თავდაცვის მინისტრის პოსტზე ქალი მანამდეც დაუნიშნავთ სხვა ქვეყნებში, მაგრამ იმხანად 37 წლის მინისტრი 7 თვის ფეხმძიმე გახლდათ. ფოტოზე ჩანს, რომ **სამხედროები ძლივს იკავებენ ღიმილს ქალის მიმართ, რომელიც ცდილობს, გაერკვეს, რა არის სამხედრო საქმე.** ზოგიერთი მამაკაცი პოლიტიკოსი ამ დანიშვნას დღესაც გაუგებრობად მიიჩნევს. პრესაც თავშეკავებულად, მაგრამ მაინც წერდა ჩაკონისა და ესპანეთის იმჟამინდელი პრემიერმინისტრის — **ხოსე ლუის საპატეროს** მარჯვენა ხელის, **მიგელ ბაროსოს** კავშირზე. თუმცა კარმე ჩაკონმა („ღიპიანი მინისტრი“ — ასე ეძახდნენ მას ესპანეთში) აქტიურად დაიწყო ესპანელი გენერლების ინსპექტირება. ვაჟის შეძენის შემდეგ კი სამხედრო ალლუმი ჩაიბარა. ბარსელონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული კარმე ჩაკონი 2011 წლის დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს, შემდეგ კი საცხოვრებლად აშშ-ში, მაიამიში (?!) გადაბარგდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.


ესპანეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი კარმე ჩაკონი

### საფრანგეთის „პოლიტიკის გრეტა გარბო“

„როდესაც ვიღებები, ვფიქრობ, რა უნდა გავაკეთო თავდაცვისა და საფრანგეთისთვის,“ — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა **მიშელ ალიო-მარიმ.** როგორც ჩანს, ამ ქალბატონს ყველა თვისება აქვს, რომელიც კი წარმატებულ პოლიტიკოსს სჭირდება: არის ამბიციური (გააუქმა უზბეკეთში ვიზიტი, როდესაც შეიტყო, რომ საუბარი მოუწევდა არა პრეზიდენტთან, არამედ კოლეგასთან — უზბეკეთის თავდაცვის მინისტრთან), მშვიდი და აუღელვებელია, უყვარს ექსტრემული სიტუაციები (პარაშუტით ხტომა) და, ამასთანავე, ელეგანტურია. ლამაზი თვალების გამო მას **„პოლიტიკის გრეტა გარბოს“** ეძახიან.

მიშელ ალიო-მარი საფრანგეთის ძალოვან სტრუქტურებში 2002 წლიდანაა — ჟან-პიერ რაფარენის მინისტრთა კაბინეტში თავდაცვის მინისტრის პოსტზე იყო. 2007 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლა სარკოზის დაუჭირა მხარი და შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი მიიღო (2007-2009 წლები), შემდეგ — იუსტიციის მინისტრის, მოგვიანებით — საგარეო საქმეთა მინისტრის, მაგრამ 2011 წელს სკანდალში გაეხვია და საფრანგეთის პარლამენტმა მისი გადაყენება მოითხოვა, რადგან გავრცელდა ინფორმაცია ალიო-მარის კავშირის შესახებ ტუნისის იმჟამინდელ პრეზიდენტ ზინ ალ აბიდინ ბინ ალისთან, რომელმაც 2011 წლის იანვარში სახელმწიფო გადატრიალების („ჟასმინის რევოლუცია“) შედეგად ხელისუფლება დაკარგა და იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. ფრანგი საზოგადოების აღშფოთების მიუხედავად, ალიო-მარიმ ამ ჩრდილოაფრიკულ ქვეყანაში შვებულება გაატარა და ურთიერთობა ჰქონდა ტუნისის პრეზიდენტის ახლო გარემოცვასთან, დაფრინავდა ბიზნესმენ მოჰამედ აზიზ მილედის თვითმფრინავით, რომელიც ბინ ალის ოჯახის უახლოესი მეგობარია. სწორედ ამ ბიზნესმენისგან შეისყიდეს უძრავი ქონების სააგენტო Ikram-ის აქციები ალიო-მარის მშობლებმა.

2011 წლის თებერვალში ალიო-მარიმ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დატოვა.


საფრანგეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი მიშელ ალიო-მარი

### სამხედრო კოლეჯიდან მინისტრობამდე

**კარინ ენსტრიომი** შვედეთის თავდაცვის მინისტრად 2012 წლის 18 აპრილს დაინიშნა. მანამდე კი (1987 წელს) სამეფო სამხედრო კოლეჯი დაამთავრა და სანაპირო დაცვაში მსახურობდა. მისი მეუღლეა შვედეთის სანაპირო დაცვის პოდპოლკოვნიკი ანდერს ენსტრიომი. ჰყავთ სამი შვილი. კარინ ენსტრიომი იყო რიქსდაგის — შვედეთის პარლამენტის — წევრი, 2010 წლიდან მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, აგრეთვე, ხელმძღვანელობდა შვედეთის საპარლამენტო დელეგაციას ნატოში. თავდაცვის მინისტრის პოსტი 2014 წლის ოქტომბერში დატოვა.

### პედიატრი – თავდაცვის მინისტრად

**რასა იუკნიავიჩენე** (ქალიშვილობის გვარი — ურბონაიტე) 2008-2012 წლებში იყო ლიტვის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი. დამთავრებული აქვს კაუნასის სამედიცინო ინსტიტუტი, მუშაობდა პანევეჟისისა და პასვალისის საავადმყოფოებში პედიატრად. პოლიტიკური კარიერა დაიწყო 1988 წელს, როდესაც „საიუდისის“ წევრი გახდა. იყო ლიტვის პარლამენტის (სეიმი) წევრი, ლიტვის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე ნატოს ასამბლეაში, ნატოს საკითხების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე (1999-2000). მანამდე კი სტაჟირება გაიარა საფრანგეთში (1993 წ.), გერმანიაში (1995 წ.), დიდ ბრიტანეთსა (1996 წ.) და აშშ-ში (1998 წ.). ყოფილი პედიატრი აქტიურად ლობირებდა და ლობირებს ნატოს სამხედრო ოპერაციებში ლიტვის მონაწილეობას.

### ჟურნალისტი – თავდაცვის მინისტრი

35 წლის ლინდა **აბუ მერი** (2012 წლამდე **ლინდა მურნიეცე**) ლატვიის ისტორიაში პირველი ქალია, რომელიც თავდაცვის მინისტრი გახდა, თუმცა ამ უწყებას ცოტა ხანს ხელმძღვანელობდა — სულ ოთხ თვეს — 2006 წლის იანვრიდან აპრილამდე. მოგვიანებით მან ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა — 2009-დან 2011 წლამდე. ლინდა განათლებით ჟურნალისტია, დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ლატვიის შს სამინისტროს პრესცენტრში. იყო ლატვიის პარლამენტის დეპუტატი. 2011 წელს გაშორდა ქმარს, უშიშროების თანამშრომელს, რომელთანაც 2 შვილი ჰყავს, და ცოლად გაჰყვა არაბ ექიმ-გასტროენტეროლოგ ჰოსამ აბუ მარის.

### ჯაზის მომღერალი მინისტრი და ამერიკული რადარები

ჯაზის ყოფილი მომღერალი **ვლასტა პარკანოვა** ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროს 2007-2009 წლებში ხელმძღვანელობდა (მანამდე — 1997-1998 წლებში — იუსტიციის სამინისტროს). ვლასტა გამოდიოდა ორკესტრში, მღეროდა ხალხურ სიმღერებს, შანსონს, ჯაზს, 2000 წელს გამოსცა ალბომი, 1975 წელს დაამთავრა კარლოვის (პრაღაში) იურიდიული ფაკულტეტი.

ქალბატონმა ვლასტამ სახელი გაითქვა სიმღერით, რომელიც მან აშშ-ის ▶

ვაი ქალისგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მინისტრის თანამდებობასაც არ გვანდობენ და უცხოელებს ნიშნავენ. სააკაშვილმა ჩამოგვიყვანა თავისი ხალხი და დაიწყო უკრაინის ძარცვის ახალი ეტაპი. ყიდიან იარაღს, აწარმოებენ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას და უზარმაზარ შემოსავალს იღებენ ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლის საფასურად — მათ ორგანოებს ევროპაში ყიდიან. ცოტა ხნის წინათ მე გამოვააშკარავე სააკაშვილის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და მის მეუღლესთან, რომელიც ამერიკელებმა საქართველოს თავდაცვის მინისტრად დანიშნეს...“**



გერმანიის თავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ ლაიენი



ლიტვის თავდაცვის ყოფილი მინისტრი რასა იუკნევიჩიენე



ჰოლანდიის თავდაცვის მინისტრი ჟანინ ანტუანეტა ჰენის-პლასშერტი



ჩეხეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ვლასტა პარკანოვა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი

◀ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო ამერიკული რადარის განლაგების სურვილს მიუძღვნა. **„კეთილი იყოს შენი მობრძანება, ვარსკვლავებიან-ზოლებიანო დროშავ, შენ აფრიალდი ჩვენს თავზე, რასაც ჩვენ ჯიკებით მივესალმებით! კეთილი იყოს შენი მობრძანება, რადარო, როგორც იქნა, მოხვედი, მე შენ აპლოდისმენტებით მოგესალმები!“** — უმღერის ჩეხეთის თავდაცვის მინისტრი ამერიკულ დროშასა და რადარს, თუმცა მისი ოცნება რადარის ჩეხეთში განლაგებაზე მაინც არ ახდა.

## მინისტრის პრობლემა – რა ჩაიცვას?

იაპონიის ისტორიაში პირველი ქალი, რომელმაც თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა, იყო **იურიკო კოიკე**, თუმცა მან ამ პოსტზე ორ თვესაც ვერ გაძლო. კოიკე თავდაცვის მინისტრად 2007 წლის 3 ივლისს დაინიშნა, 25 აგვისტოს კი პოსტიდან გადადგა. მიზეზი იყო სკანდალი, რომელიც ატყდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „იჯისის“ შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის გამო.

იურიკო კოიკემ, წარსულში პოპულარულმა ტელეწამყვანმა, აღიარა, რომ მისი მთავარი პრობლემა არის არა ის, როგორ უხელმძღვანელოს მამაკაც-გენერლებს, არამედ ის, რა ჩაიცვას მწყობრის დათვალიერებისას.

## ფოტომოდელი მინისტრი და გენერლები

წარსულში პროფესიონალი ფოტომოდელი **მარტა ლუსია რამირესი** 2002 წელს გახდა კოლუმბიის თავდაცვის მინისტრი, მანამდე საგარეო ვაჭრობის მინისტრი იყო.

მარტა ლუსია რამირესმა ამ პოსტზე წელიწადზე ცოტა მეტ ხანს გაძლო. პოსტიდან მისი გადადგომის მიზეზი იყო ის, რომ თავკერძა ხასიათის ქალბატონი გადაწყვეტილებებს გენერლებთან შეუთანხმებლად იღებდა. განსაკუთრებით რეზონანსული იყო სკანდალი ესპანეთიდან მოძველებული მოდელის თვითმფრინავების შესყიდვის თაობაზე. გენერლები მინისტრის ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ, ქალბატონმა მინისტრმა კი მათი (ყველას) დათხოვნა კოლუმბიის პრეზიდენტს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა — ან მე, ან ისინი! კოლუმბიის პრეზიდენტმა კი... მინისტრი გაათავისუფლა.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდნენ ქალები **არგენტინაში** — **ნილდა გარე** (2005-2010), **ეკვადორში** — უნივერსიტეტის პედაგოგი **გვადელუპე ლარივა** (2007 წელს დაიღუპა ვერტმფრენის კატასტროფის შედეგად) და **ლორენა ესკუდერო** (პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი).

## ნორვეგია – თავდაცვის მინისტრის პოსტზე ქალი ქალმა შეცვალა

ნორვეგიის თავდაცვის უწყებას 2013 წლიდან ხელმძღვანელობს **ინე მარი ერიქსენ სიორეიდე,** რომელმაც ამ პოსტზე ქალბატონი ანე-გრეტე სტრიომ — ერიქსენი შეცვალა (თავდაცვის მინისტრი იყო 2012-2013 წწ.), ერიქსენ სიორეიდეს იურიდიული განათლება აქვს. 2005 წელს არჩეული იყო ნორვეგიის პარლამენტის დეპუტატად.

ნორვეგიის თავდაცვის ახალი მინისტრი ნატოს პრინციპების ერთგულია და აშშ-თან მჭიდროდ თანამშრომლობს.

## თავდაცვის მინისტრი – ლგბტ-თა უფლებებისთვის მებრძოლი

**ჟანინ ანტუანეტა ჰენის-პლასშერტი** ჰოლანდიის თავდაცვის მინისტრად 2012 წლის ნოემბერში დაინიშნა, მანამდე იყო ევროპარლამენტის დეპუტატი. არის ლგბტ თემის აქტიური დამცველი, თუმცა არც ისეთი მშვიდობისმოყვარეა. ცოტა ხნის წინათ გერმანელ კოლეგასთან ერთად ჩავიდა თურქეთში სირიის საზღვართან ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების („პეტრიოტი“) დამონტაჟებისას, რომელთა მომსახურებისთვისაც 400 სამხედრო გაიგზავნა გერმანიიდან, ჰოლანდიიდან და აშშ-დან.

## გინეკოლოგი. 7 შვილის დედა. მთავარსარდალი

2013 წელს, გერმანიის ისტორიაში პირველად, თავდაცვის სამინისტროს ქალი ჩაუდგა სათავეში. **ურსულა ფონ დერ ლაიენი**, რომელმაც 1991 წელს მედიცინის დოქტორის წოდება მოიპოვა, შემდეგ კი აშშ-ში სტენფორდის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, გერმანიაში ძლიერი ქალის რეპუტაციით სარგებლობს.

მან უკვე მოასწრო გერმანელი პოლიტიკოსების განცვიფრება, როდესაც მთავრობას არც კი აცნობა თავისი განზრახვის შესახებ, ბუნდესვერის ჯარისკაცები უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლებში გაეგზავნა(?!). ურსულა ფონ დერ ლაიენი გამოდის ევროპის ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნის ინიციატივით. გარდა ამისა, ქალბატონმა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანია აქტიურად ჩაერთვება საბრძოლო ოპერაციებში, მათ შორის, სირიაში, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

აი, მშვიდობისმოყვარე და სიცოცხლის დამფასებელი ქალბატონი!

* * *

**ზემოაღნიშნულ ქალბატონებს, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში თავდაცვის უწყებას ხელმძღვანელობენ, ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ — ისინი ამ მაღალ პოსტზე იმიტომ დაინიშნენ, რომ პროამერიკელები არიან, ანუ თავიანთი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა თუ არა, ერთ დონეზე აყენებენ აშშ-ის ინტერესებს. თავდაცვის მინისტრებადაც, ალბათ, აშშ-ის ძალისხმევით დაინიშნენ. სწორედ ასე მოხდა საქართველოში, სადაც ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან აშშ-ის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის სტუმრობიდან მეორე დღეს მოქმედმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრად თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარში მდგომი, შემდგომში ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის იდეური დებისა და ძმების, აშშ-ისგან მხარდაჭერილი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი თინათინ ხიდაშელი დანიშნა.**

## „თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრის პოსტზე აშშ-ის მითითებით დანიშნეს“

უკრაინულმა გამოცემამ **Slovo.net**-მა რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს აპარატის უშიშროების სამსახურის თანამშრომლის — **სერგეი კირნიკის** (ეს ის პიროვნებაა, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და მისი მეუღლე თინა ხიდაშელი უკრაინაში ყოფნისას ფარულად შეხვდნენ მიხეილ სააკაშვილს) ვიდეომიმართვა, რომელშიც ის უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერევა უკრაინისა და საქართველოს პროცესებში და თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრის პოსტზე სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით დანიშნეს.

აი, რას ამბობს უკრაინის პრეზიდენტის აპარატის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი სერგეი კირნიკი ვიდეომიმართვაში:

**„მე ვარ სერგეი ნიკოლოზის ძე კირნიკი, დაბადებული ქალაქ ლვოვში 1981 წელს. პრეზიდენტ პოროშენკოს აპარატის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი. ჩვენ გვსურდა, უკრაინელებს თვითონ გადაეწყვიტათ საკუთარი ბედი და ამიტომაც ვიბრძოდით კლანებისა და ოლიგარქების წინააღმდეგ, მაგრამ მათ, ვინც ხელისუფლებაში მოვიდნენ, თავზე დაგვასვეს ამერიკელები, გერმანელები და პოლონელები. ყირიმი რუსეთმა წაგვართვა, დონბასისთვის კი ბრძოლა მიმდინარეობს.**

**ჩვენ, სლავები, უკრაინის მოქალაქეები ერთმანეთს ვხოცავთ და ჩვენი სიცოცხლით ამერიკა და რუსეთი გეოპოლიტიკურ თამაშს აწარმოებენ. კიევში ბინძური დაპირისპირებაა პრეზიდენტ პოროშენკოსა და პრემიერ იაცენიუკს შორის.**

**იაცენიუკი ამერიკის დავალებებს ასრულებს და ძებნილი სააკაშვილი პრეზიდენტ პოროშენკოს მიამაგრეს გასაკონტროლებლად. ჩვენ, უკრაინელებს, მსოფლიოში წარმოგვაჩენენ, როგორც შეუმდგარ ერს.**

**მინისტრის თანამდებობასაც არ გვანდობენ და უცხოელებს ნიშნავენ. სააკაშვილმა ჩამოგვიყვანა თავისი ხალხი და დაიწყო უკრაინის ძარცვის ახალი ეტაპი; ყიდიან იარაღს, აწარმოებენ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას და უზარმაზარ შემოსავალს იღებენ ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლის საფასურად — მათ ორგანოებს ევროპაში ყიდიან.**

**ცოტა ხნის წინათ მე გამოვააშკარავე სააკაშვილის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და მის მეუღლესთან, რომელიც ამერიკელებმა საქართველოს თავდაცვის მინისტრად დანიშნეს...“**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ფსორიაზი არ იკურნება, მაგრამ არსებობს მეთოდები, რომლებიც პაციენტს შვებას აძლევს რამდენიმე წლის ხანგრძლივობითაც კი. ეს, მერწმუნეთ, თითქმის იგივეა, რაც განკურნება“.

## ერთობლივი პროექტი

დღეს „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ პირველ პუბლიკაციას პროექტზე, რომელიც წარმოდგენილია ჩვენი გაზეთისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ და გულისხმობს აქტუალურ სამედიცინო პრობლემებზე ქვეყნის წამყვანი მედიკოსების მიერ მომზადებული წერილების რეგულარულად გამოქვეყნებას.

ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ამირან გამყრელიძემ, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის სისტემას ხელმძღვანელობდა და რომლის მითითებითაც დამუშავდა აღნიშნული პროექტი, მიიჩნია, რომ ისეთ ინტელექტუალურ და პოპულარულ გაზეთთან, როგორიც „საქართველო და მსოფლიოა“, ამ ფორმით თანამშრომლობა უეჭველად სასარგებლო საქმეა და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო სფეროში გათვითცნობიერებასა და არსებულ სისტემაში მის სწორ ორიენტირებას.

პროექტის რეალიზება, საბოლოო ჯამში, ჩვენი მოქალაქეების გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს და საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესის საყოველთაო დანერგვაში დაეხმარება სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სტრუქტურებს.

ბატონმა ამირანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საქმიანი ურთიერთობა ცენტრისთვისაც და პირადად მისთვისაც დიდი პატივია. ჩვენი მხრიდან იმავეს თქმა შეგვიძლია!

# ქირვეული დაავადების მორჯულება

**თბილისში, ე.წ. საავადმყოფოების უბანში, ლუბლიანის ქუჩის №5-ში, ცხრასართულიან შენობაში განთავსებულია კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი.**

**თანამედროვე სამკურნალო დაწესებულება.**

**ამ სამედიცინო დარგზე ჩემი დროის ახალგაზრდების წარმოდგენა პუშკინის ქუჩის ბოლოს ერთი გაუბედურებული ვენდისპანსერის არსებობით შემოიფარგლებოდა. ერთიც, ყოფილი ლენინის სახელობის სპორტდარბაზის მეზობლად, პლეხანოველებში იყო „პოპულარული“.**

**სხვა რაიონებშიც მოქმედებდა თითო-თითო. გაგონილი გვქონდა, იქ ტრიპერითა და სიფილისით დაავადებულებს მკურნალობდნენ. სიფილისს, კეთრთან გათანაბრებულად წარმოგვიდგენდნენ, — მოურჩენელიაო. ამით ამოიწურებოდა ჩვენი „სანიტარული განათლება“, რომელსაც, სხვათა შორის, ძლიერი ეფექტი ჰქონდა — იმ დისპანსერებთან ჩავლასაც კი ვერიდებოდით. ერთი ინსტიტუტიც იყო იმხანად თბილისში, რომელიც მუშაობდა ვენერიულ და კანის დაავადებათა პრობლემებზე, მაგრამ შემდეგ ისე გაქრა, თითქოს არც ყოფილა. ლუბლიანის №5-ში მდებარე ცენტრი კერძო სტრუქტურაა.**




**«ფოტოთერაპიით მკურნალობა მრავალმხრივი უპირატესობით ხასიათდება: მაღალეფექტიანია; მკურნალობის შედეგები რამდენიმე პროცედურის შემდეგ შესამჩნევია; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, რადგან არ აქვს რადიაციული გამოსხივება; გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება; უმტკივნეულოა, მოხერხებული და ადვილად გადასატანია; მნიშვნელობა არ აქვს დაავადების ხანგრძლივობას, სტადიას და სხვ.»**



ცენტრის გენერალური დირექტორი გიორგი გალდავა

**— როგორ მოახერხეთ ამ ცენტრის შექმნა? — ვეკითხები გენერალურ დირექტორს გიორგი გალდავას, რომელსაც ამ შენობის კედლებში უფრო ბატონ გოგად მოიხსენიებენ.**

— ალბათ, იმით, — **მიპასუხებს იგი,** — რომ მიყვარს ჩემი საქმე და ჩემი დარგი.

**გიორგი გალდავა ახალგაზრდა კაცია, 41 წლის. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თსუ-ს სამეცნიერო საბჭოს წევრია, არჩეულია საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტად:**

— ფაქტობრივად, აღარ არსებობს პედიატრიის ინსტიტუტი; პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტი რეორგანიზებულია და ისიც, მგონი, აღარ არსებობს; თვალის კლინიკა ცალკე იყო და ისიც აღარ არის; კარდიოლოგიის ცენტრი ერთ პატარა შენობაშია შეყუჟული. ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

ჩვენს დარგსაც დაემუქრა მსგავსი რეორგანიზაცია, მაგრამ დაჟინებული მტკიცებით, არგუმენტებით, დერმატო-ვენეროლოგიის მნიშვნელობის უტყუარი დასაბუთებით მოვახერხეთ ის, რომ არა მხოლოდ შევინარჩუნეთ დარგი, არამედ განვავითარეთ კიდეც.

მეტიც — თბილისის გარდა, ქვეყნის მსხვილ ქალაქებშიც არსებობს და ვითარდება რეგიონული სპეციალიზებული ცენტრები — ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავში, თელავში, რომლებიც მაღალკვალიფიციური ექიმებით არის დაკომპლექტებული.

ყველას მოეხსენება, რომ ექიმი მხოლოდ თეთრი ხალათით არ არის გამორჩეული, არც მხოლოდ განათლებით. ექიმობა სულიერი მოწოდებაა და საქმის გულით სიყვარულ ნიშნავს.

**— ძალად ექიმი?**

— დიახ. ერთ დროს მოდური იყო და სამედიცინო ინსტიტუტის დიპლომს ზოგს მზითვად ატანდნენ.

**საუბარი ლოგიკურად დარგის დღევანდელ მდგომარეობაზე გადადის:**

— ათი-თხუთმეტი წლის წინათ ჩვენი დარგი საკმაოდ ჩამორჩენილი და განუვითარებელი იყო. მთელი ჩვენი განათლება დამოკიდებული იყო თვალზე, თეორიულ ცოდნაზე, წიგნსა და გამოცდილებაზე.

ევროპელი და ამერიკელი მედიკოსების საქმიანობის პრინციპები რომ შევისწავლეთ და ღრმად რომ ჩავიხედეთ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი დარგი სამოციან წლებში იყო ჩარჩენილი.

ბოლო ათ წელიწადში განვავითარეთ ისეთი მიმართულებები, რომლებიც დამუშავებულია გერმანიის, ამერიკის, ავსტრალიის და ა.შ. დერმატო-ვენეროლოგიის სკოლებში. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდები კანის დაავადებების დროს — დერმატოსკოპია, ტრიქოსკანირება, დემოსკანირება, კანის ბიოფსია და, რაც მთავარია, მკურნალობის ის მეთოდები, რომლებიც დამოკიდებული არ არის მხოლოდ გარეგანი საშუალების წასმაზე და აბების მიღებაზე.

მკურნალობა მიმდინარეობს სხივური და ფოტოთერაპიის, ფიზიოთერაპიის მიმართულებით, აბაზანებით და მკურნალობის აპარატული და ქირურგიული მეთოდებით, რაც ასევე შედის დერმატოლოგების კომპეტენციაში.

და კიდევ — ესთეტიკური მედიცინა და კოსმეტოლოგია.

**— თქვენთანაც არის?**

— ჩვენთანაც არის კი არა, ეს უშუალოდ ექიმ-დერმატოლოგის საქმეა, მისი უფლება და კომპეტენციაა. თბილისის სილამაზის სალონების რეკლამებს თვალი რომ გადაავლოთ, აუცილებლად შეამჩნევთ, როგორი პრეტენზიულობით არის გამორჩეული: ლაზერული ეპილაცია, გაჯანსაღება, გაახალგაზრდავება, ბოტოქსი... მთელი თაიგულია, მაგრამ ვინ არის ამ ყველაფრის მკურნალი და შემძლე? — სტილისტი, პარიკმახერი, თერძი ან, ვთქვათ, ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ან, თუნდაც, ჰუმანიტარი... მოისმინა კოსმეტოლოგიის კურსები უმუშევრად დარჩენილმა ახალგაზრდამ და მიიღო კოსმეტოლოგის დიპლომი. „კოსმეტიჩკებს“ ვეძახი ასე სახელდახელოდ გამომცხვარ „სპეციალისტებს“.

ზოგი ირწმუნება, რომ აქვს უებარი სამკურნალო საშუალება, მალამო, რომლის რეცეპტის საიდუმლოებას მაინცდამაინც მისი ოჯახი ფლობს... წაუსვან და უმკურნალონ, თუ შედეგი ექნება. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

დერმატოლოგიის მიმართულებით ჩვენი ცენტრი თანამედროვე აპარატურით საკმაოდ კარგადაა უზრუნველყოფილი. ამ თვალსაზრისით, უცხოეთის წამყვან პროფილურ კლინიკებთან შედარებით, 2010 წელში ვიმყოფებით — 5 წლით ჩამოვრჩებით. მაგრამ, ვფიქრობ, 2020 წლისთვის დავძლევთ ამ ჩამორჩენას. ისეთი ტემპი გვაქვს აღებული, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვეწევით.

ამაში იგულისხმება როგორც ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე, ჩვენი ცენტრის სამედიცინო აპარატურით აღჭურვა და ამ აპარატურის მომსახურების უზრუნველყოფა შესაბამისი სპეციალისტებით.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ (რომლებიც ოცზე მეტია), შემიძლია გითხრათ, რომ თანამედროვე მედიცინის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველა მეთოდს ვფლობთ. იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა დიაგნოზის დასაზუსტებლად სხვადასხვა კლინიკიდან პაციენტებს ჩვენთან აგზავნიან.

**— ცალკე პრობლემაა ფსორიაზი, რომლითაც (ინტერნეტში ამოვიკითხე) დედამიწის მოსახლეობის 4 პროცენტია დაავადებული.**

— 5 პროცენტი! დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია ფსორიაზით დაავადებული 3958 პაციენტი. მათ შორის, ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით — 2284. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მონაცემი სრული არ არის. სამწუხაროდ, მოსახლეობაში დამკვიდრებულია გარკვეული სტიგმა — ნეგატიური ასოციაცია რაიმე სამარცხვინო მოვლენაზე, სტერეოტიპი, როცა ადამიანები მალავენ, არ ამჟღავნებენ ამ დაავადებას.

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „თბილისის სილამაზის სალონების რეკლამებს თვალი რომ გადაავლოთ, აუცილებლად შეამჩნევთ, როგორი პრეტენზიულობით არის გამორჩეული: ლაზერული ეპილაცია, გაჯანსაღება, გაახალგაზრდავება, ბოტოქსი... მთელი თაიგულია, მაგრამ ვინ არის ამ ყველაფრის მკურნალი და შემძლე? — სტილისტი, პარიკმახერი, თერძი ან, ვთქვათ, ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ან, თუნდაც, ჰუმანიტარი... მოისმინა კოსმეტოლოგიის კურსები უმუშევრად დარჩენილმა ახალგაზრდამ და მიიღო კოსმეტოლოგის დიპლომი. „კოსმეტიჩკებს“ ვეძახი“

მართალია, ფსორიაზი არ იკურნება, მაგრამ არსებობს მეთოდები, რომლებიც პაციენტს შვებას აძლევს რამდენიმე წლის ხანგრძლივობითაც კი. ეს, მერწმუნეთ, თითქმის იგივეა, რაც განკურნება.

**და ბატონმა გიორგი გალდავამ მირჩია, მივსულიყავი ექიმ-დერმატოლოგ, ფოტოთერაპევტ ნონა ბაგდადიშვილთან, რომელიც აღნიშნულ ცენტრში ფოტოთერაპიისა და სხივური თერაპიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს და თვალსაჩინო შედეგებიც აქვს მოპოვებული.**

— თუ რამ ახალი არსებობს ფოტოთერაპიაში, ჩვენც გაგვაჩნია. ამ ზაფხულისთვის კი ვაპირებთ ე.წ. აბაზანების მეთოდის — პუვა-აბაზანების — დანერგვას, რომელიც პირველი იქნება საქართველოში, — ამბობს **გენერალური დირექტორი.**

**და მას შემდეგ, რაც გარკვეული შთაბეჭდილება ჩამოგიყალიბდება ამ ცენტრის საქმიანობასა და შედეგებზე, დაიჯერებ, რომ ასეთი პერსპექტივა სულაც არ არის ჰაერში ნასროლი წინასაარჩევნო დაპირება, შეუსრულებელი, როგორც წესი.**

**დერმატოლოგიის პრაქტიკაში ფოტოთერაპიული მეთოდით მკურნალობაზე საუბარი, ბუნებრივია, გაგრძელდა კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის ფოტო და სხივური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ნონა ბაგდადიშვილთან.**

**— რატომ იზრდება ფსორიაზით დაავადებულთა რაოდენობა, ქალბატონო ნონა?**

— უპირველესი ნეგატიური როლი მიუძღვის გარემო ფაქტორებს: უკიდურესად სტრესულ ცხოვრებას, დაბინძურებულ გარემოს და ა.შ. ხოლო კანი ადამიანის ორგანიზმის სარკეა.

**— აუტოიმუნური ბუნებისააო ფსორიაზი, გვეუბნება თანამედროვე მედიცინა. ეს რას ნიშნავს?**

— ეს ნიშნავს, რომ ადამიანის იმუნური სისტემის დაზიანების გამო ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტისხეულებს საკუთარი კანის უჯრედების წინააღმდეგ. ერთ-ერთი თეორიით სწორედ იმუნური დარღვევა იწვევს ამ დაავადებას, ხოლო ფოტოთერაპიით მკურნალობა არეგულირებს იმუნურ პროცესებს.

**— ფოტოთერაპია მაინცდამაინც ფსორიაზზეა აქცენტირებული?**

— არა. ამ მეთოდით მკურნალობა სხვა დაავადებების შემთხვევაშიც შეიძლება. ეს არის: ვიტილიგო, სებორეული დერმატიტი, ფუნგოიდური მიკოზი, ალოპეცია, იქტიოზი, ქავანა დერმატიტი, ეგზემა, პარაფსორიაზი, სკლეროდერმია და ა.შ.

დაავადებები საკმაო რაოდენობითაა.

**— რა შეიძლება, ჩავთვალოთ ფსორიაზის მაპროვოცირებელ ფაქტორად?**

— ფსორიაზის მაპროვოცირებელ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის სტრესი. სტრესული სოციალური გარემო ხშირად იწვევს ფსორიაზის პირველადი გამოვლინების სიხშირის მატებას.

**— როგორ ხდება ფსორიაზის დიაგნოსტირება?**

— ფსორიაზის დიაგნოზი ხშირად ისმევა კლინიკურად ანუ დათვარიელებით. რთულ შემთხვევებში, როცა კლინიკური სიმპტომები არაა საკმარისად გამოკვეთილი (კებნერის სიმპტომი, სისხლის ნამის სიმპტომი და სტეარინის ლაქა) შესაძლოა ბიოფსიის ჩატარება.

**— ვინ შეიძლება დაავადდეს ფსორიაზით ?**

— ფსორიაზით შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი სქესის, ასაკის პირები, თუმცა დაავადების პირველადი გამოვლინების პიკი 16-35 წლამდე ახალგაზრდებში გვხვდება. ჩვენთვის მოუმართავთ სამკურნალოდ 2 წლამდე ასაკის და 80 წელს გადაცილებულ პაციენტებსაც.

**— აქვს თუ არა ფოტოთერაპიულ მეთოდს ასაკობრივი შეზღუდვა?**

— ზოგადად ფოტოთერაპიის მეთოდით მკურნალობა რეკომენდირებულია 5-დან 75 წლამდე შუალედში. ამჟამად ბევრ ევროპულ და აზიურ ქვეყანაში არსებობს სპეციალური დანადგარები 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის; ცალკეულ შემთხვევებში ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით დასაშვებია ფოტოთერაპიული კურსი 80 წელს გადაცილებულ პაციენტებშიც, რა თქმა უნდა, მკურნალობის კურსი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეირჩევა მკაცრად ინდივიდუალური წესით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფსორიაზით დაავადებულთა რაოდენობა ყველა ასაკის ადამიანებში იზრდება. თოთო ბავშვების ფოტოთერაპიით მკურნალობა ცოტა სარისკოა და, მართალი გითხრათ, მეც ვერიდები.

არც 75 წელს გადაცილებული პაციენტების მკურნალობაა რეკომენდებული. თუმცა ისრაელის კლინიკებში მკურნალობენ ყველას და შედეგებიც დადებითია.

**— იქნებ ცოტა უფრო დეტალურად ახსნათ მკურნალობის სპეციფიკა?**

— ფოტოთერაპია დამყარებულია ულტრაიისფერი სხივის უნიკალურ თვისებაზე, კანის შრეებში შეღწევისას მოახდინოს სამკურნალო ეფექტი. ძველ საბერძნეთში და ინდოეთშიც იყენებდნენ მზის ენერგიას, როგორც სამკურნალო საშუალებას.




ნონა ბაგდადიშვილი და ისრაელის მთავარი ფოტოდერმატოლოგი ფელიქს პავლოვსკი. ისრაელი, 2014 წლის სექტემბერი

ჩვენ დროში ფიზიკოსებისა და მედიკოსების თანამშრომლობით შექმნეს და მეცნიერების უახლესი მიღწევების საფუძველზე დაამუშავეს ეს მეთოდი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში დაინერგა 1974 წლიდან, საქართველოში 1979 წლიდან ვიყენებთ და დღემდე ძალიან ეფექტიან მეთოდად არის მიჩნეული.

**— საუბარში ისრაელის მედიკოსების გამოცდილება დაიმოწმეთ. პრაქტიკული ურთიერთობა თუ გქონიათ მათთან?**

— დიახ, მქონდა. მივლინებული ვიყავი თელ-ავივის ჰაიმ შჰებას სახელობის ტელაშომერის საუნივერსიტეტო კლინიკაში, რომელიც სიდიდით პირველია ისრაელში. ეს არის უდიდესი კლინიკა ძლიერი ფოტოდერმატოლოგიური დეპარტამენტით, რომელიც დღეში 180-მდე პაციენტს მკურნალობს. იქ გავეცანი და შევისწავლე მუშაობა ულტრათანამედროვე ფოტოთერაპიულ დანადგარებზე. ვმუშაობდი საკმაო ხანს, ვეხმარებოდი იმ დროს, როცა განსაკუთრებით გამწვავებული მდგომარეობა იყო ქვეყანაში. უფრო ადრე, 90-იან წლებში, სტაჟირება გავიარე ავსტრიასა და გერმანიაში.

**— თქვით, რომ თელ-ავივის კლინიკა, რომელშიც მუშაობდით, დღეში 180 პაციენტს ატარებდა. ეს ბევრია?**

— ბევრია, მაგრამ ეს მხოლოდ ფსორიაზით დაავადებულებს არ ეხება. გეტყვით, რომ მატება ხდება იმ დაავადებათა ხარჯზეც, რომელთაც ფოტოთერაპიით შეიძლება ვუმკურნალოთ. 22-23 წლის წინათ, როცა პრაქტიკული მუშაობა დავიწყე, ვმკურნალობდით მხოლოდ ფსორიაზს, ვიტილიგოს, ნეიროდერმიტს და პარაფსორიაზს. ამჟამად დაავადებათა რაოდენობა გაიზარდა. ამ ჩამონათვალში შედის ისეთი დაავადებებიც, რომელთა სამკურნალოდ ფოტოთერაპიული მეთოდი უკუჩვენებად ითვლებოდა მაგალითად სკლეროდერმია. ჩვენს კლინიკაში დაინერგა ამ დაავადების სამკურნალოდ UVA-1 გამოყენების მეთოდიკა. ჩვენი დერმატოლოგიური დეპარტამენტის ექიმ-დერმატოლოგების — ირმა ბუჩუკურის და ნინო ლორთქიფანიძის მონაწილეობით, ამერიკის ფოტოდერმატოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**— რა უპირატესობით ხასიათდება ფოტოთერაპიული მეთოდი?**

— ფოტოთერაპიით მკურნალობა მრავალმხრივი უპირატესობით ხასიათდება: მაღალეფექტიანია; მკურნალობის შედეგები რამდენიმე პროცედურის შემდეგ შესამჩნევია; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, რადგან არ აქვს რადიაციული გამოსხივება; გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ქავილ საწიინააღმდეგო მოქმედება; უმტკივნეულოა, მოხერხებული და ადვილად გადასატანია; მნიშვნელობა არ აქვს დაავადების ხანგრძლივობას, სტადიას და სხვ.

ერთი განმარტებაც:

ცნობილია, რომ მზის სპექტრი, სამად არის გაყოფილი: **A — გრძელტალღოვანი, B — საშუალოტალღოვანი და C — მოკლეტალღოვანი,** რომელიც მავნეა და მედიცინაში არ გამოიყენება. მედიცინაში ვიყენებთ UVA და UVB სხივებს და მათ კომბინაციებს. უფრო დეტალურმა განხილვამ შეიძლება მხოლოდ დააბნიოს თქვენი მკითხველი. დავუმატებ მხოლოდ, რომ ფოტოთერაპიისას გამოყენებული სხივები C გამოსხივებისგან გაწმენდილია.

ალბათ, იმის თქმაც აუცილებელია, რომ ჩვენი დეპარტამენტის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილობა ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს და არაფრით ჩამოუვარდება უცხოეთის წამყვან კლინიკებს. შეგვიძლია მკურნალობა ჩავატაროთ სხეულის როგორც ლოკალურ, მათ შორის, თმიან ნაწილებზე, ასევე, მთელ სცეულზე დაავადების შემთხვევაშიც. მომავალში ჩვენი ტექნოლოგიური აღჭურვილობა მუდმივად განახლდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. უახლოეს მომავალში მიზნად გვაქვს შევიძინოთ აპარატურა წერტილოვანი მკურნალობისთვის.

**— ახლა — შედეგების შესახებ.**

— შედეგები ძალიან კარგი გვაქვს. ჩვენს დეპარტამენტში ნამკურნალებ პაციენტებს აქვთ რამდენიმე წლიანი რემისია, არიან ისეთებიც რომელთაც 20 წლამდე არ აღენიშნებოდათ რეციდივი, თუმცა ხაზგასასმელია, რომ მკურნალობის კურსი წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი ზუსტად იცავს შემანარჩუნებელი თერაპიის მოთხოვნებს და ცხოვრობს ჯანმრთელი ცხოვრების წესს ამ დასკვნის უფლებას მაძლევს ჩემი 23 წლიანი გამოცდილება და დაახლოებით 4000მდე პაციენტის მკურნალობის პრაქტიკა. ბოლო მონაცემებით, ფოტოთერაპიით ნამკურნალები პაციენტების 90-96 პროცენტი გამოჯანმრთელებულად ითვლება. ეს დიდი რიცხვია.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა ჯეიმს გრამსმა ამ მეთოდს დერმატოლოგიური დაავადებების მკურნალობის „ოქროს სტანდარტი“ უწოდა.

ისრაელში ყოფნისას საუნივერსიტეტო კლინიკის ერთ-ერთი დილის თათბირი ჩემი მუშაობის დადებით გამოცდილებას მიუძღვნეს.

**— მაგრამ ფსორიაზი განუკურნებელი სენია. იმ ჭირვეული ცოლივითაა, რომელიც შეიძლება, კარგა ხნით მოარჯულო, მაგრამ ბოლოს მაინც იფეთქებს.**

— დიახ, ასეა მიჩნეული. მაგრამ ფოტოთერაპიის მეთოდმა სტაბილური რემისიის მდგომარეობის მიღწევის შესაძლებლობა მოგვცა.

ჩვენი დეპარტამენტი დღეში 30 პაციენტს იღებს. მეტის მიღება ფიზიკურად შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამუშაო საათები პრაქტიკულად არანორმირებულია.

დასასრულს, ჩვენთან პროცედურის ჩატარება ძალიან იაფი ღირს. თუ სხვა ქვეყნებში პაციენტმა 500 დოლარი უნდა გადაიხადოს, ჩვენთან, საშუალოდ, 20-დან 40 ლარამდე მერყეობს.

ასობით პაციენტი შედის ქალბატონ ნონა ბაგდადიშვილის „ფეისბუქ-გვერდზე“ მისდამი მადლიერების გამოსახატავად. გულწრფელობითაა გამორჩეული მათი მიმართვები. მრავალთა მიერ ნათქვამი მადლობის ერთგვარი კვინტესენციაა აშშ-ში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდის — ნიკო წეველიძის მიერ მოწერილი: „კეთილშობილების განსახიერება ხართ, ქალბატონო ნონა, დიდ საქმეს აკეთებთ ღვთის წინაშე, უამრავ ადამიანს ცხოვრების ხალისი დაუბრუნეთ“.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**




ცენტრის ექიმები საერთაშორისო კონფერენციაზე. ბარსელონა, 2012 წ.



ეფექტი: მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ

**P.S. გენერალურ დირექტორს რომ შევეკითხე, არსებობს თუ არა რაიმე შეღავათები გაჭირვებული პაციენტებისთვის, ასეთი პასუხი მივიღე:**

**— შეღავათი დამოკიდებულია მენეჯმენტისა და მკურნალი ექიმის კეთილ ნებაზე. ჩანაწერებს ამ თემაზე, მაშასადამე, არც ანალიზს, ჩვენ არ ვაკეთებთ. ძალიან ბევრი უფასო პაციენტი გვყოლია, რომლებსაც კლინიკამ თავისი ხარჯებით უმკურნალა, უფრო მეტისთვის 50-პროცენტიანი ფასდაკლება გაგვიკეთებია.**

**სამწუხარო ისაა, რომ ჩვენს მიმართულებას სახელმწიფო ნაკლებად აფინანსებს. იმავეს თქმა შემიძლია სადაზღვევო კომპანიებზე. ასეთი ვითარება მსოფლიო გამოცდილების ფონზე ნონსენსია. უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ განწყობასაც ვერ ვხედავ მდგომარეობის გამოსასწორებლად.**

**გულდასაწყვეტია!**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხუთი ზღვის — კასპიის, შავი, ბარენცის, აზოვისა და თეთრის — შეერთება და ერთ სანაოსნო სისტემად შექმნა ხომ სტალინის გენიისა და შემოქმედების ნაყოფია. კოსმოსი ადამიანის მასპინძელი რომ გახდა, ეს მხოლოდ სტალინური ნიჭის გამონათების დასტურია. კავი და ატომი, ურემი და წყალბადის ბომბი — ეს შეუძლებლის შესაძლებლად ქცევის სტალინური ტექნოლოგიების აპოგეაა!**

## ნაწილი I

# სტალინი და მენშევიკური მთავრობა

**1956 წლის 9 მარტის მოვლენების აქტიური მონაწილე ვარ. ამ წლის 4 მარტს სტუდენტთა ქალაქიდან დაძრული ახალგაზრდების მცირე ჯგუფს პატივი უნდა მიგვეგო სტალინის ხსოვნისადმი და მისი გარდაცვალების დღის აღსანიშნავად ღამე ძეგლთან, „მშრალ ხიდზე" უნდა გაგვეთენებინა.**

გადაწყვეტილებები ქაოსურად იცვლებოდა, არ იყო ერთი ხელმძღვანელი. ვიყავით ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებიც ჩვენი ინიციატივით ვმოქმედებდით. მეორე თუ მესამე დღეს, როდესაც ხალხის ნაკადმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი), გადავწყვიტეთ, შეგვექმნა საორგანიზაციო კომიტეტი ხელმძღვანელის გარეშე. ახალგაზრდების ძირითადი მოთხოვნა იყო სტალინის სახელის დაცვა, რისთვისაც ქუჩებში გაისმოდა შეძახილები „ლენინი,სტალინი", იქ არ ყოფილა ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა.

მოძრაობა, რომელიც 9 მარტამდე გაგრძელდა, ტრაგიკულად დასრულდა. Gგავიდა ხანი და 1990-იანი წლების ეროვნული მოძრაობის გააქტიურების პერიოდში დაიწერა წიგნი 1956 წლის 9 მარტზე, მასში ნათქვამია, რომ 1956 წლის 9 მარტს მღელვარება დაიწყო ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას და რუსეთიდან გამოყოფას. ისტორიული ფაქტის გაყალბების მცდელობა ისეთი დიდი იყო, რომ, როდესაც 9 მარტის აღსანიშნავად „მშრალ ხიდზე" სტალინის სახელისათვის დაღუპულთა მემორიალის გახსნა დავაპირე, ეროვნული მოძრაობის წევრებმა დაღუპულთა ბებიები და ახლო ნათესავები დამახვედრეს და გააპროტესტეს მემორიალზე სტალინის სახელის აღნიშვნა, რადგან, „მათი შვილები და შვილიშვილები ეროვნულ მოძრაობას შეეწირნენ და არა — ბოლშევიკ სტალინსო".

აფხაზებთან პოლიტიკური საკითხების განხილვისას ერთმა სახელმოხვეჭილმა ისტორიკოს-აკადემიკოსმა განაცხადა, სტალინმა და ბერიამ მოახდინეს აფხაზეთის რუსიფიკაციაო. ამ განცხადებაზე კომენტარს აღარ გავაკეთებ.

**ისტორიკოსთა „ჟამთააღმწერელ" დოკუმენტებსა და წიგნებში, ესა თუ ის მოვლენა დიამეტრულად საწინააღმდეგოდ არის აღწერილი.**

**ისტორიაში ცნობილია ფაქტებით მანიპულირების შემთხვევები, მაგრამ ისე მასობრივად და მასშტაბურად, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ალბათ, არსად ყოფილა.**

**უმჯობესი იქნებოდა, ქვეყნის ისტორიის წიგნს ცალკე კატეგორია მიენიჭოს და მხოლოდ მას შემდეგ გამოქვეყნდეს, როცა ის საზოგადოებრივი ავტორიტეტული კომისიის ფილტრს გაივლის.**

სხვა ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე დაწერილი თხზულებები იმ კატეგორიის ნაწარმოებებს უნდა მიეკუთვნებოდეს, რომელსაც არ სჭირდება განსჯა. ის ავტორის ფანტაზიის ნაყოფად უნდა იყოს მიჩნეული.

მე, **როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, რომელსაც არ მაქვს პრეტენზია, არც სამეცნიერო ხარისხის მოპოვების და არც ჩემი ნაწერების კომერციული მიზნით გამოყენებისა, საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ ბოდიშს მოვიხდი, თუ ჩემი ნაწერები თამამი და გაბედული აზრებით იქნება გაჯერებული!**

**კიდევ ერთხელ ვგმობ ისტორიის ფალსიფიკაციას და ვუბრუნდები ზოგიერთ ისტორიულ პერიოდს, რომლებზეც ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული ან თუ გამახვილებულია, მხოლოდ სიმართლის საწინააღმდეგოდ.**

ლაპარაკია უახლეს ისტორიაზე, რომელიც მოიცავს 1900-1921 წლებს და რევოლუციური და მენშევიკური საქართველოს პერიოდის სახელითაა ცნობილი.

იმ მრავალრიცხოვან მეცნიერთა და მკვლევართა შორის, რომლებიც უახლეს ისტორიას იკვლევენ და სწავლობენ, ყველაზე ღირებულ და ავტორიტეტულ მეისტორიე მეცნიერად მიმაჩნია **ვახტანგ გურული.** მან შექმნა უამრავი ისტორიული დებულება, რომელიც თავის მნიშვნელობას არასოდეს დაკარგავს და, რაც დრო გავა, უფრო დაიწყებს კაშკაშს.

მეცნიერებისა და ხელოვნების ყველაზე სახიფათო ბილიკზე მემატიანეს უწევს გავლა და სწორედ ამიტომ უსწორდება მას სასტიკად დროცა და ხელისუფალიც. მეისტორიესთვის, როგორც მეურნე გლეხისათვის, კალამია გუთანი და პერგამენტი — ხოდაბუნი. უფრთხის მემატიანე, გუთნის პირი არ ჩაუტყდეს ხოდაბუნების ამობრუნებისას და ულუკმაპუროდ არ დატოვოს ოჯახი, ამიტომაც ვალდებულად თვლის თავს, ხარკი



**საქართველომ არ მიიღო ილია ჭავჭავაძე და მას ტყვიით გაუსწორდნენ. ქართველებმა არ მიიღეს არც ეფრემ მეორე და სიცოცხლე მარტყოფის ლავრაში მოუსწრაფეს; არ მიიღეს არც სულხან-საბა ორბელიანი, წვერით ათრიეს და სამჯერ შემოატარეს სვეტიცხოველს. მოკლეს და საჯინიბოში დაასვენეს ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მაშ, რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართველმა ხალხმა არ მიიღო სტალინი?!**

გადაუხადოს დროსა და ხელისუფალს.

სწორედ ხარკის გადახდის ერთ-ერთი მაგალითია პროფესორ ვახტანგ გურულის მიერ თანამედროვეთათვის მიძღვნილი „ოდა":

**„საქართველოს იგი არ სჭირდებოდა, რუსეთი კი მას არ ელოდა. იმხანად, რა თქმა უნდა, იოსებ ჯუღაშვილმა არ იცოდა, რომ ამ დასკვნამ განაპირობა იოსებ სტალინის, საქართველოსა და რუსეთის დიდი ტრაგედია".**

მკითხველი გააცნობიერებს, რა დოზით ასიამოვნა ბატონმა ვახტანგ გურულმა თავისი ციტატით ქართველ და რუს „ლიბერალებს", „დემოკრატებსა" და ოლიგარქებს, რომლებმაც ნულამდე დაიყვანეს მსოფლიოს ზეძლიერი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება და ერთ დროს მზიურ საქართველოს როგორ ჩამოაფარეს გლოვისა და სიღარიბის ფარდა. ზემომოყვანილი ფრაზები ბატონი ვახტანგის ხარკია და ჩავუთვალოთ, რომ ის გადახდილია.

ახლა კი მივყვეთ მოვლენებს:

***„სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება"** (ვ. გურული. „სტალინის დიდი ექსპერიმენტი". გვ.5).

დავარწმუნოთ ამ დებულების სისწორეში? — შეუძლებელია, ადამიანმა ერთი დღის განმავლობაში იფიქროს სტალინგრადის დაცვაზე, ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვაზე (ვასილევსკი-ვოლსკი), ბომბდაცემული დიდი თეატრის შემჭიდროებულ ვადებში აღდგენაზე, ავიაკონსტრუქტორებთან განიხილოს ზებგერითი თვითმფრინავის ტექნიკური დეტალები, კონსტრუქტორ **ვასილ გრაბინთან** დააზუსტოს ქვემეხის ჭურვის გასროლის მანძილი და მიზნის დაზიანების ხარისხი, მარშალ **მიხეილ კატუკოვს** ურჩიოს, შეცვალოს ტანკზე ქვემეხის ლულის პარამეტრები, ასპინძის რაიონიდან გამოუძახოს რაიკომის პირველ მდივანს ან კოლმეურნეობის აგრონომს და ესაუბროს დატოტვილი ხორბლის თავთავზე, პარალეურად, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს დაავალოს, დასასვენებლად გამგზავრებულ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს დახვდეს რკინიგზის სადგურზე და მეგზურობა გაუწიოს, უხელმძღვანელოს სხვადასხვა მიმართულებით წარმოებულ წარმოუდგენელი მაშტაბების ფრონტებს, ყოველდღიურად შეაჯამოს ომის შედეგები და მომავალი დღისთვის გენერალურ შტაბს მისცეს ათამდე საბრძოლო დავალება, შესვენების დროს კი გადაიკითხოს სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის ხუთასამდე გვერდი.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ ყოველდღიური დატვირთვისა, რომელსაც სტალინი რეგულარულად ეწეოდა დიდი სამამულო ომის პერიოდში, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების მინისტრი.

სხვას ვის შეეძლო, განკარგულება გაეცა, სასწრაფოდ დაეწყოთ ტრანსციმბირული სარკინიგზო მაგისტრალის დემონტაჟი და გადმოეტანათ იგი კასპიის ზღვისპირა ქალაქების — ასტრახანისა და მახაჭყალის — დასაკავშირებლად, რომლის საერთო სიგრძე 600 კილომეტრს აღემატება და მისი მშენებლობა მოკლე ხანში დასრულდა.

**ხუთი ზღვის — კასპიის, შავი, ბარენცის, აზოვისა და თეთრის — შეერთება და ერთ სანაოსნო სისტემად შექმნა ხომ სტალინის გენიისა და შემოქმედების ნაყოფია. კოსმოსი ადამიანის მასპინძელი რომ გახდა, ეს მხოლოდ სტალინური ნიჭის გამონათების დასტურია.**

**კავი და ატომი, ურემი და წყალბადის ბომბი — ეს შეუძლებლის შესაძლებლად ქცევის სტალინური ტექნოლოგიების აპოგეაა!**

***„იოსებ სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, თუმც ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ, იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისგან გამოარჩია და მას სხვა დიდი და გამორჩეული მისია დააკისრა. მიუხედავად ამისა, იოსებ სტალინმა იმხანად (1901-1904 წ.წ.) თავის თანამემამულეებთან: ნოე ჟორდანიასთან, ისიდორე რამიშვილთან, ნოე რამიშვილთან, კარლო ჩხეიძესთან, პარმენ ჭიჭინაძესთან, არჩილ ჯორჯაძესთან ყველა ბრძოლა წააგო. ფეხი ვერ მოიკიდა ვერც თბილისში, ვერც ბათუმში, ვერც ქუთაისსა და ჭიათურაში. და მაინც, თავისი არჩევანის სისწორეში დარწმუნებული ი. სტალინი არაადამიანური ენერგიით განაგრძობდა ბრძოლას, ჯიუტად იმკვიდრებდა ადგილს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე, თუმცა ყოველი ცდა ამაო იყო, — ქართულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ იოსებ სტალინი არ მიიღო"** (ვ. გურული. „სტალინის დიდი ექსპერიმენტი", გვ.15).

**საქართველომ სტალინი არ მიიღო, საქართველომ არ მიიღო ვახტანგ გორგასალი და იგი ქართველმა კაცმა მოკლა, საქართველომ არ მიიღო დავით აღმაშენებელი, რომელიც იძულებული შეიქნა, საქართველოში ჩამოესახლებია 40 000 ყივჩაღი, საქართველომ არ მიიღო თამარი, რომელიც ტახტს ორჯერ გამო-** ▶



## ვენაში ლგბტ შუქნიშნები დამონტაჟდება

**2014 წლის „ევროვიზია", რომელიც კოპენჰაგენში ჩატარდა, ეპატაჟურმა, წვერიანმა კონჩიტა ვურსტმა მოიგო.** წელს კონკურსის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ პირობები, რომელშიც გაიმართება „ევროვიზია", მაქსიმალურად იქნება მორგებული სექსუალურ უმცირესობებზე. ვენის ქუჩებსა და სასტუმროებში ფერადი ალმებია გამოფენილი, წარწერით gay friendly. ქალაქში კონჩიტა ვურსტის ფოტოებია მიმოფანტული, ხოლო ავსტრიის მეტროში გაჩერებებს მისი ხმით აცხადებენ. „ევროვიზიისათვის" ქალაქის ცენტრში დამონტაჟდება სპეციალური შუქნიშნები, რომელზეც განათდება ერთსქესიანი წყვილები.



# ისტორიკოსთა „ჟამთააღმწერელ“ დოკუმენტებსა და წიგნებში, ესა თუ ის მოვლენა დიამეტრულად საწინააღმდეგოდ არის აღწერილი. ისტორიაში ცნობილია ფაქტებით მანიპულირების შემთხვევები, მაგრამ ისე მასობრივად და მასშტაბურად, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ალბათ, არსად ყოფილა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეთხოვა, საქართველომ არ მიიღო არც გიორგი სააკაძე და არც ერეკლე მეორე — ორივე ნაღალატევი წავიდა ამ ქვეყნიდან. საქართველომ არ მიიღო ილია ჭავჭავაძე და მას ტყვია დაახალეს. ქართველებმა არ მიიღეს არც ეფრემ მეორე და სიცოცხლე მარტყოფის ლავრაში მოუსწრაფეს. არ მიიღეს არც სულხან-საბა ორბელიანი, წვერით ათრიეს და სამჯერ შემოატარეს სვეტიცხოველს; მოკლეს და საჯინიბოში დაასვენეს ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მაშ, რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართველმა ხალხმა არ მიიღო სტალინი?!**



სწორედ ამას დასტირის დიდი **ვაჟა: „თუ ვერ ვიგუეთ ვერ შევიფერეთ, კარგი შვილები რად გვებადება?“**

ვფიქრობ, შვილების ბრალი ნაკლებია მათ მიუღებლობაში, თუმცა ისინიც ხომ საზოგადოების წევრები იყვნენ, რომელიც სხვას არ იღებდა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმღებნი და მისაღებნი, ამ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად მაინც „სცოდავდნენ“.

პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **გრიგოლ ლორთქიფანიძე** თავის ,პოლიტიკურ ანდერძში“ წერს: **„თითქოს თბომატარებლებისგან ვართ ნაკეთები: მალე ვთბებით, სწრაფად ვხურდებით, ჩქარა აღვიგზნებით, მაგრამ ასევე სწრაფად ვგრილდებით. გვიყვარს იოლი პარტიზანობა და მჩატე გაჯირითება ყოველგვარ ასპარეზზე, გვაკლია ბეჯითობა, მუყაითობა, ფოლადი ნებისყოფაში, ვართ ერი-პოეტი ყველგან“.**

თემაზე მუშაობა დაწყებული მქონდა, როდესაც საჭირო ლიტერატურის მოძიებაში დახმარება ბატონ **ომარ გოცაძეს** ვთხოვე. მან მითხრა, ახლახან წიგნების მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს ენვერ ნიჟარაძის 700-გვერდიანი დიდი ფორმატის წიგნი სათაურით „გრიგოლ (აველონ) რობაქიძე“. ეს წიგნი, სამწუხაროდ, არ მაქვს და, თუ შეიძენთ, უამრავ დოკუმენტურ მასალას გაეცნობით.

ეს წიგნი ახლა ჩემს საწერ მაგიდაზე დევს. 25 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ გადახვეწილი ემიგრანტი **ენვერ ნიჟარაძე** ლეგენდარული **ბესარიონ ნიჟარაძის** ოჯახის შვილია, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი რაინდი და ზვიად გამსახურდიას ორდენის კავალერი. არის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, ბრწყინვალე კალმოსანი და პოეტი.

გულდასმით წავიკითხე მისი წიგნი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ აქვს — სად ნახა, სად მოიძია, როგორ თარგმნა, როგორ მოიყვანა სისტემაში ის ზღვა მასალა, რომელიც ამ წიგნშია მოქცეული!

**ემიგრანტი პოეტი ენვერ ნიჟარაძე 25 წლის განმავლობაში დაუღალავად მიმოდიოდა ასევე ემიგრანტი პოეტისა და მწერლის — გრიგოლ რობაქიძის ნაკვალევზე და ყველასგან მიტოვებულ და შერისხულ დიდ მამულიშვილზე მასალებს აგროვებდა. ცივილიზებული ევროპის თითქმის ყველა ქალაქის წიგნსაცავებისა და არქივების გულდასმით გაჩხრეკის შემდეგ შეიქმნა ეს, არც კი ვიცი, რა ვუწოდო — წიგნი თუ ბიბლია, რომელიც უძღვნა ბიბლიურ ადამიანს გრიგოლ რობაქიძეს.**

უდიდესი საარქივო მასალისა და მოხმობილი ლიტერატურის გაცნობამ გამახსენა იოსებ გრიშაშვილის ლექსი „აპრილი თბილისში“, სადაც ის დანანებით წერს:

**„რას ვეჭიდები**
**ამ ბურჯებს,**
**ამ ცხრათავიან დევებსა,**
**მე ერთ რითმაშიც**
**არ გავცვლი,**
**ამდენსა გამოკვლევებსა“.**

როდესაც ამ წიგნს ვკითხულობ, მგონია, რომ აქ მოდის ელისეს მინდვრებზე დაღლილი, მაგრამ არქივში მუშაობით კმაყოფილი ენვერ ნიჟარაძე. ხან კიდევ მგონია, რომ ტრაფალგარზე ვხვდები. წარმოდგენაში ვხედავ ევროპის ყველა დიდი თუ პროვინციული ქალაქის სამეცნიერო ცენტრებში, მაგრამ წიგნში არის ადგილები, სადაც ენვერ ნიჟარაძე სვანური ქუდით, კეეშწამოსხმული (კეეში — ჯიხვის ტყავი, ტანზე შემოსაცმელად გაკეთებული) დგას წინაპართა მიერ მტკიცედ ნაშენი კოშკის გალავნის ზღურბლზე და თავის ახლობელს, ამასთანავე, მეზობელს ხმამაღლა ედავება გუშინ ჩადენილ საქციელზე. ეს არის ამ წიგნის შნო და ლაზათი, სიმტკიცე და ჯავარი.

გრიგოლ რობაქიძე გამორჩეული პერსონაა, როგორც ქართულ ცხოვრებასა და აზროვნებაში, ასევე მენშევიკურ მთავრობაში, როგორც სამშობლოში, ისე ემიგრაციაში.

ენვერ ნიჟარაძე (მარჯვნივ) და რომან მიმინოშვილი



**«მას ძალუძდა რეალურად არსებულ, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე პიროვნებებზე შთამბეჭდავად წერა, შეეძლო მათი ცაში აყვანაც და ძირფესვიანი მოთხრაც. ეს არ ნიშნავს, რომ მისი შეფასებანი ყოველთვის ობიექტური იყო. ასე გაასწორა მიწასთან, ერთ შემთხვევაში, სტალინი, სხვათა შორის ბევრ რამეში დაუმსახურებლად; განადიდა, მეორე შემთხვევაში, ჰიტლერი და მუსოლინი ბევრ რამეში, ასევე დაუმსახურებლად»**



გრიგოლ რობაქიძე

მე ყოველთვის ტენდენციური ვიქნები გრიგოლ რობაქიძის მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა უნდა დავუთმო ჩემს მეგობარსა და გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო მკვლევარს, ბატონ ენვერ ნიჟარაძეს, რომელიც ამბობს: **„მას ძალუძდა რეალურად არსებულ, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე პიროვნებებზე შთამბეჭდავად წერა, შეეძლო მათი ცაში აყვანაც და ძირფესვიანი მოთხრაც. ეს არ ნიშნავს, რომ მისი შეფასებანი და სჯანი ყოველთვის ობიექტური იყო. ასე გაასწორა მიწასთან ერთ შემთხვევაში სტალინი, სხვათა შორის ბევრ რამეში დაუმსახურებლად. განადიდა მეორე შემთხვევაში ჰიტლერი და მუსოლინი, ბევრ რამეში, ასევე დაუმსახურებლად** (ე.ნიჟარაძე. „გრიგოლ რობაქიძე“, გვ. 142.)

ენვერ ნიჟარაძეს კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება, როგორც მუსოლინის ბავშვობისა და ოჯახის მიმართ, ასევე, სტალინის ოჯახისა და ბავშვობის მიმართაც: „თუ მუსოლინის ოჯახს ასეთ იდილიურ შუქში წარმოაჩენს, სამაგიეროდ, „ჩაკრულ სულში“, თავში „სტალინის ჰოროსკოპი“ მწერალი სტალინის ოჯახს დაუნდობლად ანადგურებს... არ ვიცი, რას ეყრდნობოდა გრიგოლ რობაქიძე, როდესაც ამას წერდა, მაგრამ **სტალინის ოჯახური სიტუაციის აღწერაში სიმართლის რაღაც ნაწილიც რომ იყოს, ის მაინც სრულიად გადაჭარბებული და გაზვიადებულია. რაც შეეხება იმას, თუ რას ფიქრობდა სტალინი, თუ როგორ სძულდა მას საკუთარი მამა, ეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა არც გრიგოლს და არც არავის ქვეყანაზე. სტალინი იყო რეალური პიროვნება და არა მხატვრული პერსონაჟი, რომ მასზე წარმოსახვითი დასკვნები გავრცელებულიყო. აღმოსავლეთში, ალბათ, ცოტა თუ ყოფილა ოჯახი, მამას შვილი რომ არ უცემია, მაგრამ ამის გამო შვილებს მამები არ შეუძულებიათ... თუ გრიგოლ რობაქიძე, მარგარიტა სარფატის კვალდაკვალ, მუსოლინის სტატიასაც კი ბრილიანტად ნაწახნაგევს უწოდებს, სტალინის ყოველგვარ ნიჭს მხოლოდ უარყოფით ჭრილში განიხილავს: „პოეტურ თრობას სტალინის გულში არასოდეს შეუღწევია, თუმცა, ის მოწაფეობის ჟამს, ხავერდოვანი ალტით საეპისკოპოსო გუნდში მღეროდა. მაგრამ ეს იყო უეჭველად დაცემული ანგელოზის ხმა, თუმცა ამ დაცემულ ანგელოზსაც შეეძლო მომაჯადოებლად სიმღერა“.**

შეიძლება სტალინი მართლაც **„იყენებდა“ ესპერანტოს, მაგრამ სიჭაბუკეში მის მიერ დაწერილი ლექსი „დილა“ განა ისევ ისე მშვენივრად არ ჟღერს?**

**„ვარდს გაეფურჩქნა**
**კოკორი,**
**გადახვეოდა იასა,**
**ზამბახსაც გაღვიძებოდა**
**და თავს უხრიდა ნიავსა“...**

სტალინის დამცირების ფონზე ჰიტლერისა და მუსოლინის განდიდება აშკარად მიუთითებს, რომ მწერალი ამას საგანგებოდ აკეთებს, რომ ამ გეგმას თავისი მიზანი და დანიშნულება გააჩნია“ (ენვერ ნიჟარაძე, „გრიგოლ რობაქიძე“, გვ. 254).

ბოლოს ბატონი ენვერი მიდის დასკვნამდე, რომ: **„რა თქმა უნდა, ქართველი მწერალი სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ მის მიერ ქებულ პიროვნებებში ამდენი ბოროტება, სისასტიკე და სიგიჟე გამოვლინდებოდა. ეს რომ სცოდნოდა, არავითარ შემთხვევაში, არავითარი მიზეზით, თუნდაც საკუთარი სამშობლოს სასიცოცხლო აუცილებლობისათვისაც კი, არ დაწერდა თავის „წიგნაკებს“** (ენვერ ნიჟარაძე. „გრიგოლ რობაქიძე“, გვ. 290).

სრულებითაც არ მიკვირს, რომ გრიგოლ რობაქიძეს ადრეც დაეწერა ისეთი შეუსაბამო პასაჟები, როგორიც მან ნოე ჟორდანიას მიუძღვნა:

**„ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოსჩანს კეთილშობილი რასსა: ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული. ქურუმები ძველ ღმერთებს, ალბათ, ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ. არის ჟორდანიას პროფილში უცნაური სირბილე არა მარტო გურიის ველების, არამედ მთელი იბერიის მიწის. ჟორდანია რასსიული ტიპია საქართველოსი, რუსთაველის ტარიელი, რაინდია ყოვლის გადამლახველი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულჩვილია მეტად. თეთრი გიორგი ტაიჭზე მჯდომელი, მახვილით ჰკვეთავს ვეშაპს და ამავე დროს მის თვალებში ნათელი ბავშვის გვერდული მზერაა. გიორგი სააკაძე, რისხვით შემართული, საქართველოში ბოლოს და ბოლოს გამონაკლისია. მე მიყვარს ჟორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოების და არა – ცეცხლი სიავის“** (ყოველკვირეული გაზეთი „ბარრიკადი“, 1920 წ.).

გარეგნული წარმოდგენითა და იერსახით, შეიძლება, ნოე ჟორდანია მისაღები იყო, მაგრამ ისეთი მაღალინტელექტუალური სიტყვის ოსტატს, როგორიც გრიგოლ რობაქიძეა, როგორ უნდა მოსწონებოდა, ისეთი პროვინციული აზროვნებისა და მეტყველების პიროვნება, როგორიც ნოე ჟორდანია გახლდათ. წავიკითხოთ, რას წერს იგი იმავე ნოე ჟორდანიას კალმის შესახებ:

**„ქართველი პოეტისთვის საამაყოა, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილი. მის ნაწერებში არ არის არც კორძიანი ხაზი და არც დაგრაგნილი ხვეული. აქ ყოველი სიტყვა სადად მოკვეთილია და ყოველი ფრაზა — სხარტად გამოჭრილი. ჟორდანია უფრო ლაპიდარული ფორმებით ლაპარაკობს, ვიდრე დისკურსიული პერიოდებით. მის ფორმულებში მონუმენტალური პრიმიტივის ქვებია. მას არ უყვარს სიბნელე და სძულს განყენება: მის სიტყვაში ჭვირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა...“**

ეს მაშინ, როდესაც „არაქართველი“ და „ქართულის არამცოდნე“ სტალინი მიწასთან ასწორებდა პოლიტიკურ მეტყველებაში შემოტანილ ჟორდანიასეულ კილოკავებს: „გარედმიდან შემოტანილი“, „რომლისკენაც უკვე კლასი მივიდა“ და სხვა მრავალი პროვინციული ჟარგონები, რომლებსაც სტალინი აზრის სიღატაკეს უწოდებდა. ან კი რა იყო ნოე ჟორდანიას გამოსვლებში ისეთი საინტერესო, რომ ასეთ აღტაცებაში მოეყვანა დიდი მწერალი?!

გაგრძელება იქნება



## «ისლამური სახელმწიფოს» ლიდერმა მიმდევრებს მიმართა

**ინტერნეტში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის — აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მიმართვა გავრცელდა, სადაც ის თანამებრძოლებს „ხალიფატში“ ემიგრირებისკენ ან მათივე ქვეყანაში ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდებს.** მისი თქმით, არ შეიძლება იმ მუსლიმანთა გამართლება, რომლებიც არ აიღებენ იარაღს ხელში და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ერთად არ იბრძოლებენ საერთო მიზნისთვის. ალ-ბაღდადიმ კომენტარი გააკეთა საუდის არაბეთის მიერ იემენში განხორციელებულ ავიადარტყმებზე. მისი თქმით, ამით საუდის არაბეთის სამეფო ოჯახმა ლეგიტიმურობა დაკარგა და გამოჩნდა, რომ მათი „პატრონები ჯვაროსნები და ებრაელები არიან“.



რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ჩვენ ერთ წელიწადში 100 მილიონი დოლარი შევიტანეთ ქვეყანაში. ეს იგივე ინვესტიციაა, რომელზეც ლარის გამყარება გარკვეულად არის დამოკიდებული.“

# დიდი საქმე ლირიკული გადახვევებით

**გაზაფხული დგება სამცხე-ჯავახეთში, საკმარისად დაგვიანებული, რადგან ზამთარმა ისე მოიქნია კუდი, რომ წელიწადის დროთა მონაცვლეობის რეჟიმი დაარღვია და მოშალა. ბაქო-თბილისი-ყარსის ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელმძღვანელთან — ოლეგ ბიჭიაშვილთან ერთად ავედით სამცხე-ჯავახეთში.**

8 მაისს, დილაადრიან, მზის ალმაცერმა სხივებმა მწვანე ფერდობების დაღარული ზედაპირი უსირცხვილოდ გამოაჩინა — დაბერდაო დედამიწა. რომის იმპერატორის ცოლის დილის ტუალეტის რიტუალზე პატივდებით მიწვეულები კი ვხედავდით დანაოჭებულ ღაწვებს, მაგრამ ისევე, როგორც იმ ქალბატონის პატიოსნება, სიტურფეც არავითარ დაეჭვებას არ ექვემდებარებოდა: „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“ *(ვაჟა)*.

ბაქო-თბილისი-ყარსის ტრანსეროვნული რკინიგზის ახალქალაქის მშენებარე სადგურზე 2015 წლის 8 მაისს სიჩუმე იდგა.

უძრაობა — დიდი ომის წინ.

დღე-დღეზე აქ მართლაც მასშტაბური ფრონტი გაიშლება: საელმავლო დეპოსი (რომლის საძირკველზე უკვე ამოყვანილია ბეტონის სვეტები) და კიდევ რამდენიმე ობიექტის: სატვირთო რაიონის მუშაკების შენობა; ლიანდაგის გადახურული საწყობი; ელექტროდამტვირთველების ტექმომსახურების უბანი; სატვირთო ვაგონების საკონტროლო-ტექნიკური მომსახურების უბანი; მანქანებისა და მექანიზმების სარემონტო ბაზა; 1435-მილიმეტრიანი ლიანდაგის სამანევრო პოსტი; საგზაო დისტანციის გაერთიანებული შენობა; ვაგონების ურიკების შესაცვლელი უბანი.

დიდი მოცულობაა. ყველა ობიექტი წლეულს უნდა დამთავრდეს.

მასშტაბურ მშენებლობას, როგორც წესი, დროდადრო წამოჭრილი პრობლემებიც სდევს, თუნდაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

რკინიგზის გაყვანა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სივრცული ხასიათისაა, ერთ ადგილზე არ არის მიბმული. ეს კი ნიშნავს, რომ აქ იგი გადის მიწის კერძო ნაკვეთებზე და ძალაუნებურად არღვევს იმ კომუნიკაციებს, რომლებითაც მოსახლეობა წლების განმავლობაში სარგებლობდა. **ოლეგ ბიჭიაშვილი** ამ საკითხებს, რომლებიც მავანს წვრილმანად შეიძლება მოეჩვენოს, მაქსიმალური ყურადღებით ეკიდება. სწორედ მისი მცდელობით გადაწყდა საქონლის სარეკების, გზაგამტარების დამატებით დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხები.

მაგრამ პრობლემებს რა გამოლევს.

აი, ახლაც, ზამთრის დიდთოვლობის კვალზე წყალდიდობამ სავარგულები დატბორა, რადგან ბუნებრივი დაწრეტის გზები რკინიგზის მიწაყრილებით აღმოჩნდა გადაკეტილი.

მოსახლეობის უკმაყოფილების ტალღამ (რომლითაც სოფლელები იმუქრებოდნენ) აგორება ვერ მოასწრო, რომ დაიწყო სამთო არხის გაყვანა — საფუძვლიანად, ტემპში. მაღალი მიწაყრილიდან კარგად ჩანს, რომ საქმე აწყობილია.

ზამთრის „იძულებითი არდადეგების“ შემდეგ, უამინდობის მიუხედავად, მუშაობა მაგისტრალზე 24 მარტს დაიწყეს.

### ისმაილ სადიკოვი

ისმაილ სადიკოვი, რომელიც სამშენებლო საქმეს განაგებს, ამბობს, რომ ამ პირობებში სამუშაო ფრონტი ჯერ მხოლოდ 50 პროცენტითაა გაშლილი, 15 ობიექტზე მუშაობენ, მაისის ბოლოს კი 100 პროცენტით იქნებიან დასაქმებული — სრულად 50 ობიექტზე.

ჯერჯერობით 300 კაცია ამათ „მშრომელთა არმიაში“, რამდენიმე კვირაში კი 1000 კაცამდე გაიზრდება მათი რაოდენობა.

ამ ზამთარში, როცა რკინიგზის მშენებლობა ბუნებრივი პირობების გამო შეჩერებული იყო, გენერალური კონტრაქტორის კომპანია „აზერიოლსერვისის“ გენერალური დირექტორი **ჯავით გურბანოვი** აზერბაიჯანის რკინიგზის უფროსად გადაიყვანეს, და მშენებლობის წარმოების „აზერიოლსერვისის“ უფლება გადაეცა აზერბაიჯანის რკინიგზას. შესაბამისად, „აზერიოლსერვისს“ საქართველოში აზერბაიჯანის რკინიგზის ფილიალი ჩაენაცვლა. რეორგანიზაცია ქვეკონტრაქტორებსაც შეეხო. მაგალითად, წავიდა ირანული კომპანია „ფოლადი“ და მის ნაცვლად აზერბაიჯანული „დემირიოლსერვისი“ მუშაობს. ახალ ქვეკონტრაქტორებსაც იგი შეარჩევს.

ამ ტალღაზე თანამდებობა შეიცვალა ისმაილ სადიკოვმა. დაწინაურდა.

ბატონი ოლეგი ასე ახასიათებს მას:

— ახალგაზრდა კაცია, მაგრამ — გამოცდილი სპეციალისტი. ლიანდაგის დაგების სამუშაოები, რომლებიც შარშან წარმატებით განხორციელდა, მას უკავშირდება. 5 თვეში აყარა ძველი ლიანდაგი, გააკეთა მიწის ვაკისი, შეაკეთა წყალგამტარები, ხიდები და ახალ რკინა-ბეტონის შპალებზე დამაგრებული რელსებით 75 კილომეტრ მანძილზე ახალი ლიანდაგი დააგო.

დაიმსახურა ნდობა და დააწინაურეს.



ახალქალაქის მშენებარე სადგურზე იმ დღეს, როგორც დიდი ომის წინ, სიჩუმე იდგა

**— ეს „ბიუროკრატიული“ ორგცვლილებები ხომ არ აბრკოლებს დასრულების პირზე მისული პროექტის რეალიზებას?**

— არა, ხელს არ უშლის. შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, დადებითადაც იმოქმედა. მართალია, შეიცვალა კომპანია, მმართველობა, მაგრამ მშენებელთა გამოცდილი კოლექტივი დარჩა. არც მშენებლობა დაბრკოლებულა, არც პოლიტიკა შეცვლილა, არც — პროგრამით გათვალისწინებული ვადები.

და მართლაც:

აი, აქ ქუთაისელი ბიჭები მუშაობენ — შპალებზე რელსებს ამაგრებენ. ეტყობა, რომ კარგად აქვთ ათვისებული ეს ხელობა. გამოცდილება აქ შეიძინეს, აქ დაოსტატდნენ, ამ რკინიგზაზე.

სხვა უბანი სვანებისაა. ძმებ ავალიანებს შარშან, დეკემბერში აქ შევხვდით, ხიდის მშენებლობაზე. 25 დეკემბერს, როცა ყინვა 30 გრადუსამდე დაეცა, შინ წავიდნენ. ამ გაზაფხულზე დაბრუნდნენ დისშვილთან ერთად. ა, ბატონო, აშკარა ნეპოტიზმი და ნათლიმამობა — ერთი მოცოროზი ნაცდეპუტატის აკვიატებული თემა, რომელსაც გაფუჭებული პატეფონივით ატრიალებს ხელისუფლების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში.

გვირაბის პორტალთან მისასვლელ გზას (სადაც ლიანდაგი უნდა დაიგოს) ასწორებენ და აფართოებენ. აქ უკვე სრულად იგრძნობა მშენებლობის მასშტაბურობა და რიტმი: შეუჩერებლივ მუშაობს ორი ექსკავატორი და ათი თხთმეტკუბიანი თვითმცლელი.

ვდგავართ თავზე წამომდგარი მთის ძირას, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე და ვიხსენებთ იმ დღეს, როცა პირველად აქ ამოსულებს ერთადერთი ექსკავატორი დაგვხვდა, რომლის მუშაობა უფრო შესვენებას ჰგავდა და ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ აქ გვირაბის გაყვანას აპირებდნენ.

— გვირაბი გათხრილია ორივე მხრიდან. შეპირაპირება საოცარი სიზუსტით მოხდა, სანტიმეტრებით ჩაჯდა, — **ამბობს ოლეგ ბიჭიაშვილი,** — ამჟამად ამუშავებენ ფერდებს. რკინა-ბეტონის სხმულის დამთავრებას მხოლოდ 690 მეტრი აკლია. იმის გათვალისწინებით, რომ თვეში 180-190 მეტრს აკეთებენ, ფერდების სამუშაოები 3 თვეში, ანუ ამ ზაფხულს დამთავრდება.

ბეტონის სხმულიც მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება და შემდეგ ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყება. ეს კი ნიშნავს, რომ თურქეთის მხარე გვალიმიტირებს.



ისმაილ სადიკოვი და ოლეგ ბიჭიაშვილი

**— გამოდის, რომ, ვიდრე თქვენი თურქი პარტნიორები ჩამორჩენას არ დაძლევენ, ჩვენ მხარეს დამთავრებულ რკინიგზას ვერ გამოვიყენებთ?**

— ასეთი უყაირათობის თავიდან ასაცილებლად გვაქვს კონკრეტული წინადადება.

მოგეხსენებათ, რომ თურქეთის რესპუბლიკა დიდი ოდენობით მოიხმარს ქვანახშირს, რომელიც შეაქვს ზღვით და შემდეგ ხმელეთზე საავტომობილო ტრანსპორტით ანაწილებს. ყარსის მხარე, რომელიც ჩვენი მოსაზღვრეა (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს), გაზიფიცირებული არ არის და ბუნებრივ აირს აქ ქვანახშირი ცვლის. მოსახლეობის საწვავით მომარაგება მთლიანად ქვანახშირზეა დამოკიდებული, მრეწველობაც ქვანახშირზეა გადასული. თქმულიდან გამომდინარე, ქვანახშირის უმოკლესი გზით შეტანა აქ აქტუალური საკითხია.

ვფიქრობთ, რომ, რადგან ახალქალაქში გათვალისწინებულია ნაყარი ტვირთების ტერმინალის მოწყობა, რომლის დამთავრება პრიორიტეტული პროგრამით არის გათვალისწინებული, ამ ტერმინალში რკინიგზით ამოვიტანოთ ქვანახშირი, რომელსაც თურქეთი ავტომანქანებით ყარსის რაიონში წაიღებს. ეს მარშრუტი 400-500 კილომეტრით მაინც შეამცირებს გადაზიდვის მანძილს. მაშასადამე, თვითღირებულებაც შემცირდება, თანაც — საგრძნობლად, 20 პროცენტით მაინც.

**— ესე იგი, არ მოცდება რკინიგზა?**

— არ მოცდება და ჩვენი ბიუჯეტის სასარგებლოდ იმუშავებს.

**— თურქეთის მხარის ჩამორჩენა თქვენ არ დაგაბრკოლებთ?**

— სპეციფიკური სიტუაციაა და შევეცდები, აგიხსნათ.

ახალქალაქიდან კარწახამდე და შემდეგ გვირაბით თურქეთის საზღვრამდე მოძრაობა თუ არ გაიხსნება, ინფრასტრუქტურული სამუშაოები ამ მონაკვეთზე ვერ დამთავრდება. დამთავრებულს მოვლა-შენახვა უნდა. ისეთი მექანიზმები, როგორიც არის ისრული გადამყვანები, მათი გამათბობელი მოწყობილობები, შენობა-ნაგებობების შიდა მოპირკეთება, სატელეფონო კავშირი და ა.შ., ანუ ინფრასტრუქტურული სამუშაოები რომც გავაკეთოთ, შეიძლება, წყალში გადაყრილი შრომა გამოგვივიდეს, რადგან არ არის გამორიცხული, გაიძარცვოს, ატმოსფერული ზე- ▶



## ლუკაშენკო ევროპას დაემუქრა

**ბელარუსის პრეზიდენტის — ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებით, ევროპის ქვეყნებმა შექმნეს ბარიერი ბელარუსის პროდუქციისთვის და, თუ ასე გაგრძელდება, ბელარუსი ჩაკეტავს სავაჭრო საზღვარს ევროპასთან.**

„ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები ჩემთან მოდიან, მე გავაფრთხილე ისინი, რადგან დაიმალნენ ჩვენგან, ჩვენც დავიმალებით, ჩავკეტავთ საზღვარს და მერე ვნახოთ, როგორ განახორციელებენ ვაჭრობას მხოლოდ ბალტიისპირეთისა და უკრაინის გავლით“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

ლუკაშენკომ ისიც გაიხსენა, რომ რუსეთის მიერ ზოგიერთი ევროპის ქვეყნისადმი საპასუხო სანქციის დაწესების დროსაც კი ბელარუსს არ შეუწყვეტია დასავლეთში საქონლის მიწოდება.

ლუკაშენკომ მთავრობას მოსთხოვა, დაიცვას ქვეყნის შიგა ბაზარი დაუსაბუთებელი ევროპული იმპორტისგან.




აქ ელდეპო შენდება


რეგიონი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




კარწახის სადგური დასრულებულია

◀ მოქმედებით დაზიანდეს და ყველაფერი თავიდან იქნება გასაკეთებელი.

ამიტომ დაველოდებით თურქეთის მხარეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაძლევს ჩამორჩენას, პარალელურ რეჟიმში განვაგრძობთ მუშაობას.

ახალქალაქის სადგურამდე არაფერი დაგვაბრკოლებს — ავაშენებთ ლიანდაგს, ვიმუშავებთ ლიმიტირებული პროექტით, რომელიც ითვალისწინებს მოძრაობის გახსნას, ორგანიზებული მატარებლის შეყვანას ახალქალაქის სადგურში. საწყის ეტაპზე — ამ წლის ბოლოს და მომავალი წლის დასაწყისში ჩვენი რკინიგზის სიმძლავრე იქნება დაახლოებით მილიონ-ნახევარიორი მილიონი ტონის გამტარობა წელიწადში, შემდეგ კი ეტაპობრივად გავალთ საპროექტო სიმძლავრეზე — ხუთ მილიონ ტონა ტვირთზე.

**— რაც თქვით, იმის გარდა რამე გაბრკოლებთ?**

— რა თქმა უნდა, გვაბრკოლებს. ხუთი თვეა, სრული მოცულობით ვერ ვმუშაობთ. გაჭიანურდა ზამთარი — ტემპერატურა მინუს 30 გრადუსამდე დაეცა, არნახული დიდთოვლობა იყო.

მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ შევასრულეთ 100 მილიონი დოლარის სამუშაოები. ეს რეკორდული მაჩვენებელია: თუ მშენებლობის დაწყებიდან ხუთი წლის განმავლობაში სულ 220 მილიონი დოლარის სამუშაოები შესრულდა, ერთ წელიწადში 100 მილიონის ბარიერი დავძლიეთ, ხოლო წელიწად-ნახევარში 164 მილიონი ავითვისეთ.

**— ეს თქვენი მილიონობით დოლარის შესრულებული სამუშაოები ქვეყნის ბიუჯეტთან რა კავშირშია?**

— **ჩვენ ერთ წელიწადში 100 მილიონი დოლარი შევიტანეთ ქვეყანაში. ეს იგივე ინვესტიციაა, რომელზეც ლარის გამყარება გარკვეულად არის დამოკიდებული. ამასთანავე, დამატებითი ღირებულების გადასახადი შეადგენს 18 პროცენტს.**

**— ამ შემთხვევაში, იმ 100 მილიონი დოლარის?**

— დიახ, ასი მილიონი დოლარის.


ინტენსიურად აფართოებენ გვირაბთან მისასვლელს



ნანი ბოლქვაძე და ნათელა ხოზრევანიძე — დიდოსტატები პატარა საამქროსი

## გზადაგზა

მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მშენებლობას კიდევ ერთი თანმდევი მხარე აქვს, რომელმაც დადებითად იმოქმედა სამცხე-ჯავახეთში: დანარჩენ საქართველოსთან (და არა მარტო) ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსივობის რეალური გაზრდის პერსპექტივამ გამოაცოცხლა ინდმრეწველების საქმიანობა, გაააქტიურა წვრილ-წვრილი მესაკუთრეები. მათ შორისაა რძის პროდუქტების დამამზადებელი საამქრო, რომელიც **ლევან კახაძეს** ეკუთვნის.

ავდრისხევთან ჩაუხვევთ და პირდაპირ მიადგებით. ერთსართულიანია, ორ ოთახიანი. დღეში ექვს ტონა რძეს ამუშავებენ. ნებისმიერი გურმანის პრეტენზიას დააკმაყოფილებს აქ დამზადებული სულუგუნი, იმერული, ქარხნული, სომხური (ჩლეჩილი) ყველი, კაიმაღლი, ნადუღი — ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.

**ნანი ბოლქვაძე** და **ნათელა ხოზრევანიძე** არიან დიდოსტატები ამ პატარა საწარმოსი. ისინი და მათთან ერთად ლევან კახაძე აჭარიდან ჩამოვიდნენ, ხულოს რაიონიდან. საკუთარი ნებით წამოსულან მამაპაპისეული სამკვიდროდან — ვაშლოვანიდან, რიყეთიდან, ტაბახმელიდან (არის ასეთი სოფლები აჭარაში) გადმოსახლებულან და აქ დამკვიდრებულან. ერთი მაგალითია, მაგრამ ბევრის მთქმელი.

ცოტა ქვემოთ, წალკის ცენტრისკენ, იქ, სადაც ერთ-ერთი ეზოს წინ გამოკრულია აბრა Рыба, კოვბოის ქუდიანი რაზმიკა, რომელიც თავის თავს местный папуас-ს უწოდებს, თევზსა ჰყიდის, მაგრამ მაინცდამაინც იმ დღეს, 2015 წლის 8 მაისს, არ ჰქონდა.

— ქარია და იმიტომო, — აგვიხსნა ბიჭმა, რომელიც რაზმიკას გვერდით იდგა საქმიანი კაცის იერით.

სახლის კედელზე სამი გამოყვანილი „ვობლა“ ეკიდა, თითო ათ ლარად.

**არმაზ სანებლიძე**


აქ ქუთაისელი ბიჭები მუშაობენ


გიგლა ბარამიძე:

# თუ აშშ-ის საელჩო არ შეწყვეტს ცხვირის ჩაყოფას იქ, სადაც მისი საქმე არ არის, საინტერესო სიურპრიზს მოვუმზადებთ

**„საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კვლევის შედეგები ამერიკის საელჩოში, ელჩის ოფისში იწერება!“ — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკურმა მდივანმა გიგლა ბარამიძემ.**

ბარამიძის განცხადებით, ამერიკის საელჩოში უკვე პოლიტიკური სცენარიც დაწერილია. მისი თქმით, მათ უკვე შეადგინეს სქემა, რომელშიც გაწერილია, თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში რა ციფრები უნდა დაჯდეს.

„ნუთუ არ დაიმსახურა ქართველმა ხალხმა, რომ ჰყავდეს დამოუკიდებელი, ეროვნული სოციალური კვლევების სააგენტო. საერთაშორისო ინსტიტუტები თავიანთი შეკვეთების მიხედვით გვეუბნებიან, რა გვჭირს. NDI და IRI პოლიტიკურ კონიუნქტურასა და სიტუაციას აყოლილი ორგანიზაციები არიან. არჩევნების წინ მათ მიერ წინასწარ დაანონსებული ციფრები თუ ანალიზი არ მართლდებოდა. ჩვენ ამ კვლევებს არ ვენდობით, თუმცა მათში არის რამდენიმე მუხლი, რომელთაც კვლევა არ სჭირდება. ესაა საზოგადოების დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენ ისედაც ვიცით, რომ ეს მძიმეა, ამიტომ მათ რეიტინგებს არ ვენდობით. ეს რეიტინგები და კვლევები აშშ-ის საელჩოს შენობაში, პირადად ელჩის ოფისში იწერება.

მეტსაც გეტყვით, იქ უკვე გადანაწილებულია სქემა, რა ციფრები უნდა დაჯდეს უახლოეს საპარლამენტო არჩევნებზე. მათვე გაწერილი აქვთ, რომელი პარტია ვისთან უნდა გამოვიდეს კოალიციაში. დიპლომატიურ მისიას ამის არც მორალური და არც ეთიკური უფლება არ აქვს, არც ვენის კონვენცია აძლევს ამის უფლებას. თუკი აშშ-ის ელჩი ასეთ ქმედებებს განაგრძობს, თუ არ მოუხმობენ ჭკუას და არ შეწყვეტენ ცხვირის ჩაყოფას იქ, სადაც მათი საქმე არ არის, ჩვენ მათ კანონის ფარგლებში საინტერესო სიურპრიზს მოვუმზადებთ!“ — აღნიშნა გიგლა ბარამიძემ.

# უკრაინის რადაში ალექსანდრე კვიტაშვილის გათავისუფლების დადგენილების პროექტი შევიდა

**უკრაინის უზენაეს რადაში შევიდა დადგენილების პროექტი, რომელიც ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს. აღნიშნული დოკუმენტი (2864) უკრაინის პარლამენტის საიტზეა გამოქვეყნებული.**

დადგენილების პროექტის ინიციატორები არიან სახალხო დეპუტატები ანდრეი დერკაჩი, ანდრეი შიპკო, მიხეილ პაპიევი და იგორ ერემეევი.

ალექსანდრე კვიტაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა 2014 წლის 2 დეკემბერს მიიღო და უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად დაინიშნა.



მოკლედ



## SOCAR-ი სკანდალში ეხვევა

**გავლენიანი ამერიკული გამოცემის — Washington Post-ის ინფორმაციით, აზერბაიჯანულმა სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-მა არაერთი ამერიკელი კონკგრესმენის ბაქოში ვიზიტი დააფინანსა.** გამოცემა ამ ინფორმაციას აშშ-ის კონგრესის ეთიკის ოფისის მიერ გავრცელებულ 70-გვერდიან მოხსენებაზე დაყრდნობით ავრცელებს. კონგრესის ეთიკის ოფისის ინფორმაციით, კონგრესმენების ვიზიტი ბაქოში ასიათასობით დოლარი ჯდებოდა. ასევე, კონგრესმენებმა აბრეშუმის შარფები, ჩაის ბროლის ჭურჭელი და 2 500-დან 10 000 აშშ დოლარამდე ღირებულების აზერბაიჯანული ხალიჩები მიიღეს საჩუქრად. როგორც მოხსენებაში წერია, კომპანიამ, სავარაუდოდ, 750 000 აშშ დოლარი აშშ-ში არაკომერციული ორგანიზაციების მეშვეობით დახარჯა, რათა დაემალა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარე კონფერენციის დაფინანსების წყარო.



უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთიდან შემოსული პროდუქციის ნაკადმა ბალტიისპირეთის ბაზრიდან არაკონკურენტული ადგილობრივი ნაწარმი განდევნა. რადიკალურმა ლიბერალურმა პოლიტიკამ და ყველა დასავლურ ინტეგრაციულ პროექტებში მონაწილეობისადმი მისწრაფებამ ასეთი შედეგი გამოიღო. ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული კადრების ხელშეწყობით, ბალტიისპირეთის ინდუსტრია ხელთ იგდეს შვედებმა, ფინელებმა, ინგლისელებმა, ამერიკელებმა, რომელიც შემდეგ დანაწევრდა და დაიხერხა, როგორც უსარგებლო ჯართი (გაიხსენეთ 90-იანი წლების საქართველო ჯართის თურქეთში გატანის ბუმით).**

## ალექსანდრე ნოსოვიჩი:

# ევროპის მივარდნილი გარეუბანი




## რატომ კვდება ბალტიისპირეთი

**ამ წიგნის ანოტაციაში წერია, რომ რეგიონი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო წარმატებულად იყო მიჩნეული, ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ორმაგ პერიფერიად იქცა, მივარდნილ გარეუბნად ევროპისა. ახლა ეს ქვეყნები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ გეოპოლიტიკური ბუფერის როლი ვლადივოსტოკსა და ლისაბონს შორის, ერთგვარ ხიდად გადებულიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღარავის აინტერესებს.**
**ინტერესის დაკარგვას კი შედეგად მოჰყვა ადგილობრივი ეკონომიკის დეგრადაცია და სოციალური დონის მკვეთრი დაქვეითება. მიგრაციის ტალღა ისე გაძლიერდა, რომ ბალტიისპირეთი დღეს სწრაფად ცარიელდება. აღნიშნული წიგნის რამდენიმე თავის გადმოქართულებული ვარიანტი არამც და არამც არ არის (მიახლოებითაც კი) ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საშინაო საქმეებში რაიმე ფორმით ჩარევის მცდელობა. მკითხველებს ამ ნაშრომს ვთავაზობთ ერთადერთი მიზნით — გასაანალიზებლად და გასათვალისწინებლად იმ პერსპექტივისა, რომელიც შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, თუ ბალტიის სახელმწიფოების გზას ავირჩევთ.**
**შეცდომები ისედაც საკმარისად დავუშვით...**

დასასრული. დასაწყისი იხ. №15-17 (297-299)

### დეინდუსტრიალიზაცია: ჯართად ქცეული წარმოება

**რატომ ვერ შეინარჩუნეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ინდუსტრიული პოტენციალი? რატომ ანადგურებდნენ ორი ათეული წლის განმავლობაში მრეწველობას?**

**შეიძლება რამდენიმე საერთო მიზეზის დასახელება:**

**1. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია რადიკალი ნაციონალისტების ჩუმ უკმაყოფილებას იწვევდა.** ამიტომაც იყო, რომ „სამი ბალტიელი დის" ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის მრეწველობის განვითარების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც **ეკოლოგიურ მოძრაობაშიც იყო განივთებული.**

„ოკუპანტების ქარხნები ჩვენს ბუნებას წამლავს", — ასეთი საუბრებით დაიწყო საბჭოთა კავშირიდან გასვლის ბალტიისპირული მოძრაობა, რომელსაც განსაკუთრებული მუხტი შეჰმატა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა კატასტროფამ: მოსახლეობას აშინებდნენ **ლიტვის** იგნალის ატომურ ელექტროსადგურზე მსგავსი ავარიის პერსპექტივით. „პერესტროიკა" **ლატვიაში** დაუგავაზე ჰიდროელექტროსადგურის არსებობის წინააღმდეგ მოძრაობით დაიწყო (საქართველოში — ხუდონჰესისა და სხვა ელსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ გამოვიდა ახალგაზრდობა), **ესტონეთში** — პროტესტებით ნარვის თბოელექტროსადგურის წინააღმდეგ.

**2. საბჭოთა ბალტიისპირეთის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას უზრუნველყოფდა საბჭოთა ცენტრის მხარდაჭერა** და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შიგა ეკონომიკური კავშირები.

„უაზრობაა უკეთესად მუშაობა, — წერდა 1988 წელს ესტონეთის სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **რეინ ოტსასონი**, — სამაგიეროდ უდავოდ სასარგებლოა დახმარების შესახებ წერილების წერა. მთავარია, ფულის გამოძალვა შეგეძლოს, ასევე, პროდუქტების, პირუტყვის საკვების, საქონლის, რაც გნებავთ, იმის — ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი წარმოება".

**იმავე 1988 წელს ლიტვაში ეროვნული შემოსავლის ოდენობა წარმოების ოდენობას 903 მილიონი რუბლით ჭარბობდა, ლატვიაში — 431 მილიონით; ესტონეთში — 428 მილიონი რუბლით.**

ლიტვა ქიმიური და ნავთობპროდუქტების მოთხოვნების 75 პროცენტს სხვა რესპუბლიკებიდან საწვავის შემოტანის ხარჯზე იკმაყოფილებდა: 100 პროცენტით — ქვანახშირ-ის, 77 პროცენტით — ნავთობისა და გაზის მრეწველობაში. 1991 წლისთვის პრაქტიკულად ყველა სოფელი გაზიფიცირებული იყო (საქართველოში — გაცილებით ადრე).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ოფიციალური რუსოფობია ბალტიის სახელმწიფოთა პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი გახდა და ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე ლაპარაკიც კი უაზრობად იქცა.

**დოტაციების არხმა არსებობა შეწყვიტა.** მთავრობებს ნაბიჯიც არ გადაუდგამთ მის აღსადგენად.

**3. გლობალიზაცია და ევროპული ინტეგრაცია.** დასავლეთიდან შემოსული პროდუქციის ნაკადმა ბალტიისპირეთის ბაზრიდან არაკონკურენტული ადგილობრივი ნაწარმი განდევნა. რადიკალურმა ლიბერალურმა პოლიტიკამ და ყველა დასავლურ ინტეგრაციულ პროექტებში მონაწილეობისადმი მისწრაფებამ ასეთი შედეგი გამოიღო.

ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული კადრების ხელშეწყობით, ბალტიისპირეთის ინდუსტრია ხელთ იგდეს შვედებმა, ფინელებმა, ინგლისელებმა, ამერიკელებმა, რომელიც შემდეგ დანაწევრდა და დაიხერხა, როგორც უსარგებლო ჯართი (გაიხსენეთ 90-იანი წლების საქართველო ჯართის თურქეთში გატანის ბუმით). საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გატანილმა ჯართის ნაკადმა ფერადი ლითონის მსოფლიო ბაზარი ძირფესვიანად შეარყია.

**4. მოდა.** მოდური ტენდენციები ეკონომიკაში ისეთივე ეფექტის მქონეა, როგორიც



ვილნიუსი

**ყველაზე მკაცრი განაჩენი ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიმართ გამოაქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს. ემიგრაციის მსოფლიოში უდიდესი მასშტაბები, ახალგაზრდობის აბსოლუტურ უმრავლესობას სამშობლოს დატოვება აქვს დაგეგმილი, ყოველი მეხუთე მცხოვრები უკვე გასულია საზღვარგარეთ. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხები გადაშენების ზღურბლზე დგანან. ენებს გაქრობა ელით. ჩიხია. ასეთია «წარმატების ისტორიის» რეალობა და მისი ჭეშმარიტი ფასი**

ტანსაცმლის ბიზნესში. **1990-იანი წლების დასაწყისში პოპულარული გახდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია, რომლის მიხედვით სოციალური პროგრესის მიღწევა შესაძლებელია არა რეალური წარმოებით, არამედ მომსახურების სფეროს მეშვეობით.**

ამ მოდური თეორიის მიმდევარი მთავრობების გავლენით **ბალტიისპირეთში გაანადგურეს ქარხნები და დაუმუშავებელი დატოვეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, პრიორიტეტულ მიმართულებებად კი გამოაცხადეს საბანკო სექტორი, საშუამავლო მომსახურება, ვაჭრობა და მისთანანი.**

(საქართველოში ექსპრეზიდენტ სააკაშვილის თავგამოდებული პროპაგანდისტული მოღვაწეობის გავლენით ოფიციალურ პრიორიტეტად მაინცდამაინც ტურიზმი გამოცხადდა, ხოლო ბანკები მისი უნაპირო ფანტაზიის დაკმაყოფილების მეწველ ძროხად იქცა. უდღეური პატარ-პატარა საწარმოები (უფრო — საამქროები), რომლებსაც იგი დიდი ზარ-ზეიმით ხსნიდა, ამ დილეტანტი პრეზიდენტის პიარკამპანიის ღონისძიებათა მოსართავი წითელ-ყვითელი ბუშტებივით სკდებოდა და დავიწყებას ეძლეოდა. ეკონომიკის მინისტრად მეპურის ლურჯთვალება ქალიშვილი დასვა, სოფლის მეურნეობის მინისტრად კი — ლამაზი ცოლის „პატრონი" ზუგდიდელი მოხელე).

დღეს მოდა შეიცვალა. პოსტინდუსტრიული ეპოქის ყოფილი ადეპტები, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ინდუსტრიალიზაციით არიან აღფრთოვანებულნი. ევროკავშირის მრეწველობისა და მწარმოებლობის საკითხების კომისარმა **ანტონიო ტაიანიმ** ჯერ კიდევ 2013 წელს განაცხადა, რომ მისმა კომისიამ ზუსტად განსაზღვრა პერსპექტიული მიმართულება, რომლის მიხედვით, „თუ გვსურს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ჩვენი ეკონომიკა უეჭველად უნდა იქნეს ინდუსტრიალიზებული და მოდერნიზებული.

დღევანდელი მოდის მიხედვით, ქვეყნის სამრეწველო საწარმოები უნდა იყოს მოდერნიზებული, მაღალტექნოლოგიური, მეცნიერულად დასაბუთებული, ენერგეტიკულად ეკონომიური და ეკოლოგიურად უსაფრთხო. რა საჭიროა ამ საწარმოების ფილიალების გახსნა ბალტიისპირეთში, თუ ამ ობიექტებზე სამუშაოდ გათვალისწინებული მოსახლეობა სულ უფრო მცირდება. მათი **გასტერბაიტერების დასაბრუნებლად საჭიროა, რომ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყოს, ვიდრე დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და ფინეთში. ამის მიღწევა შეუძლებელია**, რადგან ბალტიისპირეთისთვის გაიმეტეს „მომსახურების" ეკონომიკის განვითარება (როგორც ეკონომისტი ჯეფ ფიუ ირწმუნებოდა). შეიკრა მოჯადოებული წრე.

**5. დიდი საწარმოების მუშები ყოველთვის პოლიტიკურ ძალად იყვნენ წარმოდგენილი, რომელსაც ჰქონდა უნარი, წინ აღდგომოდა ახალ პოლიტიკურ რეჟიმებს.** ომამდელ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში იყო მუშათა კლასი. მაგრამ იქ, აგრეთვე, იყო ძლიერი პროფკავშირებიც და ძლიერი მემარცხენე მოძრაობაც. პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთისთვის კი დამახასიათებელია მხოლოდ მემარჯვენე საზოგადოებრივი წყობილება. სხვათა შორის, იმიტომაც, რომ დიდი მრეწველობა იქ განადგურებულია. მუშათა დიდი კოლექტივები არ იზიარებენ მთავრობის მემარჯვენე-ლიბერალურ პოლიტიკას, რასაც ემატება უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური ფაქტორი: ბალტიისპირეთის მაღალტექნოლოგიური საწარმოების მუშათა უმეტესობა რუსები და რუსულენოვნები იყვნენ. ლატვიასა და ესტონეთ- ▶

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა საწარმოები შეიცავდა პოტენციურ საშიშროებას ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის სტაბილურობისთვის. ამიტომ გაანადგურეს ისინი ახალმა რეჟიმებმა, რითაც სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს თავიანთი ქვეყნების ეკონომიკებსა და მოქალაქეებს, სანაცვლოდ შეინარჩუნეს ძალაუფლება.

◀ში მათ მასობრივად ჩამოართვეს მოქალაქეობა. **დიდი ინდუსტრიის შენარჩუნების შემთხვევაში იქ აუცილებლად შეიქმნებოდა ძლიერი პროფკავშირული მოძრაობა, რომელიც გადაიზრდებოდა სამოქალაქო უფლებების მასობრივ მოძრაობაში და პოლიტიკური თვითორგანიზაციის საფუძველი გახდებოდა.**

**ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა საწარმოები შეიცავდა პოტენციურ საშიშროებას ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის სტაბილურობისთვის. ამიტომ გაანადგურეს ისინი ახალმა რეჟიმებმა, რითაც სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს თავიანთი ქვეყნების ეკონომიკებსა და მოქალაქეებს, სანაცვლოდ შეინარჩუნეს ძალაუფლება.**

## ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის „მსუქანი წლები“

ბალტიის რესპუბლიკებს „ბალტიის ვეფხვებს“ უწოდებდნენ ერთ დროს.

რუს მედასავლეთეებს 2006 წლისთვის ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა შეძლეს, განეხორციელებინათ რადიკალური საბაზრო რეფორმები. ბალტიის ქვეყნების მიმართ ასეთი დამოკიდებულება მათ დღემდე აქვთ შენარჩუნებული, მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხვები“, დიდი ხანია, დაიხოცნენ.

ამაში დასარწმუნებლად აუცილებელი არ არის მაინცდამაინც მყვირალა სტატისტიკის შესწავლა. ამისთვისო, — წერს ალექსანდრე ნოსოვიჩი, — საკმარისია ბალტიისპირეთში ჩასვლა და „ეკონომიკური სასწაულის“ მოძებნა, რომელიც არ არსებობს.

მაგრამ იქვე აგრძელებს:

**„დღევანდელი მდგომარეობა არ ნიშნავს, რომ 1990-იანი და 2000 წლების ფორსირებული ზრდა იყო მითი“.**

პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთი მართლაც ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. სტრუქტურული რეფორმები, რომლებიც 1990-იან წლებში ბალტიის ქვეყნებში განხორციელდა, მართლაც წარმატებული იყო.

**ოპერატიულად შეიქმნა საფინანსო სისტემა, უზრუნველყვეს ადგილობრივი, აღდგენილი ვალუტის (ლიტა, ლატა და ესტონური კრონა) მყარი კურსი. ჩამოაყალიბეს მარტივი და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემა და ა.შ.**

საერთაშორისო ანალიტიკური სააგენტოების მიერ არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ ბალტიის ქვეყნებში ბიზნესს შეუქმნეს ოპტიმალური პირობები მეწარმეობის საქმიანობის გასაძლოლად.

ამიტომ იყო, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის ბალტიისპირელებმა შეძლეს განეხორციელებინათ „დაცემის შემდეგ წამოხტომის“ ეფექტი. 1994-1995 წლებში ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა. ამის შესაძლებლობა მისცა პოლიტიკურმა სტაბილურობამ და იმან (რაც მთავარია), რომ ბალტიისპირეთში არ მომხდარა შეიარაღებული კონფლიქტები, აქ ინფრასტრუქტურა განვითარებული გახლდათ, დაბალი იყო დამნაშავეობის დონე, მოსახლეობა შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ამ სასტარტო პირობებს დაემატა დასავლეთის დახმარება.

ამ ყველაფრის ფონზე სულაც არ ჩანდა აბსურდული ლატვიის მიერ განცხადებული პრეტენზია, რომ ახლო მომავალში ბალტიისპირეთი შვეიცარიად მოგვევლინებოდა (საქართველოს ხელისუფალნიც ცდილობდნენ მოსახლეობის დარწმუნებას, რომ ასეთი პერსპექტივა ჩვენთვისაც რეალური იყო).

მაგრამ **ევროკავშირში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის შესვლის შემდეგ, ეკონომიკის ჯანსაღი და ბუნებრივი განვითარების ნაცვლად, დადგა „იოლი ფულის შოვნის“ დრო: უწინდელზე უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფდა სამომხმარებლო ბუმი, რომელიც გამოწვეული იყო გაუმაგრებელი მასობრივი კრედიტებით.**

ყველაზე დიდი „საკრედიტო ბუშტი“ და მოხმარების ყველაზე უფრო აწყვეტილი ბაკქანალია 2005-2007 წლებში შეიმჩნეოდა ლატვიაში.

**2008 წლისთვის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა ლატვიაში მშპ-ის 30 პროცენტი შეადგინა, ხოლო ქვეყნის საგარეო ვალმა 30 მილიარდ ევროს გადააჭარბა, მაშინ, როცა ლატვიის რესპუბლიკის ბიუჯეტი 2008 წელს 12,3 მილიარდი იყო.**

ასეთ პირობებში ეკონომიკას, რომლის განვითარების საფუძველი იყო არაფრით უზრუნველყოფილი კრედიტები, შემდგომი აღმასვლის არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა: „ბალტიის ვეფხვების“ სახსენებელი გაქრა.

2008 წლის მსოფლიო კრიზისმა კი იმედის ნარჩენები ამოწურა, რადგან ბალტიისპირეთის ქვეყნებს ამ კრიზისმა, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ყველაზე მწარედ დაარტყა.

ლატვიაში ჯერ კიდევ 2007 წლის შემოდგომაზე, როცა ბანკებმა გაყინეს ბინების ყიდვისა და ახალი მშენებლობების დაწყების კრედიტები, უძრავი ქონების ბაზარზე დაიწყო გარიგებების გაუქმების პროცესი, მსოფლიო კრიზისს ქვეყანა შეეგება 18-პროცენტიანი ინფლაციით და ბიუჯეტის 7-პროცენტიანი დეფიციტით.

ესტონეთშიც კრიზისი ქვეყანაში არსებული მიზეზებით დაიწყო, 2008 წლის ზაფხულისა და შემოდგომის მოვლენების განვითარებამდე. საინტერესოა ისიც, რომ ტალინის მერი და ცენტრისტული პარტიის თავმჯდომარე **ედგარ სავისაარი** (ესტონეთის სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი) თავის წიგნში „სიმართლე ესტონეთზე“ წერს, რომ ეროვნულ კრიზისს ეროვნული შემადგენელი ედო საფუძვლად. კერძოდ, იმხანად (2006 წლისთვის), როცა კრედიტების ბაზარი გადახურდა, ესტონეთის მთავრობამ თავისი ძალისხმევა ევროს შემოღებისკენ მიმართა, რათა მაქსიმალურად შეერბილებინა ესტონური კრონის გარდუვალი დევალვაციის შედეგები ადგილობრივი ბანკებისთვის. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა — დევალვაციის პროცესი შეუქცევადი იყო.

ლიტვის რესპუბლიკაში, როგორც ოფიციალური სტატისტიკიდან ირკვევა, კრიზისი დაიწყო Kahmar brother-ის გაკოტრებამდე და დაკრედიტების ამერიკული სისტემის კოლაფსამდე რამდენიმე თვით ადრე, 2007 წლის ბოლო კვარტალში.

ასე რომ, **ბალტიისპირეთში კრიზისი მსოფლიო კრიზისამდე დაიწყო და გამოწვეული იყო შიდა მიზეზებით. 2009 წლისთვის ბალტიისპირეთი სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფის რეგიონად იქცა: „საკრედიტო ბუშტი“ გასკდა და ჩაიფუშა.**

**2008-2012 წლებში ჯამურმა დანაკარგმა ლატვიაში კრიზისამდელი პერიოდის წარმოების მოცულობის 77 პროცენტი შეადგინა, ლიტვაში — 44 პროცენტი, ესტონეთში — 43 პროცენტი.**

კრიზისის შედეგად ასეთი „ჩამოშლა“ არავის ჰქონია.

**ლატვიაში უმუშევრობამ, 2009 წლის შედეგების მიხედვით, Eorostat-ის მონაცემებით, 23 პროცენტი შეადგინა. ლიტვაში სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ცნობით, უმუშევრობამ უმაღლეს წერტილს 2010 წელს მიაღწია: მოსახლეობის 18 პროცენტი სამუშაო ადგილის გარეშე დარჩა; ესტონეთში „უმუშევრობის დაზღვევის სალაროს“ მონაცემებით, — მოსახლეობის საერთო რაოდენობის 14 პროცენტი იყო.**

**დღეს ლატვია ევროკავშირის ანტილიდერად წარმოგვიდგება იმ ადამიანების რაოდენობით, რომლებსაც დეპრივაციის მდგომარეობაში უწევთ არსებობა (დეპრივაცია მძიე მატერიალური გაუცხოება). „ევროსტატის“ შარშანდელი მონაცემებით, ლატვიის მოქალაქეთა 36,6 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.**


რიგა

**დღეს ლატვია ევროკავშირის ანტილიდერად წარმოგვიდგება იმ ადამიანების რაოდენობით, რომლებსაც დეპრივაციის მდგომარეობაში უწევთ არსებობა (დეპრივაცია მძიე მატერიალური გაუცხოება). «ევროსტატის» შარშანდელი მონაცემებით, ლატვიის მოქალაქეთა 36,6 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს**

## ბალტიისპირეთის ამაო მცდელობა

ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნი „ევროპის მივარდნილი გარეუბანი“, რომლის ადაპტირებული მოკლე ვერსია შემოგთავაზეთ, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამომწურავი ანალიტიკა ბალტიის ქვეყნების უახლესი ისტორიისა. ამას თვით ავტორი ამბობს ხაზგასმით. ნაშრომი არის მცდელობა ზოგადი კანონზომიერების კონტურების შემოხაზვის.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა განაცხადეს, რომ უბრუნდებიან ისტორიული განვითარების მაგისტრალურ გზას: დასავლეთისკენ, ევროპისკენ, გლობალური ეკონომიკისკენ, ღია საზოგადოებისკენ, თავისუფალი სამყაროსკენ.

მათი არჩევანი ასეთი იყო.

**ნოსოვიჩი შენიშნავს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების რეალური სტრატეგიული ამოცანა გამოხატული იყო უარყოფასა და დანაწევრებაში: ნეგატიურმა და დამანგრეველმა გადაწონა პოზიტიური და აღმშენებლური.** ამის გამო იყო, რომ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იძალა იმგვარმა თავისებურებებმა, რომლებიც არ ესადაგებოდა ევროპის აღთქმულ პრინციპებს, ღია საზოგადოებასა და თავისუფალ სამყაროს.

ღია საზოგადოების უდიდესმა თეორეტიკოსმა **კარლ პოპერმა** მისი (აღნიშნული საზოგადოების) ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად პატიოსნება დაასახელა. სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია და თანასწორობა თავისუფალ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად ამცირებს სიცრუის ასპარეზს სოციალურ ურთიერთობებში, მაგრამ ბალტიის ქვეყნებში,— ნოსოვიჩი ამას კატეგორიულად ხაზს უსვამს,— სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია და თანასწორობა მოიკოჭლებს: რომელ დემოკრატიასა და თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში მოსახლეობის ნაწილს ხმის უფლება აქვს ჩამორთმეული?!

ამასთანავე, სიცრუე ბალტიის სახელმწიფოებში ისეთი მოცულობითაა, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია არა მხოლოდ იდეალურ ღია საზოგადოებაში, არამედ რეალურ დასავლურ ქვეყნებში.

**თავისუფლების მოპოვების შემდეგ ბალტიის ქვეყნები აშკარა მაგალითია, იმისა, რომ არა მხოლოდ ოჯახის, არამედ სახელმწიფოს შექმნა არ უნდა დაიწყოს სიცრუით: სიცრუის საფუძველზე წარმატებული და ეფექტიანი საზოგადოების აშენება წარმოუდგენელია. სიცრუე ჟანგივით შეჭამს სოციალურ ქსოვილს.**

**პოსტსაბჭოთა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ტრაგედია ისაა,— ნათქვამია განსახილველ წიგნში,— რომ ისინი სიცრუის ნიადაგზე შეეცადნენ ახალი სახელმწიფოების აგებას (საქართველოს მოსახლეობისთვის ასეთი მცდელობა არა მხოლოდ ნაცნობი, არამედ განცდილიცაა).**

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთისთვის დამღუპველი აღმოჩნდა იმ პიარფორმულის „თავისუფალ ცურვაში“ გაშვება, რომლის მიხედვით, „ბალტიის ქვეყნების ეკონომიკა წარმატების ეპოქაა“. ბალტიისპირელებმა ისე ირწმუნეს ეს სლოგანი, რომ ფიქრობენ, სხვებმაც დაგვიჯერეთ ტყუილი ამგვარი: ეკონომიკური განვითარების ეტალონად თავიანთ თავს მიიჩნევენ ქვეყნები, რომლებმაც თავისი საწარმოები ჯართად გაყიდეს, უარი თქვეს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებაზე, როგორც საგარეო ურთიერთობების გამყარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე, უმუშევრად დატოვეს საკუთარი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც ხელი შეუწყვეს ემიგრაციის მასშტაბის არაჩვეულებრივ გაფართოებას.

ბალტიის ქვეყნების მითოლოგია რეალობამ გააქარწყლა: ამ ქვეყნებმა აირჩიეს უარყოფის, სიძულვილისა და სიცრუის გზა და, საბოლოო ჯამში, დამარცხდნენ.

ყველაზე მკაცრი განაჩენი ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიმართ გამოაქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს. ემიგრაციის მსოფლიოში უდიდესი მასშტაბები, ახალგაზრდობის აბსოლუტურ უმრავლესობას სამშობლოს დატოვება აქვს დაგეგმილი, ყოველი მეხუთე მცხოვრები უკვე გასულია საზღვარგარეთ. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხები გადაშენების ზღურბლზე დგანან. ენებს გაქრობა ელით. ჩიხია. ასეთია „წარმატების ისტორიის“ რეალობა და მისი ჭეშმარიტი ფასი.

მხოლოდ გამარტივებული წარმოდგენის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს პოზიცია, რომლის მიხედვით, გლობალური ეკონომიკისა და ღია საზღვრების თავისუფალ სამყაროში კონკურირებს მხოლოდ საქონელი. არადა, ერთმანეთს ექიშპებიან ქვეყნებიც, მაგრამ არა ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად, როგორც უწინ იყო — ევროპის დანაწილების წლებში, ან კოლონიების დაპყრობის ჟამს, არამედ ადამიანებისა და მათი შრომის გადასაბირებლად. და ამ თვალსაზრისით, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის პოსტსაბჭოთა ისტორიის ანალიზის შედეგად შეიძლება ერთი დასკვნის გამოტანა ეგებ, უმთავრესისაც: გლობალურ კონკურენციაში ისინი დამარცხდნენ.

რუბრიკას უძღვებოდა **არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# დემოკრატია ბალტიმორში

**ბალტიმორი უკრაინული ქალაქი არ არის. ეს არის ყველაზე დიდი ქალაქი მერილენდის შტატში. პროტესტების, ნგრევის, ხანძრების, ასევე პოლიციელთათვის ქვებისა და სხვა მძიმე ან ცეცხლმოდემული ნივთების სროლის შემდეგ ქალაქში კომენდანტის საათი დააწესეს. თუ კიეველ „მაიდნელებს“, რომლებსაც უკრაინა ნათელი მომავლისაკენ პოლიციელთა გვამებზე გადავლით მიჰყავდათ, აშშ-ში დემოკრატიისათვის მებრძოლებს უწოდებდნენ, ბალტიმორელი პროტესტანტები რატომღაც მაროდიორებად და დამნაშავეებად შერაცხეს.**







ბალტიმორში დაახლოებით 700 000 ადამიანი ცხოვრობს. ადგილობრივი მოსახლეობის 64% შავკანიანია, 2% კი — ლათინოამერიკელი. მოქალაქეთა მნიშვნელოვანი მახასიათებელია არასაკმარისი განათლება: ზრდასრული ადამიანების თითქმის მესამედს (2000 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, 31,6%) საშუალო განათლებაც კი არ აქვს. უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო სავალალო სურათია — მათი რაოდენობა იქ 20 პროცენტსაც ვერ აღწევს.

**არეულობების ჩახშობისას ბალტიმორში, სულ მცირე, 15 პოლიციელი დაზარალდა; დააკავეს ათობით პროტესტანტი, რომლებიც წესრიგის დამცველებს ქვებს ესროდნენ, წვავდნენ პოლიციელთა ავტომობილებს, პარალელურად კი მაღაზიებს ძარცვავდნენ.**

პროტესტის ტალღამ ბალტიმორი 25 წლის შავკანიანი ფრედი გრეის დაკრძალვის შემდეგ მოიცვა. პოლისმენებმა, რომლებიც ნარკოტიკების მოვაჭრეთა წინააღმდეგ რეიდს ახორციელებდნენ, ეს ადამიანი 12 აპრილს დააკავეს მნიშვნელოვანი საბაბის გარეშე. მასმესიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, ბიჭი ფურგონში ჩატენეს, ამ ფურგონიდან კი პირდაპირ სასწრაფო დახმარების მანქანაში გადასვეს და გადატეხილი ხერხემლით მიიყვანეს საავადმყოფოში, ერთ კვირაში იმავე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ფრედის დედა გმობს პროტესტანტებს. „კი, ეს ჩემთვის დიდი უბედურებაა — გადმოსცემდა მის სიტყვებს Euronews-ი, — მაგრამ არ მსურს, რომ ასე იქცეოდეთ. მე მინდა, რომ ჩემი შვილის სახელით სამართლიანობას ითხოვდეთ, მაგრამ არ მინდა, ყველაფერი დაანგრიოთ და გაანადგუროთ. ხალხო, ნუ გაასწორებთ მიწასთან ქალაქს! დაფიქრდით, ნუთუ ეს მისთვისაა? არა, ეს არ არის სწორი“.

შტატ მერილენდის გუბერნატორი ლერი ჰოგანი ბანდების შესახებ საუბრობს: „ჩვენ ვხედავდით უცხოებს, რომლებიც სხვა ადგილებიდან ჩამოვიდნენ, ჩვენ შევნიშნეთ სხვადასხვა მტრული ბანდაც და ახალგაზრდებიც, რომლებიც ქუჩებში სპეციალურად იმისთვის გამოვიდნენ, რომ პრობლემები შექმნან. ეს სხვადასხვა რამაა — მათ არაფერი აქვთ საერთო იმ ადამიანებთან, რომლებიც მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობდნენ“.

მოვლენათა ეპიცენტრიდან მედია იტყობინება, რომ ექვსი პოლიციელი, რომლებიც მონაწილეობდნენ გრეის დაკავებასა და წამებაში, სამსახურიდან დათხოვილია, მიმდინარეობს მათი ქმედებების შემოწმება.

ბალტიმორის ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველი, სახელად მუჰამედი, ყვება, რომ მაღაზია დაკეტა, მაგრამ შიგნით ზის და იცავს საქონელს მძარცველებისგან. მისივე თქმით, ვანდალებისგან ძალიან დაზარალდა რამდენიმე ათეული მაღაზია. პროტესტანტებს იგი დამნაშავეებს უწოდებს.

**ბალტიმორში სამართალდამცავებს დახმარება გაუგზავნეს — მხოლოდ ერთ დღეს იქ ნაციონალური გვარდიის 1500 მებრძოლი ჩავიდა. „ჩამოგვყავს რაც შეიძლება მეტი ადამიანი“, — განაცხადა პოლკოვნიკმა უილიამ პალოციმ.**

გარდა ნაციონალური გვარდიისა, ბალტიმორისკენ დაიძრნენ პოლიციის დამატებითი ძალებიც.

შტატმა ნიუ-ჯერსიმ გადაწყვიტა, ბალტიმორში პოლიციის 150 თანამშრომელი გაეგზავნა. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მერილენდის შტატის გუბერნატორის მიერ გაგზავნილი მოთხოვნის საფუძველზე.

როგორც მედია იტყობინებოდა, ქალაქში სულ 200-მდე ადამიანი დააკავეს. პროტესტანტებმა გადაწვეს 15 შენობა და 144 ავტომანქანა, გაძარცვეს უამრავი მაღაზია.

ექსპერტები ბალტიმორში შექმნილ მდგომარეობას — არეულობას, მაროდიორობასა და ნგრევას პრეზიდენტ ბარაკ ობამას პოლიტიკის პირდაპირ შედეგად მიიჩნევენ.

მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის საკითხებში — კონსტანტინ დოლგოვი „ტვიტერში“ წერს, რომ „ბალტიმორის არეულობები არის აშშ-ში გამეფებული რასობრივი დისკრიმინაციის სიღრმისა და სისტემური ხასიათის მორიგი ილუსტრაცია“.

დიპლომატს მოჰყავს უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაცემები, რომელთა თანახმადაც 2013 წლის მაისიდან აშშ-ში პოლიციელების მიერ 1450 ადამიანის „განუზრახველი“ მკვლელობაა აღრიცხული.

**„მსხვერპლთა უმეტესობა შავკანიანია, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში მსხვერპლი შეუიარაღებელი იყო. პოლიციელთა საქმეები სასამართლომდე უკიდურესად იშვიათად მიდის, ხშირად განაჩენები შემწყნარებლურია,** — დასძენს დოლგოვი, — დროა, ბოლოს და ბოლოს აშშ-ის ხელისუფლებამ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ამგვარი არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბების პირველადი მიზეზების აღკვეთას“.

როგორც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ფრანკლინ რუზველტის სახელობის აშშ-ის შემსწავლელი ფონდის დირექტორმა იური როგულევმა განაცხადა, თეთრი სახლის ამჟამინდელი ადმინისტრაცია ცდილობს, ყურადღება დაუთმოს სოციალურ საკითხებს, მაგრამ ეს „მაინცდამაინც კარგად არ გამოსდის: მრავალი პროგრამა ტორპედირდება, ვერ სრულდება“. ექსპერტის აზრით, „იმ უკმაყოფილებისა და პროტესტის მთავარი მიზეზი, რომლებიც შავკანიანი ამერიკელების გამოსვლებში გამოიხატება, არის ობამას მოღვაწეობით უკმაყოფილების შედეგი“.

**2008 წლის არჩევნებში ობამას გამარჯვება ამერიკის შავკანიანი საზოგადოების გამარჯვებად იქნა მიჩნეული. ბევრს სჯეროდა, რომ დადგა ახალი ერა და დაიწყებოდა აფროამერიკელების სიცოცხლის პირობების გაუმჯობესება: „მაშინ ბევრი ბედნიერებისგან ტიროდა, მაგრამ დიდი ანგარიშით არაფერი შეცვლილა, სწორედ ეს განაპირობებს გაღიზიანებასა და დაუკმაყოფილებლობას“.**

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ აფროამერიკელების მდგომარეობა 1960-იანი წლებიდან პრაქტიკულად არ შეცვლილა; ძველ დონეზე დარჩა როგორც განათლების ხარისხი, ასევე შემოსავლების დონეც. შავკანიან მოსახლეობაში უმუშევრობა კვლ- ▶

მოკლედ



## ობამა: ამერიკა მზადაა, არაბი მოკავშირეები დაიცვას

**აშშ მზადაა, გარე აგრესიისაგან თავისი არაბი მოკავშირეები დაიცვას, — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც სპარსეთის ყურის ქვეყნების ლიდერებთან პრეზიდენტ ობამას შეხვედრის შემდეგ გავრცელდა.** მოლაპარაკებები პრეზიდენტის ქალაქგარე რეზიდენციაში, კემპ-დევიდში, შედგა. „პრეზიდენტმა ობამამ დაადასტურა, რომ სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოსთან ერთად, დაინტერესებულია რეგიონის მშვიდობასა და პარტნიორების ტერიტორიულ მთლიანობაში. შეერთებული შტატები გამოიყენებს ხელისუფლების ყველა ინსტრუმენტს ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ასევე მისი მოკავშირეებისა და პარტნიორების წინააღმდეგ გარე აგრესიის აღსაკვეთად, ისევე, როგორც ეს ხდებოდა სპარსეთის ყურის ომის დროს“, — ნათქვამია თეთრი სახლის გაცხადებაში.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





ავაც მეტია, ვიდრე თეთრკანიანებში.

რუსი ისტორიკოსი და სოციოლოგი ანდრეი ფურსოვი საკითხს ღრმად განიხილავს. „ზოგიერთ ამგვარ ინციდენტზე პრესა საერთოდ არ წერს, რადგან მათ შიდაამერიკული დონის წვრილმან თემად მიიჩნევს, — ამბობს იგი, — მაგრამ, ჩემი აზრით, ეჭვს არ იწვევს, რომ აშშ-ში ძალას იკრებს სოციალური დაძაბულობა და საზოგადოების პოლარიზება. საუბარია ფორმით კლასობრივ და შინაარსით რასობრივ დაპირისპირებაზე. ამერიკამ, უკვე დიდი ხანია, უკან მოიტოვა საკუთარი განვითარების პიკი და 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან უკან მიდის. სხვა საქმეა, რომ აშშ-მა დიდი რაოდენობით სოციალური „ქონი“ დააგროვა, მისი ტრანსნაციონალური კომპანიები მსოფლიოს ძარცვავენ. 1990-იან წლებში მათ კარგად „გაასუფთავეს“ ყოფილი სოცბანაკი და, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი. მაგრამ ფორტუნა სამუდამოდ არაფერს იძლევა, 2007-2008 წლებიდან ამ ქვეყანაში კრიზისი დიდი სისწრაფით ვითარდება. აშშ-ის პრობლემა ისაა, რომ ის 3-4-ჯერ მეტი მოცულობის საქონელს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს. ამგვარი უსამართლობა ოდესმე უნდა დამთავრდეს“.

ექსპერტის აზრით, დღეისათვის სახეზეა საშუალო ამერიკელების მდგომარეობის გაუარესება. საშუალო შემოსავლების მქონე ამერიკელის ცხოვრების დონე ამჟამად შეესაბამება 1950-იანი წლების დასასრულისა და 1960-იანი წლების დასაწყისის დონეს. და პირველები დარტყმას აფროამერიკელები და ესპანურენოვანი მოქალაქეები იღებენ. ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი პროტესტს განაპირობებს და უკმაყოფილოთა რიგებიც დღითიდღე ივსება.

„ერთმა სახელგანთქმულმა ამერიკელმა სოციოლოგმა პირად საუბარში მითხრა (იმხანად ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის პერიოდი იყო), რომ აშშ-ს არაუგვიანეს 2020 წლისა გარდაქმნა ელის. ვინაიდან ის დაკავშირებული იქნება რასობრივ ურთიერთობებთან, შესაძლოა, საკმაოდ სისხლიანიც აღმოჩნდეს. ის, რასაც ჩვენ ამერიკაში ვხედავთ, არის აშშ-ის, როგორც კაპიტალისტური სისტემის ბირთვის, სისტემური კრიზისი. და ეს კრიზისი მხოლოდ გაღრმავდება“.

ექსპერტების გარკვეული ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ შავკანიანი პოლიტიკოსები, ისეთები, როგორებიც არიან აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ან მისი კოლეგა კოლინ პაუელი, მენტალურად მოწყვეტილნი არიან იმ რასობრივ ან ეთნიკურ ბაზას, რომლიდანაც გამოვიდნენ.

ფურსოვის აზრით, ეს მართლაც ასეა. „ისინი წარმოადგენენ თეთრკანიანი ელიტის „შავკანიან მომსახურეებს“. როდესაც მიანიშნებენ ხოლმე ბარაკ ობამაზე ან იმავე კონდოლიზა რაისზე, რათა დაადასტურონ თეზისი, თითქოს ამერიკა „თანასწორი შესაძლებლობების ქვეყანაა“, შემდეგნაირად ვპასუხობ: ამერიკული ელიტა ძალზე საგულდაგულოდ არჩევს არათეთრკანიანი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც თავისი ფსიქოტიპის თავისებურებების წყალობით, შეუძლია, ემსახუროს თეთრკანიანი ელიტის ინტერესებს. ობამა, როგორც ფერგიუსონისა და ბალტიმორის მოვლენებზე მისი რეაქცია აჩვენებს, თავისი კლასის ინტერესებს იცავს და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ფერისაა მისი კანი“.

ამას უნდა დაემატოს, რომ ობამა ხელისუფლების პოზიციას იკავებს და არ არსებობს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც თავის ქვეყანაში პროტესტები გაახარებს. **თუკი უკრაინაში ვიღაც მილიციას ესვრის ან ადამიანებს დაწვავს, ვაშინგტონში ამას, შესაძლოა, „ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა“ უწოდონ ან „დემოკრატიისკენ სწრაფვა“, მაგრამ თეთრ სახლში არავინ ახსენებს დემოკრატიას, თუ ანალოგიური პროცესები თვითონ აშშ-ში დაიწყება. ბალტიმორისა და ფერგიუსონის მოვლენებზე საუბრისას ამერიკელი მბრძანებლები მხოლოდ „დანაშაულს“, „მოროდიორობას“, „ძარცვას“, „ძალადობას“, „პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას“ და მსგავს ფრაზებს გამოიყენებენ.**

სხვათა შორის, ეს ლოგიკურიცაა. აშშ-ში ხომ არ შეიძლება ადამიანები დემოკრატიისკენ მიისწრაფვოდნენ, დიდი ხანია, აშშ-ში დემოკრატია ყვავის. უფრო მეტიც, ის ეტალონია მთელი მსოფლიოსთვის, ამიტომაც იქ ყველა პროტესტს „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა“ ჰქვია და მათ გაძლიერებული პოლიცია და ნაციონალური გვარდია აგვარებს. არაბული... უკაცრავად, ზანგური „გაზაფხული“ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ დადგება.

**topwar.ru**

# რა გამოაჩინა ბალტიმორმა

**პატრიოტიზმი — საკუთარი პოლიტიკური საზოგადოებისადმი სიყვარული — ეს ბუნებრივი ადამიანური განცდაა, მაგრამ იმისათვის, რომ ეს განცდა არ იყოს ინფანტილური, მცდარი, ანგარებიანი, ბრმა, ის უნდა ერწყმოდეს მზადყოფნას, პირდაპირ გაუსწორო თვალი ფაქტებს მაშინაც კი, როდესაც ეს ფაქტები ამაზრზენია.**



ამჟამად ბალტიმორში ბევრი ამაზრზენი რამ ხდება.

ასეთივე ამაზრზენ სიტუაციებს ადგილი ჰქონდა გასულ ზაფხულს ფერგიუსონსა და სტატენ-აილენდზე, ცოტა ხნის წინათ — ჩრდილოეთ ჩარლსტონში და კიდევ მრავალჯერ, როდესაც აფროამერიკელები ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან ან სახელმწიფოს წარმოამდგენლების მხრიდან აშკარად უსამართლო დამოკიდებულების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ეს ისტორია, ჯომ კროუს კანონიდან კი არა, კიდევ უფრო ძველი დროიდან იღებს სათავეს, ეს ჯერ კიდევ ამერიკის დამოუკიდებლობამდე დაიწყო.

ვიღაც იკითხავს, როგორ შეიძლება იმ ამბოხებულთა გამართლება, რომლებიც თავს ესხმიან პოლიციელებს და ხანძარს აჩენენ ღარიბ კვარტლებში, როგორ შეიძლება ძალადობისა და უკანონობის გამართლება? და ეს კარგი შეკითხვაა, მაგრამ მასზე პასუხის გაცემამდე ზოგიერთი საკითხი უნდა დაზუსტდეს.

წესრიგი უნდა აღდგეს.

მრავალი პოლიციელი ღირსეული ადამიანია და მხოლოდ კეთილი განზრახვებით მოქმედებს. პოლიციელებს აქვთ სახიფათო სამსახური, რომელიც ყოველდღიურად დიდ სიმამაცეს მოითხოვს. და ძალიან ცუდია, რომ ბალტიმორში პოლიციის არაერთი თანამშრომელი დაზარალდა.

პროტესტი, რომელიც ძალადობაში გადაიზარდა და ღარიბ კვარტლებში საკუთრების განადგურებისა და ადამიანთა ტრამვირებას იწვევს, არაპროდუქტიულია.



მეამბოხეთა გარკვეულ (განუსაზღვრელ) ნაწილს ნამდვილად ბანდიტები წარმოადგენენ და პოლიციის მიერ დაკავებული ფრედი გრეის ჯერჯერობით აუხსნელ გარდაცვალებას მოროდიორობისა და ძალადობის მიზეზად იყენებენ.

ეს ყველაფერი მართალია.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვა:

## ამერიკის შეერთებული შტატები რაღაც სადისტურ ექსპერიმენტს ატარებს, რათა გაარკვიოს, თუ რამდენი უსამართლობის, დამცირებისა და შევიწროების ატანა შეუძლია ადამიანთა ჯგუფს, ვიდრე ამბოხი იფეთქებს

**რამდენი თეთრკანიანი ამერიკელი თვლის, რომ ბალტიმორის პოლიციის პრესმდივნის, კაპიტან ერიკ კოვალჩიკის მიერ გაკეთებულ განცხადებაში რაღაც სწორად არ არის?**

„ჩვენი თანამშრომლები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად და აკურატულად ალადგინონ წესრიგი მონდაუმინის რაიონში და დააკავონ დამნაშავეები, რომლებიც პოლიციელებზე დაუნდობელ და არაპროვოცირებულ თავდასხმებს ახორციელებენ“.

კოვალჩიკი იდეალურ პრესმდივნად გამოიყურება — ახალგაზრდა, მიმზიდველი, კარგად მოსაუბრე და თეთრკანიანია. მაგრამ საინტერესოა, აფროამერიკელი რომ ყოფილიყო მის ადგილას, ისიც ისაუბრებდა „არაპროვოცირებულ“ თავდასხმებზე?

სავარაუდოდ, კონკრეტულად იმ პოლიციელებს, რომლებსაც ქვები დაუშინეს, არ მოუხდენიათ კონკრეტულად იმ ადამიანების პროვოცირება, რომლებმაც ესროლეს ქვები, ამ თვალსაზრისით კოვალჩიკი მართალია, როდესაც არაპროვოცირებულ თავდასხმებზე საუბრობს.

**მაგრამ თავდასხმებს მთლად არაპროვოცირებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რადგან პროვოკაცია საუკუნეობით გრძელდება.**

ეს პროვოკაცია იგრძნობა ნარკოტიკებითა და ძალადობით გაჯერებულ გეტოებში, სადაც ადამიანებს არ გააჩნიათ ღირსეული სამუშაო, ნორმალური სკოლები და სოციალური მომსახურება.

ის დუღს ყოველ ჯერზე, როდესაც მორიგი პოლიციელი ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, ურტყამს მოქალაქეს, რომელსაც უნდა იცავდეს, ან ჯიბეში უდებს ნარკოტიკს, რომლის გამოც შემდეგ დააკავებს. ამგვარი პოლიციელები საკუთარ დაუსჯელობაში არიან დარწმუნებულნი, რადგან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თითქმის არც ერთი ადამიანი თითქმის ასი პროცენტით აარიდებს თავს საქმეში ჩარევას.

**როდესაც უსამართლობის ატანა შეუძლებელი ხდება, მრისხანება ამოფრქვევას იწყებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც წვრილმან სამართალდარღვევაში შემჩნეულ უიარაღო ადამიანს პოლიციელი ახრჩობს; როდესაც სამართალდამცავი რვა ტყვიას ესვრის ზურგში უიარაღო ადამიანს; როდესაც პოლიციის მიერ დაკავებულ უიარაღო ადამიანს რაღაც იდუმალი მიზეზით ხერხემალი ემსხვრევა და შემდეგ ამის გამო კვდება...**

თუ ვინმე ამერიკული „განსაკუთრებულობის“ ვარდისფერი სათვალის გარეშე შეხედავს ამ ყველაფერს, მოეჩვენება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რაღაც სადისტურ ექსპერიმენტს ატარებს, რათა გაარკვიოს, თუ რამდენი უსამართლობის, დამცირებისა და შევიწროების ატანა შეუძლია ადამიანთა ჯგუფს, ვიდრე ამბოხი იფეთქებს.

ეს სქემა უკვე მთელი საუკუნეა მუშაობს: ჩიკაგო — 1919 წელი, უოტსი — 1965 წელი, დეტროიტი — 1967 წელი, ლოს-ანჯელესი — 1992 წელი, ცინცინატი — 1001 წელი, ფერგიუსონი — 2014 წელი.

ყველა ამ შემთხვევაში, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ დანარჩენ მსგავს შემთხვევებზე, ზეწოლა ნელ-ნელა იმატებდა კვირების, თვეებისა და წლების მანძილზე. შემდეგ ხდება რაღაც მოვლენა, რომელიც საბაბად იქცევა ხოლმე და მას მოჰყვება მრისხანე ძალადობის ამოფრქვევა. შემდეგ კი ყველაფერი ნელ-ნელა თავის ადგილას ლაგდება და აღდგება შედარებითი სიმშვიდე.

საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად არაფერი იცვლება.

სწორედ ეს აღვივებს ამერიკელთა თვითკმაყოფილ პრეტენზიებს საკუთარი ერისა და ქვეყნის განსაკუთრებულობასთან დაკავშირებით.

არადა, თუკი ამერიკელებს მართლაც შეუძლიათ, დანამდვილებით იყვნენ რაიმეში დარწმუნებულნი, არის ის, რომ ბალტიმორის მოვლენები მათი ქვეყნისთვის რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ბოლო არეულობა არ იქნება. შემდეგ კვირაში თუ არა, შემდეგ თვეში ან თუნდაც შემდეგ წელს ისინი საკუთარი თვალით იხილავენ ახალ მღელვარებებს, დაჭრილ პოლიციელებს, დაკავებებს, გაძარცვულ და გადაბუგულ მაღაზიებს... იხილავენ, რადგან აფროამერიკელების წინააღმდეგ ძალადობის სააარაკო ფაქტები მომავალშიც გაგრძელდება.

ამერიკელებს შეუძლიათ, ისევე სჯეროდეთ ამის, როგორც მზის ამოსვლის და სულის სიღრმეში ყველა მათგანს ესმის, რომ სწორედ ასეა ამერიკა მოწყობილი. სულის სიღრმეში ყველა მათგანი თანახმაა ამაზე.

**The Week**

მოკლედ



## საფრანგეთი რუსეთს 785 მილიონ ევროს სთავაზობს

**საფრანგეთი რუსეთს ვერტმფრენმზიდ „მისტრალის“ გადაცემის საკითხზე გაფორმებული შეთანხმების დარღვევის სანაცვლოდ 785 მილიონ ევროს სთავაზობს. გავრცელებული ცნობით, მოსკოვი უფრო მეტს ითხოვს.** რუსული მხარის განცხადებით, რუსეთის ფედერაციის ხარჯები და დანაკარგები „მისტრალის“ მშენებლობისა და შენახვისთვის 1 მლრდ 163 მლნ ევროს აღწევს. საფრანგეთსა და რუსეთს შორის 2011 წელს მოეწერა ხელი შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, პარიზს მოსკოვისთვის „მისტრალი“ უნდა გადაეცა. პირველი ვერტმფრენმზიდი რუსეთს 2014 წელს უნდა მიეღო. საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს კი „მისტრალის“ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჰუსიტების ზურგს უკან თეირანი დგას, იემენი კი საუდის არაბეთისა და ირანისთვის მხოლოდ დაპირისპირების მოედანია.

# საუდის ნავთობს რაკეტები დაუმიზნეს

**იემენში დაჯგუფება „ანსარ ალაჰის“ შიიტმა რადიკალებმა თანამედროვე სარაკეტო შეიარაღება მიიღეს. ახლა მათ შეუძლიათ, სარაკეტო დარტყმები მიაყენონ საუდის არაბეთის სანავთობე ობიექტებს, ასევე, სამეფოს გემებს, რომლებიც ზღვაში არიან. ამის თაობაზე ინფორმაცია ირანულმა მედიამ ხუსიტების ხელმძღვანელის განცხადებაზე დაყრდნობით გაავრცელა.**



საბრძოლო მეთაურის განცხადებით, მათი ათეულობით რაკეტა გამოირჩევა მაღალი სიზუსტით და მიზნის განადგურების სიშორით, შეუძლია, „შეცვალოს საუდის სტრატეგია ამჟამინდელ ოპერაციაში“.

მართლაც, მარტის დასასრულს ჰუსიტების მიერ იემენის უმნიშვნელოვანესი პორტების — ადენისა და ჰოდეიდის — მიტაცებამ თავდაპირველად საფრთხის წინაშე დააყენა სპარსეთის ყურის სუნიტური ქვეყნებიდან ადენის ყურისა და ბაბ-ელ-მანდების სრუტის გავლით ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტები. **თუ ახლა შიიტები რაკეტების სამიზნეში ამოიღებენ ნავთობტრაფიკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სრუტეებს, საბოლო სამიზნედ იქცევა დღელამეში 17 მილიონი ბარელი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიო მიწოდებების დაახლოებით მეხუთედი.**

ნიშანდობლივია, რომ წინა პერიოდში არაბული კოალიცია, საუდის არაბეთის მეთაურობით, აცხადებდა, რომ ოპერაციის მსვლელობისას განადგურდა ჰუსიტების ხელთ არსებული შეიარაღების დაახლოებით 80%. ამ მდგომარეობაში „ანსარ ალაჰის“ ხელში რაკეტების ჩავარნა სახელოდან ტუზის გამოღების ტოლფასია.

როგორც ცნობილია, **ჰუსიტების ზურგს უკან თეირანი დგას, იემენი კი საუდის არაბეთისა და ირანისთვის მხოლოდ დაპირისპირების მოედანია.** მანამდე იემენის ოფიციალური დევნილი ხელისუფლება ღიად ადანაშაულებდა ირანის ხელმძღვანელობას ჰუსიტების მხარდაჭერაში. თავის მხრივ, ირანის სულიერი ლიდერის წარმომადგენელი ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსიდან — ალი საიდი პირდაპირ აცხადებს, რომ „ანსარ ალაჰი“ იემენური „ჰეზბოლაა“.

ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, „ანსარ ალაჰის“ რაკეტები ირანული წარმომავლობისა აღმოჩნდეს. დიდი ხანია, ირანი სარაკეტო მოწყობილობებს თავისი თავდაცვითი პროგრამის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად განიხილავს და სამხედრო ბიუჯეტის სოლიდურ ნაწილს ამ კომპონენტის განვითარებაზე ხარჯავს. 1990-იანების შუა პერიოდიდან ეს ისლამური სახელმწიფო ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების რაოდენობით ახლო და შუა აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანას სჯობნიდა.

კერძოდ, ირანის განკარგულებაშია რუსული ფრთოსანი რაკეტები „მოსკიტი“. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში შექმნილი ზებგერითი დაბლა მფრინავი გემსაწინააღმდეგო „მოსკიტები“ (ნატოსეული კოდიფიკაციით — SSN-22 Sunburn) 20 ათას ტონამდე წყალწყვის გემებს 100 მილის დაშორებიდან ანადგურებენ 300-კილოგრამიანი საბრძოლო ქობინებით. **თუ ირანული „მოსკიტების“ ნაწილი იემენელი ამბოხებულების ხელში აღმოჩნდა, საუდის არაბეთის მეთაურობით მოქმედი კოალიცია მართლაც სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.**

„შეიძლებოდა, ჰუსიტების ხელში მოხვედრილიყო საბჭოთა რაკეტები „წერტილი“ და „მთვარე“, რომლებსაც საბჭოთა კავშირი იემენს აწვდიდა, — აცხადებს ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი, თადარიგის პოლკოვნიკი სემენ ბაღდასაროვი, — მაგრამ მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხუსიტებს რაკეტები ირანმა მიაწოდა. თუ ეს მართლაც ასეა, საუბარია ირანული წარმოების რაკეტებზე, სარაკეტო კომპლექსებს კი ამ შემთხვევაში „ჰეზბოლას“ მებრძოლები მოემსახურებიან.

ირანელებს შეიარაღებაში აქვთ საკმაოდ კარგი გემსაწინააღმდეგო რაკეტები Gader-ი. ეს რაკეტა წარმოადგენს განვითარებულ ვერსიას იმ რაკეტისა, რომელიც ირანში გამოდიოდა ჩინური ლინცენზიური ვერსიის C-802-ის სახით და ცნობილი იყო სახელწოდებით Noor. ამ რაკეტის ფრენის სიშორე დაახლოებით 120 კილომეტრია, საბრძოლო ნაწილის მასა კი — 165 კილოგრამი.

## თუ ირანული «მოსკიტების» ნაწილი იემენელი ამბოხებულების ხელში აღმოჩნდა, საუდის არაბეთის მეთაურობით მოქმედი კოალიცია მართლაც სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება



გარდა ამისა, თეირანს აქვს საბჭოთა „მოსკიტის“ ტიპის გემსაწინააღმდეგო რაკეტებიც, ეს კი უმძლავრესი იარაღია. **თუკი ირანელებმა ხუსიტებს „მოსკიტები“ მისცეს, იემენელი შიიტები შეძლებენ, გაანადგურონ ნებისმიერი საზღვაო სამიზნე, მათ შორის აშშ-ის ავიამზიდიც.**

რაც შეეხება „მიწა-მიწა“ კლასის ირანულ რაკეტებს, მათი ეფექტიანობა დაამტკიცა „ჰეზბოლამ“ ლიბანის მეორე ომის დროს, 2006 წლის ივლისში. სავარაუდოდ, ამ ომის შემდეგ „ჰეზბოლას“ უმართავი რაკეტების საკმაო რაოდენობა დარჩა. ამ რაკეტებს შეუძლიათ 70 კილომეტრამდე დაშორებული სამიზნეების განადგურება. ირანს შეეძლო, ეს რაკეტებიც ჰუსიტებისკენ გადაესროლა. ამრიგად, ხსენებული შეიარაღებით უპრობლემოდ მოხერხდება მიზნის განადგურება საუდის არაბეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც არის კიდეც თავმოყრილი სამეფოს ძირითადი ნავთობმარაგები.

როგორც ცნობილია, ამერიკული სამხედრო გემები უკვე გაგზავნილია ადენის ყურეში იმ ტვირთების გასაკონტროლებლად, რომელთაც ირანის ფლოტი აწვდის იემენს. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირადად განაცხადა ტელეეთერში. თეირანს ხელს არ აძლევს ამერიკელთა ამგვარი თამაშები, ამიტომაც გამორიცხული არ არის, ჰუსიტებმა სწორედ ამერიკულ გემებს დაარტყან რაკეტებით.

სხვათაშორის, ლიბანის მეორე ომის დროს „ჰეზბოლამ“ ირანული გემსაწინააღმდეგო რაკეტით ჩაძირა ისრაელის სამეთვალყურეო კატერი, რატომ არ უნდა დაესხას თავს ამერიკულ გემებს „ანსარ ალაჰი“?

სარაკეტო დარტყმები განაპირობებს კონფლიქტის შემდგომ გაფართოებას და მის გადანაცვლებას საუდის არაბეთის ტერიტორიის სიღრმეში“.

„ყველაზე სავარაუდოა ვერსია, რომ რაკეტების თაობაზე ხმა გაავრცელეს არაბული კოალიციის დასაშინებად, რომ საუდის არაბეთი, შესაძლოა, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს, — დარწმუნებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო უშიშროების პრობლემათა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ალექსეი ფენენკო, — მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც: ჰუსიტებს ნამდვილად აქვთ რაკეტები, მაგრამ ძალზე ბუნდოვანია საკითხი, თუ რამდენად სრულყოფილია ეს შეიარაღება.

თავის დროზე იემენი რაკეტებს ჩრდილოეთ კორეაში ყიდულობდა. ცნობილი გახდა შემდეგი ეპიზოდი: 2001 წელს ესპანურმა გემმა ზღვაში ჩრდილოკორეული ტვირთმზიდი გააჩერა. გემზე ცემენტის ტომრების ქვეშ „სკადის“ ტიპის 15 რაკეტა და მათი საწვავის კომპონენტები აღმოჩნდა. მოგვიანებით ტვირთმზიდი ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ძალებს გადაეცა. ვაშინგტონმა განაცხადა, რომ არ ამართლებს იემენისა და ჩრდილოეთ კორეის თანამშრომლობას, მაგრამ არ აპირებს რაიმე სანქციების დაწესებას იემენის ხელისუფლების წინააღმდეგ. საბოლოოდ რაკეტებმა მაინც ჩააღწიეს იემენში.

შესაძლოა, ხუსიტებმა ამ რაკეტების ნაწილი ჩაიგდეს ხელში. **თეორიულად ირანს შეეძლო ჰუსიტებისათვის იარაღის მიწოდება, მაგრამ ახლა ირანის ხელისუფლებას არ აქვს სურვილი, საერთაშორისო სკანდალში გაეხვიოს. თეირანი თუ ნამდვილად გადაწყვეტდა ამის გაკეთებას, გამონახავდა შემოვლით არხებს და შეეცდებოდა, არ გაემახვილებინა ყურადღება იმაზე, რომ ჰუსიტებს რაკეტები აქვთ.**

მარტის შუა რიცხვებიდან ჰუსიტებს ერთხელაც არ უცდიათ საუდის არაბეთის ნავთობობიექტების აფეთქება. კითხვაზე, თუ რატომ არიან შიიტები უმოქმედოდ, დღეს პასუხი არ არსებობს“.

tehnowar.ru

მსოფლიო



## ბოსტონის ტერაქტში ბრალდებულს სიკვდილით დასჯიან

**ბოსტონის ტერაქტში ბრალდებული ჯოხარ ცარნაევი ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ სცნეს და მის მიმართ სასიკვდილო განაჩენის გადაწყვეტილება მიიღეს.** 2013 წელს, 15 აპრილს, ბოსტონში ყოველწლიური მარათონის დროს მომხდარი ტერაქტის შედეგად დაიღუპა სამი და დაშავდა 264 ადამიანი. ექვმიტანილთა შეპყრობის ოპერაციის დროს, 19 აპრილს, სასიკვდილოდ დაიჭრნენ პოლიციის ოფიცერი და ერთ-ერთი ექვმიტანილი — 26 წლის ტამერლან ცარნაევი. ჯოხარ ცარნაევს ბრალი 30 მუხლით ქონდა წარდგენილი. ნაფიცმა მსაჯულებმა ბოლო სხდომაზე 30-ვე პუნქტში დამნაშავედ ცნეს, მათ შორის იმ 17-ში, რომელიც კანონმდებლობით სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.



**ეს არჩევნები, შესაძლოა, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავდეს გაერთიანებული სამეფოს ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის — კავშირის აღსასრულს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ იქნება ამერიკაში რევოლუცია

**არსებობს ასეთი ანდაზა: „მითხარით, რა არ არის ამერიკაში და მილიონერი გავხდები“. იგულისხმება, რომ ამერიკელებისთვის ამ „რაღაცის“ მიყიდვით ნებისმიერი გამდიდრდება. ის, რაც ამერიკაში არ არის და არც არასდროს ყოფილა, რევოლუციაა.**



რევოლუციაში იგულისხმება მასობრივი მღელვარებები, რომელთა შედეგადაც ხორციელდება ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა და სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვნად შეცვლა. ამგვარი რევოლუცია ამერიკაში არასდროს მომხდარა. რატომ?

მიზეზები ისტორიულ პირობებსა და ამერიკელების ნაციონალურ ხასიათში უნდა ვეძებოთ. თუ ცხოვრების პირობები აუტანელი (ან, უბრალოდ, არაკეთილსასურველი) ხდებოდა, ამერიკელი, უბრალოდ, დგებოდა და მიდიოდა დასავლეთში, რათა იქ ახალი ცხოვრება დაეწყო. მის განკარგულებაში იყო რესურსებით უმდიდრესი და მესაკუთრეების მიერ ჯერაც დაუნაწილებელი მთელი კონტინენტი. სწორედ ამან განაპირობა ამერიკული ხასიათის ფორმირება: მობილურობა, მიზანსწრაფულობა და შინაგანი კონტროლის ლოკუსი, რომ, თუკი რაიმე არ გამოსდის ან ცუდად ცხოვრობს, ესე იგი სათანადოდ არ ეცადა, მიზეზი მასშია.

იმ პირობებში, როდესაც რესურსები მფლობელებს შორისაა გადანაწილებული და ადამიანს არ შეუძლია, შეიცვალოს საქმიანობის სფერო ან თუნდაც საცხოვრებელი ადგილი, რათა ბედი მოსინჯოს ახალ ადგილსა და ახალ საქმეში, მას გარეგანი კონტროლის ლოკუსი უვითარდება: მის წარუმატებლობაში დამნაშავეა გარეგანი, მისგან დამოუკიდებელი ფაქტორები. ეს უკვე წარმოადგენს საფუძველს სოციალური უკმაყოფილებისთვის: ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, მაგრამ არ შეუძლიათ, დაიწყონ ახლებური ცხოვრება — მათ ხელს უშლიან დამყარებული წესრიგი და კონკრეტულად ისინი, ვინც ეს წესრიგი დაამყარა, ანუ ზედა ფენები.

როდესაც ამერიკაში შიდა კოლონიზაციის ობიექტური შესაძლებლობები ამოიწურა, ჩაერთო სუბიექტური ფაქტორი: უკვე ჩამოყალიბებული იყო შესაბამისი ნაციონალური ხასიათი — ინდივიდუალისტური, „კონტროლის შინაგანი ლოკუსით“. უკეთესობისაკენ ცვლილებები სჭირდებოდა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადამიანს (კონკრეტულ შემთხვევებში „ადამიანი“ შეიძლება ჩანაცვლდეს სოციალური ფენით, ერთი პროფესიის ადამიანებით, ერთი ქალაქის მოსახლეობით და ასე შემდეგ) და არა ყველას, ამიტომ აზრი არ აქვს ზოგად სოციალურ გარდასახვაზე ენერგიის ხარჯვას, ამის კეთებას ქვეყნის მასშტაბით, ყველასთვის. უმჯობესია, დრო და ენერგია დაიხარჯოს საკუთარი (რიგ შემთხვევაში ზემოხსენებული შესაბამისი ვარიაციებით) ცხოვრების მოწყობაზე.

ცხადია, ეს საჭიროებს კვებას გარედან და ეს უზრუნველყოფილი იყო ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკით: სავაჭრო და ფინანსური ბაზრების მიტაცებით, დოლარზე დაფუძნებული მსოფლიო ეკონომიკის შექმნით — ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, „მეორე“ და „მესამე“ მსოფლიოს ქვეყნების რესურსების ექსპლოატაციით.

ახლა, როდესაც ეს შესაძლებლობები ამოწურულია, ერთადერთი საშუალება იმ ილუზიის შესანარჩუნებლად, რომ ამერიკელს „აქვს გასაქცევი“, უკვე ათვისებული ბაზრების ომის გზით განულებაა. თუ ამის გაკეთება ვერ მოხერხდება და ამერიკული განვითარების ცენტრისკენული მოდელი შეწყვეტს მუშაობას, ამერიკელი მიხვდება, რომ გასაქცევი აღარსად აქვს და ამის მიზეზი, მასში კი არა, სწორედ იმ გარე სამყაროშია, რომელიც მსგავს შესაძლებლობას აღარ უტოვებს.

**უკვე ძალიან საინტერესო გახდა ამერიკული რევოლუცია და, ვინც მოახერხებს, ამერიკელებს მიჰყიდოს ეს მათთვის დეფიციტური «საქონელი», მართლაც საარაკოდ გამდიდრდება...**

აი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყება ის, რაც ყველაზე საინტერესოა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი შემდგარი რევოლუციის მიზეზი არის ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ფეთქებადი ნარევი. მხოლოდ ობიექტური ფაქტორები (ხელისუფლების კრიზისი, მასების უკმაყოფილება, ყბადაღებული „ზემდგომებს არ შეუძლიათ, ქვემდგომებს კი არ სურთ“) საკმარისი არ არის: ყუმბარა არ აფეთქდება. საჭიროა სუბიექტური ფაქტორი, მაგალითად, უცხო სახელმწიფოს ჩარევა, იმ ორგანიზებული ძალის არსებობა, რომელიც შეძლებს, ცენტრიდანული მიმართულება მისცეს მასების რევოლუციურ ენერგიას და ასე შემდეგ.

სუბიექტური ფაქტორების პროგნოზირება ძნელია. სწორედ ამიტომაც ობიექტურ წინაპირობებზე დაფუძნებული ნებისმიერი პროგნოზის სიზუსტე განისაზღვრება საბედისწერო პროპორციით „ორმოცდაათი ორმოცდაათზე“. ერთი რამ ცხადია: ამერიკული რევოლუციის ჭიქა სანახევროდ სავსეა, „ამერიკული ოცნების“ ჭიქა კი — ნახევრად ცარიელი.

და ეს, სხვათა შორის, არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც არავის სურს ომი არც უკრაინაში, არც ევროპაში და არც ახლო აღმოსავლეთში. უკვე ძალიან საინტერესო გახდა ამერიკული რევოლუცია და, ვინც მოახერხებს, ამერიკელებს მიჰყიდოს ეს მათთვის დეფიციტური „საქონელი“, მართლაც საარაკოდ გამდიდრდება...

**agitpro.su**

# ჩვენთვის ნაცნობი ბრიტანეთის აღსასრული

**ეს არჩევნები ყველას დაამახსოვრდება, როგორც დევიდ კემერონის კარიერის გადამრჩენი, პრემიერ მინისტრისა, რომელიც სულ რაღაც ორი თვის წინათ სახალხოდ აცხადებდა პოლიტიკიდან შესაძლო წასვლის თაობაზე. ეს არჩევნები ყველას დაამახსოვრდება, როგორც ლეიბორისტული პარტიისა და ედ მილიბდენის პოლიტიკური კარიერის დასასრული, მილიბდენისა, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინათ დიდი თავდაჯერებულობით ჩამოაყალიბა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები. უფრო მეტიც, ეს არჩევნები ყველას დაამახსოვრდება, როგორც საზოგადოებრივი აზრის ყველანაირი გამოკითხვის შედეგების უკუგდება, მაგრამ, როდესაც ყველა მღელვარება ჩაცხრება და ყველა დრამა დასრულდება, ამ არჩევნებს გაიხსენებენ, როგორც მოვლენას, რომელიც ჩვენთვის ცნობილი დიდი ბრიტანეთის დასასრულის დასაწყისად იქცა.**






**ეს არჩევნები, შესაძლოა, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავდეს გაერთიანებული სამეფოს ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის — კავშირის აღსასრულს.** არადა, ამ სამეფოს სტაბილურობა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში არ მდგარა რაიმე სერიოზული საფრთხის წინაშე. დავიწყოთ იმით, რომ შოტლანდიის ნაციონალური პარტია, რომელიც ღიად მოუწოდებს შოტლანდიას გაერთიანებული სამეფოდან გასვლისკენ, თემთა პალატაში 59 შესაძლო ადგილიდან 56-ს დაიკავებს და პრაქტიკულად გააძევებს იქიდან ლეიბორისტებსა და ლიბერალურ დემოკრატებს. უფრო მეტიც, ახლა ცნობილი გახდა, რომ ლონდონში ბევრს არ დასწყვეტია გული ამგვარ შედეგებზე.

**შესაძლოა, ურჩი, დაუმორჩილებელი და მემარცხენე შოტლანდიის გარეშე ყოფილი დიდი ბრიტანეთის დარჩენილი ნაწილის მართვა უფრო ადვილი გახდეს. ეს დაახლოებით იგივეა, ამერიკაში რომ მრავალი წლის შემდეგ ტეხასის შტატის ყველა ადგილი კონგრესში ტეხასის სეპარატისტულმა პარტიამ დაიკავოს, დანარჩენი შტატების წარმომადგენლებმა კი ჩათვალონ, რომ ეს არც ისე ცუდია და დაიწყონ პოტენციური სარგებლის გათვლა.**

2013 წელს კემერონმა პირობა დადო, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჩაატარებდა რეფერენდუმს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის საკითხთან დაკავშირებით. მან ასევე პირობა დადო, რომ მანამდე გადახედავდა ევროკავშირში ბრიტანეთის წევროპის საკითხს, თუმცა ამ დრომდ არავინ იცის, რას ნიშნავდა ეს დაპირება.

ევროკავშირის სამიტებზე ბრიტანელები მოინდომებენ ევროპაში დიდი ბრიტანეთის როლზე საუბარს და არა მსოფლიოში ევროპის როლის ან კრიზისების განხილვას. დიდი ბრიტანეთი, რომელიც დაინტერესებული იყო სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტების მხარდაჭერით და აქტიურად მონაწილეობდა საერთო პროექტებში, უკვე წარსულს ჩაბარდა და ლონდონში ბევრს არც ენატრება. კემერონი უფრო ნაკლებად იყო დაინტერესებული საგარეო პოლიტიკით, ვიდრე სხვა რომელიმე პრემიერმინისტრი, მისმა პარტიამ კი სულ ახლახან ჩაატარა ყველაზე „კუნძულოვანი“ წინასაარჩევნო კამპანია და გაიმარჯვა კიდეც.

**The Washington Post**

მოკლედ



## ბრიტანეთში ტერორიზმის ბრალდებით 338 ადამიანი დააკავეს

**დიდ ბრიტანეთში ტერორიზმის ბრალდებით დაკავების შემთხვევები განსაკუთრებით გახშირდა.** „ბი-ბი-სის“ ცნობით, „სკოტლანდ იარდში“ აცხადებენ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დააკავეს 338 ადამიანი, რომელთაც ბრალი ტერორიზმში ედებათ. მათი დიდი ნაწილი სირიაში მოქმედ ისლამისტ მებრძოლებთან კავშირშია ეჭვმიტანილი. სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ გვერდით საბრძოლველად ევროპიდან ასობით ადამიანი ჩადის. მხოლოდ ბრიტანეთიდან სირიაში 700-ზე მეტი ეჭვმიტანილი გაემგზავრა.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# კოლუმბია — წიაღისეულით მდიდარი ქვეყანა და მარკესის სამშობლო

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

კოლუმბია სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე სახელმწიფოა; აღმოსავლეთით ესაზღვრება ბრაზილიასა და ვენესუელას, სამხრეთით — ეკვადორსა და პერუს, დასავლეთით — პანამას; აქვს სანაპირო ზოლი კარიბის ზღვასა (ჩრდილოეთით) და წყნარ ოკეანეზე (დასავლეთით).

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ცნობილი მეზღვაურისა და მოგზაურის — ქრისტეფორე კოლუმბის გვარიდან, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა.

კოლუმბიამ **1810 წლის 20 ივლისს** თავი დააღწია ესპანეთის კოლონიალიზმს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქვეყნის დასავლეთში ჩრდილოეთიდან სამხრეთ საზღვრებამდე გადაჭიმულია ანდების მთათა სისტემა, რომელიც დასერილია მდინარეთა ხეობებით. კოლუმბიის უმაღლესი წერტილია **კრისტობალ კოლონი (5775 მ).**

**უდიდესი მდინარეები: ამაზონი (6992 კმ); ორინოკო (2736 კმ); მაგდალენა (1550 კმ).**

**კლიმატი.** ქვეყნის ტერიტორია ეკვატორულ ზონაში მდებარეობს. საშუალო ტემპერატურა დაბლობში პლუს 24-27 გრადუსია; მთიანეთში, 2000-2500 მ სიმაღლეზე — პლუს 13-16.

**ფლორა.** კარიბის ზღვის სანაპიროზე ხარობს ტროპიკული მცენარეები, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში — სავანის (ე.წ. ლიანოსი) მცენარეები. კოლუმბიის ნაციონალურ ყვავილად **ორქიდეა** ითვლება, ნაციონალურ ხედ — **ცვილის პალმა**. გავრცელებულია კოლუმბიური მუხა, პომიდვრის ხე, ფეიხოა, კურუბა, ბანანი, ჩაი, ყავის ხე და სხვ.

**ფაუნა.** კოლუმბიის ცხოველთა სამყარო ძალიან მდიდარია. იქ ბინადრობს იაგუარი, მაიმუნი, ტაპირი, ჭიანჭველაჭამია, ზარმაცა, ჯავშნოსანი, ნიანგი, ფრინველთა შორის აღსანიშნავია ანდების კონდორი და კოლიბრი, მდინარეში ბინადრობს ძალიან საშიში თევზი პირანია.



ბოგოტა



გაბრიელ გარსია მარკესი

კოლუმბიის **ტრიტორია 1,1 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს** (25-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2013 წლის შეფასებით, კოლუმბიაში 45,7 მლნ კაცი ცხოვრობს (29-ე): მეტისები (ესპანელი კოლონიზატორებისა და ადგილობრივი ინდიელების შთამომავლები) — 58%; ევროპელები — 20%; მულატები (ევროპელებისა და ნეგროიდების შთამომავლები) — 14%; ნეგროიდული რასის წარმომადგენლები — 4%; ინდიელებისა და შავკანიანების შთამომავლები — 3%; ინდიელები — 1%.

**დედაქალაქი: ბოგოტა (სანტა ფე დე ბოგოტა) — 7,3 მლნ.**

**უდიდესი ქალაქები: ბოგოტა; მედელინი (2,5 მლნ); კალი (2,3 მლნ); ბარანკილია (1,7 მლნ); კარტახენა (1,3 მლნ).**

**ოფიციალური ენა: ესპანური.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

რესპუბლიკა კოლუმბიაში სახელმწიფოს პირველი პირია პრეზიდენტი, რომელსაც მოსახლეობა 4 წლით ირჩევს. ამჟამად კოლუმბიის პრეზიდენტია **ხუან მანუელ სანტოსი.** მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერმინისტრი. საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი (კონგრესი).



საკათედრო ტაძარი ლას ლოხასი

კოლუმბია იყოფა 32 დეპარტამენტად და დედაქალაქ ბოგოტას ოლქად. დეპარტამენტები, თავის მხრივ, იყოფა მუნიციპიებად.

**რელიგია.** კოლუმბიელთა უმრავლესობა (95%) ქრისტიანია, ძირითადად, კათოლიკე (90%). ქვეყანაში, აგრეთვე, ცხოვრობენ მუსლიმანები, ინდუისტები, ბუდისტები, იუდეველები და ადგილობრივი რელიგიების მიმდევრები.

## ეკონომიკა

კოლუმბიის ეკონომიკა თითქმის ავტონომიურია ნავთობისა და ქვანახშირის საბადოების, აგრეთვე, ელექტროსადგურების ხარჯზე. ორიენტირებულია ექსპორტზე, ძირითადად, ყავისა და ქვანახშირის, აგრეთვე — მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის.

კოლუმბია ნავთობპროდუქტების, ყავისა (მე-3 ადგილი მსოფლიოში) და ქვანახშირის გარდა, საექსპორტოდ აწარმოებს ტყვიას, ოქროს, ვერცხლს, პლატინას, მარგანეცს, ნიკელს, ზურმუხტს (მსოფლიოში მოპოვებული ზურმუხტის 90%-ს), ტანსაცმელს, ბანანებს, ყვავილებს, შაქრის ლერწამს, თამბაქოს (სიგარებს), ბამბას. მოჰყავთ ბრინჯი, კარტოფილი, სორგო.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 502,8 მლრდ დოლარს, მოსახლეობის ერთ სულზე — 7752 დოლარს.**

**ვალუტა: კოლუმბიური პესო.** 10 000 კოლუმბიური პესო = 4,19 აშშ დოლარს.

**ინტერნეტდომენი: CO.**

**სატელეფონო კოდი: +57.**

**საათობრივი სარტყელი: UTC —5.**

## კულტურა

კოლუმბიის ტერიტორიაზე შერწყმულია ორი კულტურა: ევროპული, რომელიც ესპანელმა კონკისტადორებმა შეიტანეს XV საუკუნეში და, ადგილობრივი, რომელიც ინდიელთა ცივილიზაციამ შექმნა ათასწლეულების განმავლობაში.

სწორედ აქ, კოლუმბიაში შეიქმნა ცნობილი ტროპიკული ცეკვები და მუსიკა — სალსა, პორო, ვალიენატო. ტროპიკების კოლორიტი კი აღწერილია ისეთი მხატვრების მიერ, როგორებიც არიან: **ფერნანდო ბოტერო, ალეხანდრო ობრეგანი** და **გილერმო ვიდემანი.**

მსოფლიოში გაითქვა სახელი მწერალმა, XX საუკუნის მსოფლიოს ლიტერატურის კლასიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა **გაბრიელ გარსია მარკესმა,** რომლის ნაწარმოებებიც — „მარტოობის ასი წელიწადი“, „პატრიარქის შემოდგომა“, „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ და სხვ. — ქართველი მკითხველისთვისაც ცნობილია. კოლუმბიელია, აგრეთვე, მსოფლიოში პოპულარული მომღერალი **შაკირაც.**

**ღირსშესანიშნაობები:** ბოგოტაში — კონგრესის სასახლე, მართლმსაჯულების სახლი, არქეოლოგიის მუზეუმი, მსოფლიოში ერთდადერთი ოქროს მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი, რელიგიური ხელოვნების მუზეუმი და სხვა. ნარინიოში — ლას ლოხასის ტაძარი.



შაკირა



### ახიაკო

**კოლუმბიაში ძალიან პოპულარულია კარტოფილის, ქათმისა და ხბოს ხორცის წვნიანი ახიაკო, რომლის სახელწოდებაც, ერთ-ერთი ვერსიით, წარმოიშვა ინდიელთა ტომის ბელადის — აკოს ცოლის სახელისგან — ახ.**

**ინგრედიენტები:**
* კარტოფილი — 1 კგ
* ქათმის მკერდი — 1 კგ
* ხბოს ნეკნები — 0,5 კგ
* ქინძი — 50 გრ
* სიმინდი — 4 ტარო
* პომიდორი — 250 გრ
* ხახვი — 2 თავი
* მწვანე ხახვი — 100 გრ
* ცხარე წიწაკა — 1 ცალი
* შავი პილპილი (დაფქული) — 1 ჩ/კ
* ისპანახი — 100 გრ
* ლიმონის წვენი — 20 მლ
* არაჟანი — 200 გრ
* მარილი — გემოვნებით
* ხახვი — 100 გრ (სალსასთვის).

**მომზადება:**

**1. დიდ ქვაბში მოხარშეთ ქათმის მკერდი და ხბოს ნეკნები. როდესაც წყალი ადუღდება, დაუმატეთ ქინძი და მარილი. ხორცი მოხარშვის შემდეგ ძვლებისგან განაცალკევეთ და კვლავ ბულიონში ჩაყარეთ.**

**2. ბულიონს დაუმატეთ სიმინდის დატეხილი ტაროები და კუბებად დაჭრილი კარტოფილი. ხარშეთ კიდევ 20 წუთის განმავლობაში.**

**3. სოუსი „სალსას“ მოსამზადებლად აურიეთ ლიმონის წვენი, წვრილად დაჭრილი ხახვი და 1 ჩ/კ მარილი. გაწურეთ. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი პომიდორი, წიწაკა, ქინძი და წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი.**

**4. ხარშვის დასრულებამდე 3 წთ-ით ადრე დაუმატეთ დაჭრილი ისპანახი, მარილი და შავი პილპილი.**

**5. ახიაკო სუფრაზე მიიტანეთ აგუაკადოს, სალსასა და არაჟანთან ერთად.**

## სამზარეულო

კოლუმბიურ სამზარეულოში შერწყმულია კოლუმბამდელი ამერიკის, ევროპული და აზიური სამზარეულოების ტრდიციები. კერძებს ძირითადად ამზადებენ მარცვლეულისგან (სიმინდი), ბრინჯისგან, ლობიოსგან, კარტოფილისგან, ბოსტნეულისა და ხორცისგან. იყენებენ უამრავ სანელებელს, ლუდს, ღვინოსა და ყავას (დესერტებში).

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ამ პერიოდში მოსალოდნელია ურთიერთობების გართულება და პრობლემები ფინანსურ სფეროში. ადამიანებს მოუწევთ არჩევანის გაკეთება პირად და კოლექტივის ინტერესებს შორის. წარმატებას მიაღწევენ ტყუპის, ქალწულისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**20 - 26 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ამ პერიოდში თქვენი მოქმედებები ბევრ სარგებელს მოგიტანთ, თუმცა საკმაოდ დაგღლით. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და შედეგიც არ დააყოვნებს.

მარტოხელა ვერძებმა შეიძლება გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელიც დააფასებს მათ ორიგინალურობას და შემოქმედებით იდეებს. შედეგად, გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრები, საჩუქრები და ერთად მოგზაურობა.

მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

გაგიჩნდებათ ახალი იდეები, რომელთა რეალიზებასაც დაუყოვნებლივ მოისურვებთ, მაგრამ ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ, რისკფაქტორები გაითვალისწინოთ და ისე იმოქმედოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში პრობლემები არ შეგექმნებათ, თუ პესიმიზმი ფარ-ხმლის დაყრას არ გაიძულებთ. გაბედულად იმოქმედეთ თქვენი კავშირის გასამყარებლად.

გაუფრთხილდით სასუნთქ სისტემას, რადგან დიდია გაცივების ალბათობა.

**დადებითი დღე: 23 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ფრთხილად და წინდახედულად იმოქმედეთ, რადგან თქვენი მოშურნეები შეეცდებიან, ინტრიგაში გახვიონ და რეპუტაცია შეგილახონ.

თქვენი პოზიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიცავით, თუ დარწმუნებული იქნებით, რომ მართალი ხართ.

თქვენს პირად ცხოვრებაში საგანგაშო არაფერი ხდება და შეგიძლიათ დატკბეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობით.

ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას — მიდით ექიმთან საკონსულტაციოდ.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

კარგი პერიოდია კარიერაში წინსვლისთვის ან სამუშაო ადგილის შესაცვლელად. ფინანსური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ და შეძლებთ ახლობელი ადამიანების დახმარებას.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შეიძლება გამწვავდეს თქვენი უყურადღებობის გამო, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ მასთან და გულწრფელად ესაუბროთ პრობლემებზე.

ამ პერიოდში მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 24 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

მოგიწევთ ფინანსური პრობლემების მოგვარება — ვალის გასტუმრება ან კრედიტის აღება. ამ პროცესმა შეიძლება ისე გაგაღიზიანოთ, რომ ახლობლებთან კონფლიქტი შეგექმნათ.

ამ პერიოდში სჯობს, მეტი დრო გაატაროთ ოჯახის წევრებთან, რადგან არ არის გამორიცხული, მათი მხარდაჭერა დაგჭირდეთ. მზრუნველობა გამოიჩინეთ შვილების მიმართ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში და დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 24 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

არ შეეწინააღმდეგოთ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვისა და ადამიანებთან ურთიერთობის შეზღუდვის სურვილს, პირიქით — ეს კარგი პერიოდია აზრების დასალაგებლად და გრძნობებში გასარკვევად. ამის შემდეგ კი შეგიძლიათ, გეგმები დასახოთ და მათ განხორციელებაზე იზრუნოთ.

მარტოხელა ქალწულები იოლად შეძლებენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღების მიპყრობას და, სურვილის შემთხვევაში, რომანტიკული ურთიერთობის დაწყებას. დაქორწინებულ ქალწულებს კი შვილების პრობლემების მოგვარება მოუწევთ.

დაიცავით კვების რეჟიმი — მაღალია კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

მოძალებულ საქმეებს იმ შემთხვევაში გაართმევთ თავს, თუ მათ ნელ-ნელა, თანამიმდევრობით გააკეთებთ. თუ პრობლემები შეგექმნებათ, მათ მოსაგვარებლად დახმარება გამოცდილ კოლეგებს სთხოვეთ.

იმ სასწორებს, რომელთა გული თავისუფალია, ამაღელვებელი რომანი ელით, დაოჯახებულები კი უნდა შეეცადონ, რომ ოჯახური სიმყუდროვე შეინარჩუნონ.

ნერვული დაძაბულობის ფონზე, შეიძლება, კუჭი დაგიავადდეთ, ამიტომ მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ბევრი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებით როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში, თუმცა ყველას მოაგვარებთ. დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, შეცდომა დაუშვათ.

თუ გსურთ, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არ გაგიფუჭდეთ, თავი დაანებეთ მის კრიტიკას. ამ პერიოდში მაღალია ტრავმირების ალბათობა. გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას.

**დადებითი დღე: 26 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ნაჩქარევმა დასკვნებმა, შეიძლება, კოლეგებთან ურთიერთობა გაგიფუჭოთ. ახლა უმჯობესია, ემოციები მოთოკოთ და არაფერი დაგეგმოთ. გამწვავებული ურთიერთობის მოგვარებაში მეგობარი ან კოლეგა დაგეხმარებათ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს და შეეცადეთ, დასვენების დღეები მათთან ერთად ბუნების წიაღში გაატაროთ.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე და დაიცავით კვების რეჟიმი. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 23 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

სამსახურში კოლეგებთან ურთიერთობას თუ არ მოაგვარებთ, ის პროექტები, რომლებიც უკვე დაწყებული გაქვთ, შეიძლება შეფერხდეს, ამიტომ თავი შეიკავეთ სხვა ადამიანების კრიტიკისგან და გახსოვდეთ, რომ უშეცდომო არავინაა. სამსახურში შექმნილი პრობლემების მიუხედავად, თქვენი ფინანსური მდგომარეობა არ გაუარესდება, პირიქით — შეიძლება დამატებითი შემოსავალიც კი მიიღოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუ არ გაჯიუტდებით და მას მეტისმეტი მოთხოვნებით არ შეაწუხებთ.

გაფრთხილდით ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 27 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 22 მაისი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

წარმატებული პერიოდია — ყველა საქმეს, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, იოლად შეასრულებთ. თუ რაღაცის შეცვლა გსურთ კარიერაში ან პირად ცხოვრებაში, უკან ნუ დაიხევთ — გაბედულად იმოქმედეთ, რადგან ეს ცვლილებები მომავალში წარმატების საწინდარი იქნება.

ძველი წყენის გამო საყვარელ ადამიანთან საქმის გარჩევას ნუ შეეცდებით, სჯობს, სიურპრიზი მოუწყოთ — რამე აჩუქოთ ან წვეულებაზე ერთად წახვიდეთ.

ამ პერიოდში მაღალია ალერგიული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 24 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

თუ საქმის კეთებას ისე ვერ ახერხებთ, როგორც დაგეგმილი გქონდათ, ნუ შეშფოთდებით — რამდენიმე დღეში ყველაფერი მოგვარდება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ენდეთ ინტუიციას.

მარტოხელა თევზებმა, შეიძლება, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც შეიძლება, მგზნებარე რომანში გადაიზარდოს. დაქორწინებულ თევზებს კი ოჯახური სიმყუდროვის შესანარჩუნებლად საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება მოუწევთ.

თქვენი იმუნური სისhტემა დაქვეითებულია, ამიტომ მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 23 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ ვეჩვევით ყავას? ყველაზე გავრცელებული მოტივია ყავის თვისება, სწრაფად აამაღლოს ადამიანის ტონუსი ძილის შემდეგ, აავსოს ენერგიით, გააძლიეროს აზროვნება და ფიზიკური რეაქციები.**



# ზოგი რამ ყავის შესახებ

**დედამიწის ლამის ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანი მას საუკეთესო საშუალებად თვლის გამოფხიზლების, შრომისუნარიანობის აღდგენის, ხასიათის გამოკეთებისა და ხალისის მომატებისთვის. ყავას მიირთმევენ ყველგან და ყოველთვის — დღესასწაულებზე, წვეულებებზე, ყოველდღიურად, სამსახურში, კაფეში, სახლში... მსოფლიოში ადამიანები გაღვიძებისთანავე ლამის ხელების ცეცებით მიიწევენ სამზარეულოსკენ, რათა თვალის გახელამდე ყავის ერთი ყლუპი იგემონ; ზოგს კი, ვისაც სხვებზე მეტად გაუმართლათ, საყვარელი ადამიანები ამ ცხელი სასმელით პირდაპირ ლოგინში მირთმევით ანებივრებენ და კაცობრიობა, კარგა ხანია, უსიტყვოდ შეთანხმდა: ეს წყვილებს შორის სიყვარულის, პატივისცემისა და მზრუნველობის ერთ-ერთი გამოხატულებაა.**



ყავა არის სასმელი, რომელსაც უმეტესად ცხელს, ხანდახან კი ცივსაც ამზადებენ ყავის ხის მოხალული მარცვლებისგან. კოფეინის შემცველობის გამო ის მასტიმულირებელ მოქმედებას ახდენს.

სიტყვა **ყავა** მომდინარეობს **კაფა**-დან — ეთიოპიის სამხრეთ-დასავლეთი ოლქის სახელწოდებიდან, სადაც, ლეგენდის თანახმად, პირველად აღმოაჩინეს ამ მცენარის მატონიზირებელი თვისებები.

ყავა ნამდვილად უნიკალური სასმელია. მეცნიერებმა დღემდე ვერ ახსნეს მისი საიდუმლო და ვერ დაადგინეს მისი თვისებები. კოფეინის გამოყენების სფერო მეტად დიდია, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ენერგეტიკის ყოველმხრივი შესწავლა.

**ყავის არომატით კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ტკბებოდა. ლეგენდის თანახმად, ყავა პირველად მუჰამედმა დააგემოვნა, მისი მეშვეობით იგი მძიმე დაავადებისგან განიკურნა.**

ყავის ზემოქმედება ორგანიზმზე ინდივიდუალურია და ყოველთვის სასარგებლო არ არის. მკვლევარები უსასრულოდ კამათობენ ყავის სარგებლობა-ზიანის შესახებ, თუმცა ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე ჯერ არ მისულან.

**არსებობს ყავის მარცვლების ორი ტიპი: არაბიკა — ტრადიციული ყავა, რომელიც ითვლება უფრო გემრიელად, და რობუსტა — კოფეინით გაჯერებული, მომჟავო გემოს მარცვლები, რომელთაც ხსნადი ყავის დასამზადებლად იყენებენ.**

2011 წელს მწვანე ყავის უდიდესი მწარმოებელი ბრაზილია იყო, შემდეგ — ვიეტნამი, ინდონეზია და კოლუმბია. არაბიკას ტიპის ყავა მოყავთ ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აფრიკაში, არაბეთსა და აზიაში. რობუსტას ტიპის ყავა იზრდება დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ბრაზილიის ზოგიერთ ნაწილში.

ყავა — ეს არის მომცრო ტანის მარადმწვანე ხე ან მსხვილი ბუჩქი ენდროსებრთა ოჯახიდან, 10 მ-მდე სიმაღლის (კულტურულ პლანტაციებში ზრდიან დაბალ მცენარეებს ნაყოფის მოკრეფის გასაადვილებლად), აქვს გრძელი გაშლილი ან დახრილი ტოტები. მომრგვალებულ-წაგრძელებული, მოკლე ყუნწებიანი, 5-20 სმ სიგრძისა და 1,5-5 სმ სიგანის ფოთლები განლაგებულია ერთმანეთის საპირისპიროდ. მრავალრიცხოვანი, თეთრი, სურნელოვანი ყვავილები შეკრებილია სამ-შვიდ ყვავილად ფოთლების უბეებში.

ყავის ხის სამშობლო არის ეთიოპია, საიდანაც იგი ადამიანმა ძველთაგანვე მთელ ეკვატორულ აფრიკაში და არაბეთის ნახევარკუნძულზე გაავრცელა. მოგვიანებით მისი თესლი ევროპელებმა მთელ პლანეტაზე გაავრცელეს. ამჟამად ყავის ხე ხარობს ყველა ტროპიკულკლიმატიან ქვეყანაში. ყავის მსხვილ მწარმოებლებად გვევლინებიან ბრაზილია, კოლუმბია, ტროპიკული აფრიკის ქვეყნები, ინდონეზია, ინდოეთი.

ყავის ხის სასაქონლო ნაწილი არის გარსისგან გაწმენდილი თესლები, რომელსაც ჩვენ ყავის მარცვლებს ვუწოდებთ.

ყავაში ფასობს ფიზიოლოგიურად აქტიური კოფეინი, ყავის გემო და არომატი. სასიამოვნო სპეციფიკური გემოსა და არომატის მისაღებად ყავის მარცვლებს ხალავენ, ამით კოფეინი არ იშლება. მოხალულ მარცვლებში არის შაქარი (2,8%), ყავის მთრიმლავი მჟავა (4,7%-მდე), აზოტური ნივთიერებები (13,9%-მდე), კოფეინი (1,24%-მდე), ცხიმი (14,4%-მდე), უმნიშვნელო რაოდენობით მერკაპტანები, ფენოლური შენაერთები, პირიდინი, ძმარმჟავა და სხვა შენაერთები.

შაქარი მოხალვისას კარამელდება, წარმოქმნის კარამელინს, რომელიც ყავის ნაყენს მუქ ყავისფრად შეფერავს. ყავას დამახასიათებელ არომატს აძლევს ეგრეთ წოდებული კაფეოლი. იგი წარმოიქმნება მარცვლების მოხალვის დროს, ასევე მოხალვის დროს ყავის თესლში მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოიქმნება PP ვიტამინი — ნიკოტინმჟავა, რომელიც თავისუფალ მდგომარეობაში არსებობს და ადვილად გადადის ყავის ნაყენში. ერთ ფინჯან ყავაში არის მოზრდილი ადამიანის სადღეღამისო დოზის დაახლოებით მესამედი PP ვიტამინი.

**არსებობს ყავის მარცვლების ორი ტიპი: არაბიკა — ტრადიციული ყავა, რომელიც ითვლება უფრო გემრიელად, და რობუსტა — კოფეინით გაჯერებული, მომჟავო გემოს მარცვლები, რომელთაც ხსნადი ყავის დასამზადებლად იყენებენ**





ყავის მარცვალი შეიძლება შევინახოთ წლების განმავლობაში და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ღვინის მსგავსად, მისი გემოც წლიდან წლამდე უმჯობესდება. ყავა მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში უნდა შევინახოთ, უმჯობესია, მინის ჭურჭელი იყოს. თუმცა დაფქული ყავა მალე კარგავს არომატს, ამიტომ ჯობია, მოდუღების წინ დავფქვათ. დაფქულის შენახვაც მინის კარგად დახურულ ჭურჭელშია მიზანშეწონილი – ასე უფრო დიდხანს ინახავს გემოვან თვისებებს, თუმცა არა წლების განმავლობაში.

**რატომ ვეჩვევით ყავას? ყველაზე გავრცელებული მოტივია ყავის თვისება, სწრაფად აამაღლოს ადამიანის ტონუსი ძილის შემდეგ, აავსოს ენერგიით, გააძლიეროს აზროვნება და ფიზიკური რეაქციები.** ეს ეფექტი განპირობებულია ყავის ზემოქმედებით თავის ტვინის გარკვეულ უბნებზე. კოფეინის მოქმედებით ჰიპოფიზი იწყებს ჰორმონის გამოყოფას, რომელიც ხელს უწყობს ადრენალინის გამომუშავებას. ადრენალინი იწვევს გულის მუშაობის აჩქარებას, ღვიძლის მიერ სისხლში გლუკოზის მეტი რაოდენობით გამოყოფას, შესაბამისად, ენერგიის გაზრდას. კოფეინი ავიწროვებს სისხლძარღვებს, ადუნებს სასუნთქ გზებს, რაც აადვილებს სუნთქვას და კუნთების შეკუმშვას. **ამგვარად, ფინჯანი ყავა ახდენს ორგანიზმის მობილიზებას აქტიური მოქმედებებისთვის მთელი დღის განმავლობაში.**

მეცნიერები მსგავს მოქმედებას ნარკოტიკულს მიაკუთვნებენ. კოფეინის დეფიციტისას, შესაძლოა, განვითარდეს ნამდვილი დეპრესია.

თუმცა ყავას ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია. მნიშვნელოვანია, თუ ვინ სვამს ყავას, რა რაოდენობით და რამდენჯერ. ყავის მისაღები დოზა თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურია.

**ყავის ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება არის ალკალოიდი კოფეინი.** კოფეინის ჯგუფის ალკალოიდები ქიმიური წყობით ახლოს არიან ზოგიერთ იმ ნივთიერებასთან, რომლებიც გვხვდება ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში (შარდმჟავა და სხვ.). ალბათ, ამიტომ ისინი არ არის საშიში ადამიანისთვის მცირე რაოდენობით ხანგრძლივად გამოყენების დროსაც კი.

კოფეინს სწრაფად შეწოვის უნარი აქვს, ანუ ორგანიზმი მალე ითვისებს მას. მისი მოქმედება მიღებიდან 15-30 წუთის შემდეგ ვლინდება. კოფეინის, ისევე, როგორც მრავალი ნივთიერების, მოქმედების ხანგრძლივობა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორგანიზმის უნარზე, დაშალოს იგი ან გადააქციოს ნაკლებად აქტიურ შენაერთებად და განსაკუთრებით ეს ალკალოიდი და მისი დაშლის პროდუქტები გამოდევნოს.

**კოფეინს არ აქვს ორგანიზმში დაგროვების უნარი, ხანგრძლივი გამოყენების დროსაც კი. მისი დიდი ნაწილი იშლება და გადაიქცევა შარდოვანად. 6 საათის განმავლობაში იშლება დაახლოებით 50% მიღებული კოფეინისა, დღეღამის განმავლობაში კი იგი ორგანიზმში აღარ რჩება. შეუცვლელი სახით თირკმელებით გამოიყოფა შეყვანილი დოზის მხოლოდ 8%.**

კოფეინის ზემოქმედებით ძლიერდება რეფლექტორული მოქმედება, ხშირდება და ღრმავდება სუნთქვა, ძლიერდება გულის მოქმედება, იზრდება დაქვეითებული სისხლის წნევა, ფართოვდება თავის ტვინის, გულისა და თირკმელების სისხლძარღვები, იზრდება შარდის გამოყოფა, ძლიერდება კუჭის წვენის სეკრეცია.

პლანეტის მოსახლეობის უმეტესობა, უბრალოდ, შეყვარებულია ამ სასმელზე; უფრო მეტიც, უმეტესობას მის გარეშე სიცოცხლეც კი ვერ წარმოუდგენია. თუმცა ხშირად ამბობენ, რომ ყავა მავნებელია, არ არის სასარგებლო და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, დიდი დოზით არაფერი ვარგა, მაგრამ თურმე ყავას ბევრი სასარგებლო თვისებაც ჰქონია. ასე რომ, ვისაც ყავა გიყვართ და მაინც ერიდებით, იცოდეთ:

ევროპაში ყავის სამკურნალოდ გამოყენების პირველი მითითებანი გაჩნდა 1592 წელს. თავდაპირველად ▶



# მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყავა დადებითად მოქმედებს მხედველობაზე და ზრდის ბადურის მგრძნობელობას. სწორედ კოფეინი აიძულებს მას ინტენსიურად მოახდინოს რეაგირება გარემოზე.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროპელ ექიმთა უმეტესობა ყავის სასმელს წინასწარშექმნილი ცუდი განწყობით ეკიდებოდა, მაგრამ მალე მათ ყავის გამოყენება ფართოდ დაიწყეს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, უმი მარცვლებისგან ჩვეულებრივ ნაყენს ამზადებდნენ და შემდეგ მას იყენებდნენ ციებ-ცხელების, თავის ტკივილის, ყივანახველის, კატარული მდგომარეობის, ნიკრისის ქარისა და ართრიტის დროს.

უფრო ფართოდ გამოიყენეოდა მოხალული ყავის ნახარშები ან ნაყენები. მაგარ ნახარშს, ლიმონის წვენთან არეულს, იყენებდნენ ციების დროს. მე-18 საუკუნიდან ყავის მარცვლებს იყენებენ ჰომეოპათიაში. არც თუ იშვიათად, ყავას უნიშნავენ საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა მოწამვლის დროს, შაკიკისა და ზოგიერთი ფუნქციონალური ნერვული მოშლილობის დროს.

კოფეინი ხსნის სპაზმებს და აფართოებს სისხლძარღვებს, რაც საბოლოოდ აყუჩებს ტკივილს. განსაკუთრებით მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში მაგარი ყავის დანიშვნა, როგორც საუკეთესო მატონიზირებელი საშუალება სისუსტის შემთხვევაში. ყავაში შემავალი კოფეინის წყალობით ჩნდება სიმხნევის გრძნობა, ქრება გონებრივი დაღლილობა და თვლემა, მნიშვნელოვნად იოლდება და ღრმავდება აზროვნება, აქტიურდება მეხსიერება და ემოციური შთაბეჭდილებების აღქმა.

ყავა დადებითად მოქმედებს მოწამვლის დროს. ამ შემთხვევაში კუჭის ამორეცხვის შემდეგ რეკომენდებულია, დაზარალებულს მივცეთ 1-2 ფინჯანი ყავა, მისი მთრიმლავი ნივთიერებები კუჭისა და ნაწლავის ლორწოვან გარსზე დადებით გავლენას ახდენს, შეუძლია დალექოს და წინააღმდეგობა გაუწიოს შხამიანი ნივთიერებების ნარჩენების შეწოვას. გარდა ამისა, კოფეინი მოწამვლის დროს ტონუსს აძლევს ორგანიზმს და აძლიერებს გულის შესუსტებულ მოქმედებას. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროსაც იყენებენ ყავას სამკურნალოდ. მასში შემავალი მთრიმლავი ნივთიერებები ხელს უწყობს ფაღარათის შეწყვეტას და საჭმლის მონელების გაუმჯობესებას. ამ შემთხვევაში იყენებენ არა მარტო შავ ყავას, არამედ მისგან მომზადებულ ჟელეს, მუსსა და კისელს. ხანდახან ყავის დახმარებით უწყვეტენ შეუჩერებელ პირღებინებას ფეხმძიმე ქალებს.

**მცდარია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ 1-2 ფინჯანი მაგარი ყავა აფრთხობს ძილს და აფხიზლებს ნასვამ ადამიანს. გამოკვლევების თანახმად, ყავა ალკოჰოლის მოქმედების დროს გვევლინება, როგორც მისი მოკავშირე. ყავას შეუძლია, შეამციროს შიმშილის გრძნობა და ამით ამცირებს საკვების დიდი რაოდენობით მიღების მოთხოვნილებას.**

კოფეინი ეხმარება გონებრივი სამუშაოთი დაკავებულ ადამიანებს. იგი აღაგზნებს ტვინის უჯრედებს, ზრდის მათ მიმღეობას და განაწყობს მობილიზებული აზროვნებისკენ.

* უკვე დამტკიცებულია, რომ ყავის რეგულარული მიღება (3-4 ჭიქა დღეში) ამცირებს ღვიძლის ციროზის განვითარების ალბათობას ალკოჰოლის მომხმარებელთა შორის. კოფეინი ხელს უწყობს ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონის — სეროტონინის დაგროვებას.

* ყავის ჭარბი რაოდენობით მიღება იწვევს თავის ძლიერ ტკივილს, ნერვოზულობას, თავბრუსხვევას, შიშსა და დაძაბულობას.

*** ყავა და სიგარეტის მოწევა ერთდროულად ზრდის ჰიპერტონიის განვითარების ალბათობას 35-60 %-ით.**

* ყავა დადებითად მოქმედებს კბილებზე, იცავს კარიესისგან, ეფექტიანად იცავს პირის ღრუს მავნე ბაქტერიებისგან. თუმცა ყავა, დაცვასთან ერთად, აყვითლებს მინანქარს. როგორც ყველა სტიმულატორს, ყავასაც გააჩნია უკუჩვენება. მისი მიღება არ შეიძლება საძილე და დამამშვიდებელ საშუალებებთან ერთად.

*** ინგლისელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ყავას აქვს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი მხოლოდ ქალებისთვის. ცდებმა აჩვენა, რომ მამაკაცებზე კოფეინი მსგავს გავლენას არ ახდენს.**

* გერმანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დიდი რაოდენობით კოფეინის მოხმარება თავიდან აცილებს გამელოტებას. ექსპერტების მოსაზრებით, თმის სასურველი სიგრძის მისაღწევად საჭიროა დღეში 60-80 ფინჯანი ყავის შეზელვა.

*** მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყავა დადებითად მოქმედებს მხედველობაზე და ზრდის ბადურის მგრძნობელობას. სწორედ კოფეინი აიძულებს მას ინტენსიურად მოახდინოს რეაგირება გარემოზე.**

კანადელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კოფეინი ზრდის ორგანიზმის გამძლეობას ფიზიკური დატვირთვის მიმართ, ასევე, ხელს უწყობს ცხიმის გარდაქმნას კუნთების საწვავად.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, კოფეინი არ არის უვნებელი ნივთიერება. 10 გრამი ადამიანისთვის სასიკვდილო დოზაა, ამიტომ მისი შემცველი ყველა სასმელი ზომიერად უნდა დავლიოთ. ადამიანისთვის უვნებელ დღიურ დოზად 150 მგ კოფეინი მიიჩნევა. ფინჯანი ყავა კი დაახლოებით 100 მგ-ს შეიცავს. საბედნიეროდ, კოფეინი ორგანიზმიდან მალე გამოიდევნება, ამიტომ დასაშვებია დღეში 3-4 ფინჯანი ყავის დალევა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთდროულად — სასურველია, 3-4-საათიანი ინტერვალი მაინც დავიცვათ.

აპარატის ყავასა და ესპრესოში კოფეინის შემცველობა, როგორც წესი, უფრო მაღალია, თურქულ, ასევე ხსნადი ფხვნილისა თუ გრანულებისგან მომზადებულ ყავაში — უფრო ნაკლები. თუმცა ეს გასაშუალოებული მონაცემებია, ბევრი რამ არის დამოკიდებული ყავის ჯიშზე, დამუშავებასა და სასმლის მომზადების ტექნოლოგიაზე.



# ფინჯანი ყავა ახდენს ორგანიზმის მობილიზებას აქტიური მოქმედებებისთვის მთელი დღის განმავლობაში



არაბიკას მარცვლები რობუსტისაზე დაახლოებით ათჯერ ძვირია. სხვადასხვა ქვეყანაში მოყვანილი არაბიკასა და რობუსტას მარცვლების განსხვავებული თანაფარდობის ნარევებისგან იქმნება ყავის სხვადასხვა სორტი. სორტების სიმრავლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ არაბიკა ნიადაგის, წყლის, კლიმატისა და სხვა ფაქტორების გავლენით განსხვავებულ საგემოვნო და არომატულ თვისებებს იძენს. ყავის სორტის სახელწოდება უმეტესად შეესაბამება იმ ქვეყნის, ქალაქის, მთის ან დაბლობის სახელწოდებას, რომელშიც ის არის მოყვანილი.

მაღალი ხარისხის ყავა შედგება არაბიკასა და რობუსტას, სულ ცოტა, 5-7 სახეობის ნარევისაგან. თუ უფრო მაგარი ყავა გინდათ, უნდა შეიძინოთ ის, რომელშიც რობუსტა მეტია, ხოლო თუ უფრო გემრიელი გსურთ — ის, რომელშიც არაბიკაა მეტი. ყავის სორტი „ესპრესო“ რობუსტასა და არაბიკას თანაბარი (50/50) ნარევია. დღევანდელ მომხმარებელთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ხსნად ყავას, რომელიც ძირითადად რობუსტასგან მზადდება, გემოში განსხვავება კი ტექნოლოგიასა და გამოყენებული ყავის წარმომავლობაზეა დამოკიდებული. ტექნოლოგიის მიხედვით იწარმოება სამი სახის ხსნადი ყავა:

ფხვნილისებრი (სპრეი). ამ სახის ყავა მიიღება ყავის ექსტრაქტის გაფრქვევით და გაშრობით. ხსნადი ყავის სეგმენტში ეს ყველაზე იაფფასიანი პროდუქტია;

გრანულირებული (აგლომერატი). ყავის ეს სახეობა მიიღება ფხვნილის დასველებით და შემდგომ მისი გრანულირებით. ეს პროდუქტი შედარებით მუქი ფერის ხორკლიან გრანულებს წარმოადგენს;

სუბლიმირებული ყავა შედარებით ღია ფერის, გლუვი გრანულებია. ეს პროდუქტი ხსნადი ყავის ყველაზე ძვირიანი ნაირსახეობაა და განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მის მისაღებად ყავის ექსტრაქტი იყინება და შემდეგ თხევადი ფაზის გავლის გარეშე შრება. ამ ტიპის შრობით მიიღება ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით ნატურალურთან მაქსიმალურად მიახლოებული სასმელი.

ხსნადი ყავა იოლი მოსამზადებელია, მაგრამ მისი წარმოების დროს ყავის არომატი ნაწილობრივ იკარგება, ამიტომ გურმანები თურქულ ან აპარატის ყავას ამჯობინებენ; მათ მოსამზადებლად კი ან მარცვლოვანი, ან დაფქული ყავა უნდა შეიძინოთ. მარცვლოვანი ყავის შეძენისას ეცადეთ, შედარებით ღია ფერის, ნაკლებად მოხალული პროდუქტი აირჩიოთ. საქმე ის არის, რომ არასათანადო შენახვისას დაძველებული ყავის მარცვლები არომატს კარგავს. მის აღსადგენად მარცვლებს რეცხავენ და ხელახლა ხალავენ. ასე რომ, რაც უფრო ბევრჯერ არის მოხალული (მუქი ფერისაა) გასაყიდი ყავის მარცვლები, მით მეტია ალბათობა, რომ ყავა ძველია. გარდა ამისა, ყოველი მოხალვისას მარცვალში არსებული კოფეინის ნაწილი მარცვლის ზედაპირზე გამოიყოფა და თანდათან ორთქლდება, ამიტომ, რაც უფრო მეტჯერ არის მოხალული ყავა, მით ნაკლებია მასში კოფეინი.



**თუ დაფასოებულ ყავას ყიდულობთ, უმჯობესია ვაკუუმშეფუთვაში დაფასოებული შეიძინოთ. შეძენისას კარგად დაათვალიერეთ, რომ შეფუთვა დაზიანებული არ იყოს; თუ ასაწონ დაფქულ ყავას ყიდულობთ, ჯობს მარცვლები თქვენი თანდასწრებით დაფქვან; ნუ შეიძენთ ქაღალდის პარკებში წინასწარ დაფასოებულ დაფქულ ყავას — შესაძლოა, არომატი უკვე დაკარგული ჰქონდეს.**

სამწუხაროდ, ბაზარზე გვხვდება ფალსიფიცირებული ნაწარმიც, რომელშიც ყავასთან ერთად სხვა მინარევები (მაგალითად, რკოს, ვარდკაჭაჭას ძირების ან ყურძნის წიპწის ფქვილი) აქვს დამატებული. ამ ფალსიფიკაციის გამოვლენა საკმაოდ იოლია: ჩაყარეთ ცოტაოდენი ფხვნილი ცივ წყალში და მოურიეთ. ყავა წყლის ზედაპირზე დარჩება, უცხო მინარევები კი ფსკერზე დაილექება. სახლის პირობებში საკმაოდ იოლია დაფქული ყავის სიძველის დადგენაც: დაასხით მდუღარე წყალი, 2-3 წუთი გააჩერეთ და დაყნოსეთ. თუ ყავა ძველია, მას სიმჟავის სუნი ექნება.

*** ორსულობისას ყავის ხშირი მიღება კატეგორიულად აკრძალულია. როგორც ხანგრძლივმა გამოკვლევებმა აჩვენეს:**

ამ სასმელის ნებისმიერი რაოდენობის მიღება ორსულობისას იწვევს ნაყოფის ნერვული სისტემისა და ჩონჩხის განვითარების დარღვევას;

* ორსულობის პერიოდში დღეში 3 ჭიქის დალევისას ნაადრევი მშობიარობის შანსი იზრდება 60%-მდე.

კოფეინი ადვილად აღწევს პლაცენტაში და ლაქტაციის დროსაც დედის რძით გადაეცემა ჩვილს.

ორსულობის პერიოდში ბევრი ყავის დალევისას სისხლი ცუდად მიეწოდება პლაცენტას, რაც პრობლემებს უქმნის ნაყოფს.

*** ყავის ხშირი დალევა ორსულობის პერიოდში იწვევს დიაბეტით დაავადებას ჯერ არდაბადებულ ბავშვებს შორის, ახშირებს გულისცემას.**

ყავა შარდმდენია და ორგანიზმის გაუწყლოვნებას იწვევს, ამიტომ ორსულმა უნდა დაივიწყოს ყავის დიდი დოზები.

მწვანე ყავა ჩვეულებრივი ყავის მოუხალავი მარცვლებია. ის არაფრით განსხვავდება ჩვენთვის ჩვეული შავი ყავისგან, რომელსაც ყოველდღე ვიღებთ. მწვანე ყავაც ჩვეულებრივად მოყავთ პლანტაციებში, კრიფავენ დამწიფების დროს და აცლიან რბილობს. დარჩენილ კურკას აშრობენ და იმის ნაცვლად რომ მოხალონ, პირდაპირ დასაფქვავად უშვებენ.

მწვანე ყავა სასარგებლოა ჩვენი ორგანიზმისთვის. ის მდიდარია ქლოროგენური მჟავებით, არის ერთ-ერთი ძლიერი ანტიოქსიდანტი. მწვანე ყავაში ანტიოქსიდანტების რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე წითელ ღვინოსა და შავ ყავაში. ყველაფერთან ერთად, ამ სასმელის შემადგენლობაში არის A, B, C და E ჯგუფის ვიტამინები და 1200-ზე მეტი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება.

ამ სასმელს მართლაც შეუძლია დაგაკლებინოთ წონა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სწორად და ზომიერად მიიღებთ. ეს არ არის სამკურნალო პრეპარატი, ამიტომაც მისი გამოყენების ოპტიმალური ფორმულა არ არსებობს, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევებით დადგინდა მწვანე ყავის ცხიმების დაწვის თვისება. დღეში მხოლოდ ერთი ფინჯანი ან, უმჯობესია, 2 დღეში ერთხელ. ეს მწვანე ყავის მიღების ოპტიმალური დოზაა. საღამოს ამ სასმელის მიღება არ ღირს, რადგან, შესაძლოა, უძილობა გამოიწვიოს. მედიკოსები ამტკიცებენ, რომ სასურველი ეფექტის მიღწევა წონის დასაკლებად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მწვანე ყავის ზომიერ მიღებას შეუთავსებთ ვარჯიშს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2050 წლისთვის სექსი გამრავლების საშუალება აღარ იქნება



**სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ჯერასი, რომელმაც წლების წინ კონტრაცეფციული აბები გამოიგონა, ვარაუდობს, რომ სექსი, როგორც გამრავლების საშუალება, 2050 წლისთვის გაქრება.** მისი აზრით, ადამიანები მომავალი თაობების გასაჩენად ხელოვნურ განაყოფიერებას გამოიყენებენ. ჯერასის ვარაუდით, ქალები და მამაკაცები ახალგაზრდა ასაკშივე გაყინავენ სპერმას და კვერცხუჯრედებს, ხოლო სექსით შეიძლება აღარც დაკავდნენ. ქალები, კვერცხუჯრედების გაყინვის შემდეგ, სტერილიზაციის პროცედურას გაივლიან და მომავალში აღარ დადგებიან დაუგეგმავი ორსულობის პრობლემის წინაშე. გარდა ამისა, პროფესორი თვლის, რომ ეს პროცედურა მოაგვარებს აბორტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების კარიერულ პრობლემებს, რადგან ისინი შვილების გაჩენას ნებისმიერ ასაკში შეძლებენ და არ შეეშინდებათ, რომ ბავშვი სამყაროს რაიმე პათოლოგიით მოევლინება.

# ყველაზე მომაკვდინებელი ცხოველები



## შხამიანი (შუბის) ბაყაყი

**სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ტყეებში პატარა და ძალიან ლამაზი ბაყაყები ბინადრობენ, რომელთაც სახელად შუბის ბაყაყებსაც უწოდებენ.** მაგალითისთვის, ოქროსფერი შუბის ბაყაყის სიგრძე მხოლოდ 5 სანტიმეტრია, თუმცა იგი იმდენ შხამს შეიცავს, რომ 10 ადამიანის მოკვლა შეუძლია. ძველად ადგილობრივი ტომები ამ ბაყაყების შხამს ისრებს უსვამდნენ და საკუთარ სამიზნეს ერთგვარ სასიკვდილო ინიექციას უკეთებდნენ.



## გველი ტაიპანი

**ტაიპანს შხამის რაოდენობის გამო სასტიკ გველსაც უწოდებენ.** მის ერთ ნაკბენში იმდენი შხამია, რომ 100 ადამიანის მოკვლა შეუძლია. მისი შხამი ძალიან ტოქსიკურია, 200-300-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივი კობრის. შხამი 45 წუთში სრულიად ჯანმრთელ ადამიანს გამოასალმებს სიცოცხლეს. თუმცა მეცნიერებმა გამოიგონეს ანტიდოტი, რომელსაც შხამის უგულებელყოფა შეუძლია. გარდა ამისა, ეს გველი საკმაოდ მშიშარაა, როგორც კი რაიმე საფრთხეს იგრძნობს, მაშინვე იმალება, ამიტომ ადამიანისთვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს. მისი გავრცელების არეალი ავსტრალიაა.



## მორიელი ლეირუსი

**იცოდით, რომ მორიელების უმეტესობა ადამიანებისთვის საშიში არ არის?**

საქმე ის არის, რომ ნაკბენების უმეტესობა მხოლოდ ტკივილსა და შესიებას იწვევს, თუმცა არსებობენ გამონაკლისები, მაგალითად, მორიელი სახელად ლეირუსი. იმის გამო, რომ მისი შხამი სხვადასხვა ნეიროტოქსინებისგან შედგება, იგი გაუსაძლის ტკივილს იწვევს, რომელსაც ციებ-ცხელება, კომა, კონვულსია, პარალიჩი, ხოლო ბოლოს სიკვდილი მოსდევს. მორიელის ეს ჯიში გავრცელებულია ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.



## სამეფო კობრა

**ყველაზე გრძელ შხამიან გველად სამეფო კობრა მიიჩნევა.** მისმა სიგრძემ, შესაძლოა, 5,6 მეტრს მიაღწიოს. სამეფო კობრის შხამი იმდენად ტოქსიკურია, რომ სამ საათში მოზრდილი სპილოს მოკვლა შეუძლია, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანზე. მართალია, გველებს შორის მასზე უფრო შხამიანებიც არსებობენ, მაგრამ კობრის ამ სახეობას შხამის ყველაზე დიდი რაოდენობის გამოყოფა შეუძლია, რის გამოც იგი გველებს შორის ლიდერობს. სამეფო კობრა სამხრეთ-დასავლეთის გაუვალ ტყეებსა და სამხრეთ აფრიკაში ბინადრობს.



## კუბომედუზა

**ყველაზე შხამიანი ცხოველების ჩამონათვალში საპატიო პირველ ადგილს ეგრეთ წოდებული კუბომედუზა იკავებს.** ასეთი სახელწოდება მან სხეულის კუბური ფორმის გამო მიიღო. ამ, ერთი შეხედვით, ძალიან სიმპათიურმა არსებამ უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში 6 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შხამი, რომელსაც მედუზა ფლობს, დედამიწის ზურგზე ყველაზე სახიფათოდ ითვლება. მას შეუძლია მსხვერპლის ნერვული სისტემის, კანის უჯრედებისა და გულის დაზიანება.

თუმცა ყველაზე საშინელი ის არის, რომ მედუზის შხამს ისეთი დიდი ტკივილი მოაქვს, რომ მსხვერპლი შოკური მდგომარეობის გამო იძირება ან, უბრალოდ, გული უჩერდება. იმისათვის, რომ მსხვერპლს გადარჩენის შანსი ჰქონდეს, აუცილებელია იარის სასწრაფო დამუშავება ძმრით. მედუზა ავსტრალიისა და აზიის წყლებში გვხვდება.

# რატომ უნდა გადავაგდოთ მიკროტალღური ღუმელი

**მიკროტალღური ღუმელის პრობლემა რადიაცია ნამდვილად არ არის, სამაგიეროდ, საკვების დნმ-ს აზიანებს და ორგანიზმი ვეღარ აღიქვამს მას საკვებად, ცდილობს, მკვდარი საკვებისგან თავი დაიცვას ან სწრაფად გააძევოს იგი „საკუთარი ტერიტორიიდან“. მილიონობით დედა ჩვილი ბავშვისთვის რძეს მიკროტალღურში აცხელებს და მათ ვერ გაამტყუნებ, რადგან თანამედროვე სამზარეულოს ამ ატრიბუტს პირდაპირ ეტიკეტზე აწერია, რომ ყოვლად უსაფრთხოა.**



არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, რატომ უნდა მოიშოროთ თავიდან ასეთი ღუმელი. ეს მიზეზები შვეიცარიელი, რუსი და გერმანელი მეცნიერების ექსპერიმენტების შედეგებს ეყრდნობა.

**მიკროტალღურ ღუმელში მომზადებული საკვების სისტემატურად მიღება ტვინში შეუქცევად ცვლილებებს იწვევს. ეს ტვინში ელექტრული იმპულსების „დამოკლების“ ხარჯზე ხდება.**

ადამიანის ორგანიზმს მიკროტალღურში მომზადებული „უცხო“ საკვების მეტაბოლიზირების (გადამუშავების) უნარი არ შესწევს. მუდმივი მოხმარების შემთხვევაში, ქალური და მამაკაცური ჰორმონების გამომუშავება წყდება ან ცვლილებებს განიცდის.

**მიკროტალღურ ღუმელში დამუშავებული პროდუქტებით მომზადებული საკვების შედეგები შეუქცევადია.**

პროდუქტში შემავალი საკვები ნივთიერებები მიკროტალღურში მოხვედრის შემდეგ მცირდება ან ისეთ ცვლილებას განიცდის, რომ ორგანიზმი მათგან სარგებელს ვეღარ იღებს, ან იღებს ისეთი შეცლილი სტრუქტურით, რომ ვერ შეითვისებს.

**ბოსტნეულში არსებული მინერალები კანცეროგენულ თავისუფალ რადიკალებად გარდაიქმნება.**

**იწვევს კიბოს უჯრედების წარმოქმნას კუჭსა და ნაწლავებში.** ამით ხსნიან ამერიკაში მსხვილი ნაწლავის კიბოს შემთხვევების მატებას.

**იწვევს კიბოს უჯრედების წარმოქმნას სისხლში.**

ასეთი საკვების სისტემატური მოხმარება ლიმფურ ჯირკვლებში გამოწვეული ცვლილებების ხარჯზე აქვეითებს იმუნურ სისტემას.

**მიჰყავს ადამიანი მეხსიერების დაკარგვამდე, ყურადღების უნარის დაქვეითებამდე, იწვევს ემოციურ არასტაბილურობას და აქვეითებს ინტელექტს.**

ეს დასკვნები სხვადასხვა დროს ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად ინტერნეტში პერიოდულად ქვეყნდება. ამის გამო მიკროტალღურების გამოშვება-გაყიდვა არავის აუკრძალავს, თუმცა ჩამოთვლილი მავნებლობები ნაწილობრივადაც რომ ახლოს იყოს სიმართლესთან, მაინც საკმარისი მიზეზია, ამ მოწყობილობასთან სიფრთხილე გამოიჩინოთ და მისი გამოყენების სიხშირე მაინც შეამციროთ.

# მდედრობითი სქესის ნაყოფი უფრო სიცოცხლისუნარიანია

**მეცნიერების ეს აღმოჩენა მართლაც საყურადღებოა. პლაცენტა, რომელშიც მდედრობითი სქესის ნაყოფი ვითარდება, უფრო მყარი და უსაფრთხო ყოფილა.**

ავსტრალიელმა მეცნიერებმა პლაცენტის ფუნქცია შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ ის ერთნაირ დაცვას სულაც არ უზრუნველყოფს მდედრობითი და მამრობითი სქესის ნაყოფისთვის. ამით ახსნეს მეცნიერებმა გოგონების მეტი სიცოცხლისუნარიანობის ფენომენი: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ახალშობილი ბიჭების სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია მდედრობითი სქესის ახალშობილთა შორის ლეტალური გამოსავლის ოდენობაზე.

პლაცენტის სტრუქტურაში შემავალი 140 გენი გაცილებით აქტიურია, როცა მასში გოგონაა მოთავსებული, ეს მნიშვნელოვნად აძლიერებს იმუნურ სისტემას, იცავს ინფექციებისგან და ხელს უწყობს ნაყოფის სწორ განვითარებას. ბიჭების შემთხვევაში ეს გენები ნაკლებაქტიური ყოფილა.





## როგორ გამოიყურებოდა ქრისტე ბავშვობაში

**იტალიელმა გამომძიებლებმა გამოიყენეს ტურინული სუდარა, რომელიც ქრისტეს სამოსად ითვლება, იმისათვის, რომ შეექმნათ ფოტორობოტი, თუ როგორი იქნებოდა იესო ქრისტე ბავშვობაში.** პოლიციამ ფოტო სუდარაზე გამოსახული სახის ნაკვთების მიხედვით შექმნა. მათ გამოიყენეს უკუზრდის პროცესი, რაც ყბების დაპატარავებაში, ნიკაპის აწევაში და სხვადასხვა ტექნიკაში მდგომარეობს. ეს ყველაფერი ზრდასრული ადამიანისთვის ბავშვობის იერის აღდგენის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება სუდარას, მისი ავთენტურობა სამეცნიერო წრეებში ცხარე კამათის საგანია. ვატიკანის მიერ ის აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი რელიქვია, მაგრამ რომაულ კათოლიკურ ეკლესიას არასოდეს დაუდასტურებია, რომ მასზე გამოსახული ჰაბიტუსი ქრისტეს ეკუთვნის. იტალიის პოლიციის თანამშრომლებმა, სავარაუდოდ, გამოიყენეს პროგრამა, რომლითაც კრიმინალების ფოტორობოტებს ქმნიან.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დედა ტერეზას რჩევები დედებს

**ყველა მშობელი მიიჩნევს, რომ თვითონ იცის, თუ როგორ უნდა აღზარდოს შვილი, მაგრამ ხშირად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, უჩნდებათ კითხვები და სჭირდებათ შესაბამისი რეკომენდაციები, თუ როგორ მოიქცნენ კონკრეტულ შემთხვევაში. დედა ტერეზას რჩევები შვილის აღზრდაში დაგეხმარებათ. მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი შვილები არ ჰყოლია, ბევრი ობოლი, მიუსაფარი და ინვალიდი ბავშვის მფარველი გახდა.**



ყურადღება უნდა მიაქციოთ, თუ რა ტერმინებით ესაუბრებით ბავშვს. ზოგჯერ მშობლები შვილს უტვინოს, სულელსა და ზარმაცს უწოდებენ, რაც ბავშვზე დიდ გავლენას ახდენს. თუ შვილს პატარაობიდან ამას ჩაუნერგავთ, შესაძლოა, მართლაც ასეთად გაიზარდოს.

ნუ ეცდებით, შეაშინოთ ბავშვი პოლიციით, ურჩხულებით, მგლებითა და ბუებით. ეს მათზე არანაირ დადებით გავლენას არ მოახდენს, არც გაакეთილშობილებს და არც დააჭკვიანებს.

**გაზარდეთ შვილი თქვენ მიერ მიცემული კარგი მაგალითებით და არა რჩევებითა და ნოტაციებით, რომელიც მათ სულაც არ აინტერესებთ.** ისინი ამჩნევენ მშობლის ქცევებს და არა სიტყვებს.

**ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში თქვენი შვილის თვალში იყოთ ღირსეული და არ დაანახვოთ თქვენი სისუსტეები და უარყოფითი მხარეები,** რადგან ისინი ჩათვლიან, რომ არ ჰყავთ ცხოვრებაში დასაყრდენი.

არ იჩხუბოთ ბავშვების თანდასწრებით. ამ დროს ბავშვი თავს მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობს, რაც შეიძლება ოჯახური თუ საზოგადოებრივი ტრაგედიის მიზეზი გახდეს.

**არ იძალადოთ ბავშვზე. თუ ამას აუცილებლად საჭიროდ მიიჩნევთ, შეგიძლიათ, მხოლო უკანალზე მოსცხოთ, მაგრამ არა ძლიერად. არ დასაჯოთ ის, როცა გაბრაზებული ხართ, რადგან შესაძლოა, ამით მის მეხსიერებაში დატოვოთ სიძულვილისა და ბოროტების შთაბეჭდილება და არა სამართლიანობის.**

ნუ დაანახვებთ ბავშვს გაბრაზებულ სახეს, რადგან ის არასოდეს დაივიწყებს ბოროტებითა და სიძულვილით სავსე გამოხედვას. ბავშვი მხოლოდ იმიტომ უნდა დასაჯოთ, რომ დაანახოთ მათთვის სასიკეთო წესების არსებობა, რომლებიც უნდა დაიცვას მის საკეთილდღეოდ. დასჯით შეიძლება მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა დააზიანოთ. დასჯას ყოველთვის ახსნა სჭირდება.

**ბავშვი ყოველთვის უნდა გრძნობდეს მშობლის მიმართ ნდობას და ემორჩილებოდეს მას — ეს არის მოსიყვარულე ოჯახში ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.**

ყველაზე მთავარი ოჯახში მშობლების სიყვარულია და ბავშვის ინტერესების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა. ასევე, აუცილებელია, შეინარჩუნოთ სიმშვიდე ოჯახში და არანაირი ფიზიკური დასჯა არ გახადოთ მთავარი.

# სიცოცხლე ას წლამდე



**გეტებორგის (შვედეთი) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, როგორ უნდა იყო დღეგრძელი. ეს მასშტაბური კლევა 55 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა შვეიცარიის 855 მკვიდრი, რომლებიც 1913 წელს იყვნენ დაბადებულნი. 55 წლის განმავლობაში მეცნიერები აკვირდებოდნენ მათ ჯანმრთელობას და ცხოვრების წესს. ექსპერიმენტის მონაწილე 10 ადამიანმა 100 წელს იცოცხლა. მათ ცხოვრებაში მრავალი დამთხვევა იყო. არც ერთი მათგანი არ ეწეოდა. ათივე ათლეტური იყო. ყოველი მათგანი 50 წლამდე გახდა საკუთარი სახლის მფლობელი.**

ყველა, ვინც 100 წელს მიაღწია, სპორტით იყო დაკავებული და მათი დედები ხანგრძლივად ცოცხლობდნენ. 42 პროცენტი მათგან, ვინც 80 წლამდე იცოცხლა, გულის დაავადებებით გარდაიცვალა, 20% — ინფექციით, ექვსი — პნევმონიით. ექსპერიმენტში მონაწილე პირთაგან 27%-მა 80 წლამდე იცოცხლა, მხოლოდ 13%-მა — 90 წლამდე. უნიკალურმა კვლევამ აჩვენა, როგორი ფაქტორები მოქმედებს ხანგრძლივ სიცოცხლეზე. ამიტომ მათ, ვისაც 100 წლამდე ცხოვრება სურს, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

**არ მოწიო;**

**იყავი ოპტიმისტი;**

**შეინარჩუნე არტერიული წნევის ნორმალური ზღვარი;**

**აკონტროლე ქოლესტერინის ოდენობა სისხლში;**

**აკონტროლე წონა, იყავი მუდამ ფორმაში;**

**50 წლის ასაკში გქონდეს საკუთარი სახლი;**

**ყურადღება მიაქციე, რომ წელში გამართული იყო.**

რა თქმა უნდა, გენეტიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ რამდენად აკონტროლებს საკუთარ ჯანმრთელობას ადამიანი.

# ყველაზე მსუქანი მამაკაცი მსოფლიოში



**კარლ ტომფსონი 32 წლისაა, ცხოვრობს კორპუსის ბინაში, პირველ სართულზე და სრულიად მარტოსულია. მას შემდეგ, რაც დედა გარდაეცვალა, კარლი მარტო დარჩა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო წონაში მატება და იქიდან გამომდინარე, რომ გამხდარი არასოდეს ყოფილა, გააორმაგა თავისი წონა და ამჟამად 400 კილოგრამს იწონის.**

იგი აღიარებს, რომ ყოველდღე 10 000 კალორიას იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილის გრძნობა არ ასვენებს. საკვებში მან ხსნა იპოვა მას შემდეგ, რაც 2012 წელს დედა ტვინის სიმსივნით გარდაეცვალა, ამ ტრაგედიის გადატანაში ტომფსონს საყვარელი საკვები ეხმარებოდა. „მე და დედა ძალიან ახლოს ვიყავით, ის არაჩვეულებრივი ქალი იყო და დღემდე ვერ ვეგუები იმ ფაქტს, რომ ჩემ გვერდით აღარაა“, — განაცხადა კარლ ტომფსონმა.

# როგორ გავართოთ ბავშვები არდადეგებზე



**სახლის პირობებში ბავშვისთვის ახალი გასართობის მოფიქრება რთულია, მაგრამ აუცილებელი. თქვენს ახალ გასართობ იდეებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თქვენივე სიმშვიდე თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში. მოცლილი ბავშვების გასაძლებად ხომ მხოლოდ ნერვები არ კმარა, კრეატიული უნარიც საჭიროა. ზოგიერთებმა ამ მნიშვნელოვან ამოცანას შემდეგი საშუალებებით გაართვეს თავი:**

ფერადი სკოტჩის ან საიზოლაციო ლენტის საშუალებით სამანქანო ტრასა მოუწყვეთ. ნუ შეშინდებით, იატაკი ამით არ დაზიანდება.

საიზოლაციო ლენტი შეგიძლიათ, ცარცის მაგივრადაც გამოიყენოთ და იატაკზე „კლასობანას“ ან სხვა თამაშის სქემა დახატოთ

სამზარეულოს რამდენიმე ცალი ღრუბელი დაასველეთ და ეზოში დამაგრებულ სამიზნეს ესროლეთ. ამით სამეზობლოში იმპროვიზებულ დარსის ტურნირსაც მოაწყობთ.

სამზარეულოს ხელსახოცების ცარიელი რგოლი პატარასთვის, შეიძლება, საინტერესო სათამაშო გახდეს.

თუ ტომრის ნაჭერი მოგეძებნებათ, მისგან საქარგავი მოწყობილობა დაამზადეთ. ეს თამაში ბავშვს მცირე მოტორიკის გაუმჯობესებაშიც დაეხმარება.

როცა ქვიშიანი სანაპირო შორსაა, მის მაგივრობას ფქვილი ან შაქარი გასწევს. მანანის ბურღულიც შეიძლება. ხატვა კი ფანქრით ჯობს.

ჭკვიანურად გაბმული თოკების ქსელი თქვენს ბავშვებს თავს სუპერგმირებად აგრძნობინებს.

საპონი ცოტა ხნით მიკროტალღურ ღუმელში მოათავსეთ, შემდეგ კი ბავშვი საპნის ულამაზესი ღრუბლით გააოცეთ.

წებოვანი ლენტით ობობას ქსელი გააბით. მხსვერპლის როლს კი ძველი დაკუჭული გაზეთის ფურცლისგან დამზადებული ბურთები შეასრულებენ.

ცისარტყელას ბუშტები ბავშვებს კარგა ხნით გაართობს.

დაგჭირდებათ: პლასტმასის ბოთლი, სკოტჩი, ტორტის საღებავები, ჭურჭლის ჟელე. გადაჭერით ბოთლი და თავზე წინდა წამოაცვით. დაამაგრეთ სკოტჩით, დაასველეთ წინდის თავი საღებავში, ჭურჭლის ჟელე წყლით გააზავეთ, დაალბეთ ამ სითხეში წინდა და მოუჭირეთ ხელი ბოთლს.

მიეცით საშუალება, თავად გახდეს საკუთარი სამოსის დიზაინერი



# სოსო შატბერაშვილი: ლეიბორისტული პარტია მსუყედ დაფინანსდა «ნაციონალური მოძრაობისგან»

**„მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი და ყოფილი ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი შალვა ნათელაშვილს უპირისპირდება და დებატებში იწვევს.**



სოსო შატბერაშვილმა ტელეარხ „ობიექტივის“ ეთერში განაცხადა, რომ მიზეზი, რის გამოც მან პარტია დატოვა, იყო ის, რომ შალვა ნათელაშვილი და ზოგადად პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტად იქცა, თუმცა აღნიშნა, რომ იქ ჯერ კიდევ დარჩნენ პატიოსანი ადამიანები.

სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტია მიხეილ სააკაშვილისგან დაფინანსდა და შალვა ნათელაშვილმა ავსტრიულ ბანკში შეიტანა ასიათასობით ევრო.

**„ლეიბორისტული პარტია მსუყედ დაფინანსდა „ნაციონალური მოძრაობისგან“, გახდა მისი არაფორმალური წევრი და შალვა ნათელაშვილს ავსტრიის ბანკში შეტანილი ჰქონდა ასიათასობით ევრო. საიდან ეს ყველაფერი? ჩვენ ხომ ვიცით, რატომ წამოვედით იქიდან!“** — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

# ჯამბულ გამცემლიძე: პირველი, ვინც ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებისთვის პასუხისგებაში უნდა მიეცეს, ადეიშვილია!



**„ნაცმოძრაობის“ რეჟიმის პერიოდში მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე ამბობს, რომ საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იდეოლოგი იყო და და, პირველ რიგში, ის უნდა მიეცეს პასუხისგებაში.**

აღნიშნული განცხადება გამცემლიძემ „რეპორტიორთან“ ადეიშვილის ინტერვიუს შესახებ საუბრისას გააკეთა.

„ადეიშვილი მსხვერპლი კი არა, ის კაცია, რომელმაც საკუთარი პიჯაკივით მოარგო ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა და კონსტიტუცია „ნაცბანდას“. ეს არის გაფუჭებული კაცი, რომელიც „ნაციონალური ბანდის“ მთავარი იდეოლოგი იყო. პირველი, ვინც ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებისთვის პასუხისგებაში უნდა მიეცეს, ადეიშვილია. მაგათი დროც მოვა, აუცილებლად მოეკითხებათ“, — განაცხადა ჯამბულ გამცემლიძემ.

საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა გამოცემა „გლავკომ“-თან ინტერპოლის მიერ ძებნილთა სიიდან თავისი სახელისა და გვარის ამოღების შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ იგი პოლიტიკური დევნილია. ზურაბ ადეიშვილი ამჟამად უკრაინაში ანტიკორუფციული ბიუროსა და გენერალური პროკურატურის მრჩეველია.

# «ისლამური სახელმწიფოს» მებრძოლებმა 46 ადამიანი, მათ შორის, 9 ბავშვი, მოკლეს

**რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა სირიის უძველეს ქალაქ ტადმორთან, სადაც იუნესკოს მემკვიდრეობის ძეგლი — პალმირას ნანგრევები მდებარეობს, 46 მშვიდობიანი მოქალაქე სიკვდილით დასაჯეს.**



გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთაგან 9 ბავშვია.

ჯიჰადისტები ერაყის ტერიტორიაზეც მნიშვნელოვან წინსვლას ახორციელებენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ერაყის ქალაქ რამადის სამთავრობო შენობა დაიკავეს.

# აშშ-ში ბაიკერებს შორის დაპირისპირებისას ცხრა ადამიანი დაიღუპა



**ტეხასის შტატის ქალაქ უეიკოში ბაიკერების რამდენიმე ჯგუფს შორის დაპირისპირებას ცხრა ადამიანი შეეწირა. ამერიკული მედიის ცნობით, შემთხვევა ქალაქ უეიკოს სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე, ერთ-ერთი რესტორნის ავტოსადგომთან მოხდა. ბაიკერებმა ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს.**

პოლიციის ინფორმაციით, დაშავდა 18 ადამიანი, დაკავებულია 100-ზე მეტი.

თვითმხილველთა ცნობით, დაპირისპირებულმა მხარეებმა დაახლოებით 100-ჯერ გაისროლეს იარაღიდან.

ბაიკერებს შორის დაპირისპირება, სავარაუდოდ, პარკირების ადგილის გამო მოხდა.




# საგამოძიებო სამსახურმა იმპორტიორთა ჯგუფი პასუხისგებაში მისცა

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გამოავლინა იმპორტიორთა ჯგუფი, რომლის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზიანი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ავთანდილ ყაბანაშვილი, ტარიელ შენგელია და ბესიკ ჭოჭუა.**

ბრალდებულებმა დაარეგისტრირეს რამდენიმე ურთიერთდამოკიდებული იურიდიული პირი, რომელთა სახელითაც 2012-2015 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანეს 8 347 429 ლარის ღირებულების პროდუქცია.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ბოროტად იყენებდნენ საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებულ საშეღავათო პერიოდს და არ ახორციელებდნენ იმპორტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდას. შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი 2 557 806 ლარით დაზარალდა.



# მაკკეინი უკრაინის რეფორმათა საბჭოში მუშაობაზე უარს ამბობს

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატორ ჯონ მაკკეინის განცხადებით, მას აშშ-ის კონსტიტუცია და კონგრესის დებულებები არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უცხო ქვეყნის მთავრობებთან ითანამშრომლოს და მას უკრაინის პრეზიდენტის საერთაშორისო რეფორმათა მრჩეველთა საბჭოს შემოთავაზებაზე უარის თქმა უწევს.**

„მქონდა პატივი, უკრაინის საერთაშორისო რეფორმათა მრჩეველთა საბჭოს შევერთებოდი იმისთვის, რომ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოებაზე გვემსჯელა; ასევე, რუსეთის აგრესიის საპასუხოდ ქვეყნის დემოკრატიული მომავალი გაგვეძლიერებინა, თუმცა აშშ-ის კონსტიტუცია და კონგრესის წევრის ვალდებულება უცხო ქვეყნის მთავრობებთან თანამშრომლობის ნებას არ მრთავს, შესაბამისად, ვალდებული ვარ, ამ მიწვევაზე უარი ვთქვა“, — განაცხადა ჯონ მაკკეინმა.



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894